



ქვეყნის უნივერსიტეტის
სასწავლო უნივერსიტეტი

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების
ფაკულტეტი

ბესიკ შარაშიძე

გადასახადები სოციალური პრობლემების დაძლევის გზაზე

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირება-
ფინანსების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სონია ჩეჩელაშვილი
ასოცირებული პროფესორი

ხიჭაური

2021

ანოტაცია

საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური განვითარების გზა რთული და წინააღმდეგობრივია არა მხოლოდ წარსული პერიოდების გადმოსახედიდან, არამედ დღეისათვის 21-ე საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს და 30-იანი წლების დასაწყისში. იმედი იმისა, რომ 21-ე საუკუნე იქნებოდა შედარებით ნაკლებ პრობლემური ქვეყნის აღმშენებლობის გზაზე, გაუმართლებელი აღმოჩნდა, უამრავმა ახალმა გამოწვევამ იჩინა თავი, რომელსაც არ ელოდა ქვეყნის მოსახლეობა. აღმოცენდა უამრავი სოციალური პრობლემა, რაც სიღატაკეს უქადის ქვეყანას, რომლის თავიდან აცილებაც თვითოეულის ვალია.

ნაშრომი, რომელიც წარმოდგენილია თქვენს წინაშე, მიზნად ისახავს წარმოაჩინოს სოციალური პრობლემების დაძლევის ერთ-ერთი გზა გადასახადების რეგულირების დახმარებით, როგორც უმთავრესი ბერკეტი მთავრობის ხელთარსებულ ბერკეტებს შორის. ამ მიზნით ნაშრომში მოკრძალებული განხილვაა წარმოდგენილი გადასახადების წარმოშობასა და მის აუცილებლობაზე, განხილულია საქართველოს საგადასახადო სისტემა და პოლიტიკა, დასაბუთებულია მისი როლი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ზრდაში, განხილულია გადასახადებისაგან თავის არიდებისა და ამოღების პრობლემები, საუბარია გადასახადების გამარტივებისა და შეღავათების შესახებ, საუბარია ახალ მიგნებაზე ეკოლოგიური გადასახადის სახით და მინიშნებულია მის მნიშვნელობაზე, როგორც გარემოს დაცვის ერთ-ერთ სოციალურ პრობლემაზე და წარმოდგენილია უმუშევრობისა და სიღარიბის დაღევის შესაძლო გზები დღევანდელ პანდემიის შედეგად დაზარალებულ საქართველოში. გაკეთებულია ნაშრომის ავტორის მიერ საკუთარი მოსაზრებები და დასკვნები არა მხოლოდ მაგისტრის ხარისხის მაძიებლის გადმოსახედიდან, არამედ, როგორც მოცემულ სფეროში პრაქტიკული გამოცდილების მქონე მუშაკის.

A n n o t a t i o n

The political, economic or social development path of Georgia is difficult and contradictory not only from the perspective of the past, but also today in the late 20s and early 30s of the 21st century. The hope, that the 21st century would be less problematic on the way to rebuilding the country was not justified, many new challenges emerged, which the country's population did not expect. A lot of social problems have arisen, leading to poverty in the country, and it is our duty to each of us to avoid it.

The work aims to represent one of the ways of tackling social problems with the help of regulating taxes, as the main lever among the levers available to the government. For this purpose, the paper presents a discussion of the origins of taxes and their necessity, the tax system and policy of Georgia are discussed, its role in the socio-political growth of the country is substantiated, problems of tax evasion and collection, tax simplification and preferences are discussed, also a new concept in the form of environmental tax and its importance, as one of the social problems of the environmental protection and possible ways to reduce unemployment and poverty in Georgia, affected by today's pandemic are presented. There are the opinions and conclusions made by the author of the thesis, not only from the perspective of a master's degree applicant, but also as a worker with practical experience in a given field.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ანოტაცია

შესავალი

თავი 1. გადასახადების წარმოშობის ისტორია და მისი აუცილებლობა

1.1. გადასახადების თეორიისა და პრაქტიკის ზოგიერთი ისტორიული ასპექტი.....გვ.

1.2. გადასახადების ცნება, სახეები და კლასიფიკაცია, მისი ფუნქციები.....გვ.

1.3. საგადასახადო სისტემის თანამედროვე მიდგომები, საერთაშორიო

გამოცდილება.....გვ.

თავი 2. საქართველოს საგადასახადო სისტემა, საგადასახადო პოლიტიკა და მათი

როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ზრდაში

2.1. გადასახადებისაგან თავის არიდება, მათი ამოღების დაფარვის პრობლემები

გარდამავალ და განვითარებად ქვეყნებში..... გვ.

2.2. საგადასახადო სისტემის გამარტივება, საგადასახადო შეღავათები,

გდასახადებისაგან განთავისუფლება, მათი თეორიული საფუძვლები.....გვ.

2.3. რას გულისხმობს ეკოლოგიური დაბეგვრა და საგადასახადო სისტემების

ეკოსაგადასახადო მოწყობაგვ.

თავი 3. სოციალური პრობლემები და მათი დაძლევის გზები

3.1. სოციალური პრობლემების ცნება და მათი მოკლე მიმოხილვა.....გვ.

3.2. სხვადასხვა კომუნალური გადასახადები - ეშმაკი დეტალებშია- სიღარიბის

დაძლევა და უმუშევრობა-21-ე საუკუნის აქტუალური პრობლემა.....გვ.

3.3. ემსახურება თუ არა გადასახადები მოსახლეობის სოციალური პრობლემების

დაძლევას საერთოდ და მსოფლიო პანდემიის ფონზე.....გვ.

3.4. გამოკითხვები და კვლევები (მოსახლეობის დამოკიდებულება გადასახადების

შესახებ).....გვ.

დასკვნები და წინადადებები

გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

ნაშრომის აქტუალობა. თანამედროვე მსოფლიო მისი არსებობისა და განვითარების ოცდამეერთე საუკუნეს ითვლის. პირველყოფილი თემური წყობილებიდან ინფორმაციულ ერამდე მრავალჯერ შეიცვალა სახელმწიფოებრივი წყობა, პოლიტიკა, მმართველობის სტილი, ცხოვრების წესი. უცვლელი დარჩა მხოლოდ საზოგადოების სწრაფვა მოწესრიგებული ცხოვრებისაკენ. მსოფლიოს თვითოეული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია და მისი მმართველობა ყოველთვის ცდილობდა ეპასუხა იმ გამოწვევებისათვის, რასაც უმზადებდა ეპოქა. გაჩნდა რა სახელმწიფო, უმაღლეს დონის წესრიგში მისი შენახვა. აქედან ეყრება საფუძველი აღრიცხვას, რომლის ერთ-ერთი მიზანი სწორედაც რომ სახელმწიფოს შენახვისათვის საჭირო გადასახადების აკრეფა იყო. გადასახადების, რომლებიც მუდამ მძიმე ტვირთად აწევბოდათ გადამხდელებს. არადა, სახელმწიფოს შენახვისა და მისი ორგანიზებულად ფუნქციონირების ერთადერთი გზა სწორედაც, რომ გადასახადებია. ამიტომაც ის ყველა ეპოქაში აქტუალური საკითხი არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური და სოციალური კუთხით. განსაკუთრებით სახელმწიფოთა ეკონომიკური პოლიტიკის სწორი განვითარების კურსი არის მიდგომა საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავებასა და მის რეალიზებაში. სწორად გათვლილი ბიუჯეტი მყარი საფუძველია ქვეყანათა მოწესრიგებული ქმედებებისათვის. ბიუჯეტის სიმყარეს განაპირობებს სწორი საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს ბიზნესის საგადასახადო ადმინისტრირების მყარ საფუძველს. ბიუჯეტი იმდენად პოლიტიზირებულია მისი საგადასახადო ნაწილით, რომ დღეისათვის ყველა სუბიექტს აქვს სურვილი ფლობდეს ინფორმაციას რა მიმართულებით მიედინება ბიუჯეტის ხარჯვითი კატეგორია და რამდენად ემსახურება ის ქვეყნად არსებული სოციალური პრობლემების დაძლევას არა მხოლოდ ქვეყნის, არამედ თვითოეული ინდივიდის მასშტაბით.

კვლევის მიზანი - განპირობებულია განსაკუთრებული ინტერესით, თუ როგორ უნდა მოხდეს საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების ფორმირება, რომ აშკარად იგრძნობოდეს გადასახადების ტვირთის შემცირება და სწრაფვა სოციალური პრობლემების შემცირებისათვის, მზაობას სიღარიბის დაძლევისათვის.

როგორც ვხედავთ, მიდგომები წამოჭრილი საკითხისადმი ძალიან აუცილებელი და საჭირ-ბოროტაა, ჩვენი ქვეყნის გადასახედიდან არც თუ ისე ნათელი სტრატეგია შემუშავებული მათ დასაძლევად, ამიტომ საჭიროა მოიძებნოს ისეთი თანამედროვე საგადასახადო მიდგომები, რომელიც გაიაზრებს საერთაშორისო გამოცდილებას, გაითვალისწინებს ქართული მენტალიტეტის რიგ თავისებურებებს და დღის წესრიგში დააყენებს თანმიმდევრულ კონტროლს გადასახადებისაგან თავის არიდების, მათი ამოღების დაფარვის პრობლემების მოწესრიგებას არა ადმინისტრაციული, არამედ საგადასახადო კულტურის ამაღლების იდეოლოგიის დანერგვით, ისეთი გზების ძიებით, რომელიც გამოიწვევს გადასახადების გამარტივებას, რიგი შეღავათების დაწესებას და გამოყენებას ქართულ სინამდვილეში, რაც გაუვლიათ გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკას.

როგორც ვხედავთ, ნაშრომის კვლევის მიზანი საკმაოდ ფართოა, რომლის მიღწევასაც სჭირდება გარკვეული ამოცანების ჩამოყალიბება და გადაწყვეტა. ეს ამოცანებია:

1. მოვიძიოთ და წარმოვადგინოთ გადასახადების წარმოშობის ისტორია თანამედროვე მსოფლიოში უძველესი პერიოდიდან მოყოლებული დღემდე;
2. ავხნათ მათი წარმოშობისა და განვითარების კონცეფციური საფუძვლები;
3. თანმიმდევრობით მიმოვიხილოთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების საგადასახადო სისტემები მათი განვითარების თავისებურებებით;
4. გამოვყოთ საგადასახადო სისტემის როლი ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევაში;
5. მოვახდინოთ მსოფლიო საგადასახადო სისტემის შედარება საქართველოში არსებულ საგადასახადო სისტემასთან;
6. ჩამოვაყალიბოთ სოციალურ პრობლემათა გადაწყვეტის ჩვენეული გზები.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია საბაზრო ეკონომიკის ფუძემდებლური პრინციპები, მსოფლიო თანამედროვე და ქართველ მეცნიერთა ნაშრომების კვლევა საგადასახადო საკითხების მოწესრიგება-სრულყოფისათვის. ოფიციალური მასალების განხილვა ამ მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან ღონისძიებათა სისტემის შემუშავება და ხელშეწყობა საგადასახადო კულტურის დახვეწასა და მისი ტვირთის მსუბუქად ტარებისათვის. კვლევაში გამოყენებული იქნება ისეთი

მნიშვნელოვანი მეთოდები, როგორცაა შედარება, ინდუქცია, დედუქცია, სინთეზი და ანალიზი მთელი მათი სამართლებრივი და საკანონმდებლო არსით.

ვიმედოვნებთ, რომ გადასახადების დანახვა, როგორც სოციალური პრობლემების დაძლევის ერთ-ერთი ძირითადი გზა, ახალი ძიება არ არის და მუდამ დარჩება როგორც მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ბერკეტი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში, მაგრამ საკითხის ახლებური გააზრებაა, ახლებური მიდგომაა რომელიც თავის სიტყვას მინიმალურად მაინც იტყვის მოსახლეობის ცხოვრების დონის მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

თავი 1. გადასახადების წარმოშობის ისტორია და მისი აუცილებლობა

1.1. გადასახადების თეორიისა და პრაქტიკის ზოგიერთი ისტორიული ასპექტი

“ორი რამ, რასაც ადამიანი ვერ აიცილებს: სიკვდილი და გადასახადები” ბენჯამინ ფრანკლინი

როგორც ბენჯამინ ფრანკლის ამ ციტატიდან ჩანს, გადასახადები არის სიცოცხლისთვის და სოციალური პრობლემების მოგვარებისთვის აუცილებელი, იმ პირობებში როდესაც სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას, იზრუნოს საკუთარ მოსახლეობაზე, მას სჭირდება რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსების მოზიდვას, და როგორც ჩანს გადასახადებია ერთადერთი ეს რესურსი რომელსაც ძალიან დიდი ისტორიული საფუძველი და განვითარების ეტაპები აქვს. [ავტორი - ბესიკ შარაშიძე]

გადასახადების წარმოქმნის ისტორია ძველი დროიდან იღებს საფუძველს. გადასახადები სახელმწიფოების გაჩენასთან ერთად წარმოიშვა და დროთა განმავლობაში, მათი ბიუჯეტის შევსების მთავარ წყაროდ იქცა. გადასახადები აუცილებელი იყო სახელმწიფო ინსტიტუტების შესანახად. ანტიკურ ეპოქასა და შუა საუკუნეებში საგადასახადო სისტემა არ იყო განვითარებული და უფრო შემთხვევით ხასიათს ატარებდა. ადრეული პერიოდის გადასახადები უფრო დანამატს წარმოადგენდა, შემოსავლის სხვა წყაროებთან ერთად, როგორებიც იყო: ომში მოპოვებული ნადავლი, სახელმწიფო ქონებიდან შემოსავლები – დომენები, რეგალები. თავდაპირველად გადასახადები არასისტემური, ნატურალური ფორმით არსებობდნენ. გადასახადების ნატურალური ფორმით აკრეფის დოკუმენტალური დადასტუტება ჯერ კიდევ ჩვ. წელთაღრიცხვამდე V საუკუნეში გვხვდება. მაგალითად, მეფე დარიუსი გადასახადების სახით საჭურისებს ღებულობდა.(!) მოქალაქეები გადასახადის სახით სხვადასხვა სახის სამუშაოებსაც კი ასრულებდნენ. საზოგადოებრივი საჭიროება გადასახადის ფორმას განსაზღვრავდა. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარებამ გადასახადების ფულად ფორმას ჩაუყარა საფუძველი. თავიდან გადასახადებს კონკრეტული დანიშნულება ქონდა, პოპულარული იყო მიზნობრივი (მაგალითად: სასახლეების, ჯარის, სახელმწიფო მოხელეების შესანახად, გზების და ტაძრების ასაგებად) და განსაკუთრებული (ომის დროს) გადასახადები. მოგვიანებით გადასახადები სახელმწიფო

შემოსავლების ძირითადი წყარო გახდა. ამასთან საგადასახადო ტვირთი წარსულში საკმაოდ მძიმე იყო, რაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყნებში აჯანყებების საფუძველიც გამხდარა (ისტორიკოსები მხოლოდ ევროპაში 80 ასეთ “საგადასახადო ბუნტს” ასახელებენ.

იმისთვის, რომ გადასახადების წარმოქმნის ლოგიკური და ისტორიული ასპექტები კარგად გავიგოთ, ამისთვის საჭიროა პასუხი გაეცეს მარტივ კითხვას: -

რატომ იხდიდნენ გადასახადებს?

იმ საგადასახადო სისტემამდე მისასვლელად, რომელიც დღეს არსებობს, საზოგადოებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. თავდაპირველად საზოგადოებაში იყო იდეა, რომ ეს იყო საჩუქრი, რომელსაც მოქალაქე ჩუქნიდა სახელმწიფოს, მტრებისგან დაცვის სანაცვლოდ. შემდეგ ეს, საზოგადოებაში გავრცელებული იდეა შეიცვალა იდეით – ხელმწიფის თხოვნა ხალხისადმი საერთო მიზნების მხარდაჭერისათვის. ეს იდეა გადაიზარდა მოქალაქეთა სახელმწიფოსადმი ფულადი დახმარების გაწევაში. მეოთხე საფეხური თანამედროვე გადასახადებამდე სვლისკენ გახლდათ შემოწირულობის იდეა, რომელსაც იღებდნენ მოქალაქეები სახელმწიფოს ინტერესებისათვის. მეხუთე თეორია – ეს მოქალაქის ვალია სახელმწიფოს მიმართ. გადასახადების მეექვსე დონის იდეა კი – ეს რწმენაა, სახელმწიფოს უფლებაში იძულებით ამოიღოს ფული მოქალაქიდან სახელმწიფოს საერთო კეთილდღეობისათვის. და ბოლოს, საგადასახადო პროგრესის მეშვიდე საფეხურზე წარმოიშვა იდეა გადასახადებზე, როგორც აუცილებელ სახადზე ცივილიზებულ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის.

....(თანამედროვე გადასახადებს, საზოგადოება სხვადასხვანაირად განმარტავს. ის იდეა, რომ გადასახადები სახელმწიფოს ხელს უწყობს განვითარებაში, და თუ რამე კეთდება, რასაც თვალთ ვხედავთ, კეთდება გადასახადების გადამხდელის ფულით, არის საერთო და ზოგადი მოსაზრება. თუ უფრო ჩავუღრმავდებით მის არსს, მართლაც ასეა, სახელმწიფო, რომელსაც წარმოვადგენთ ჩვენ, მოქალაქეები, ჩვენი საზრუნავია, რომ ის იყოს ეკონომიკურად ძლიერი და წარმატებული. თუმცა იმდენადაა გადასახადის გადამხდელებში ნდობა დაკარგული, რომ მათი ფული ნამდვილად რეალურ საქმეს ხმარდება, უბრალოდ მოვალეების და ვალდებულებების გამო იხდიან გადასახადებს.

იმისთვის, რომ ჩვენი წარმოდგენის მასშტაბი გადასახდების გადამხდელების შესახებ გავზარდოთ, მიმოვიხილოთ ისტორიული ასპექტები, თუ როგორ მოვიდა ჩვენამდე გადასახადის გადამხდელის სტატუსი. [ავტორი-ბესიკ შარაშიძე]

ვინ იხდიდა გადასახადებს?

ამ კითხვაზე პასუხი მთელი კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ცალსახა იყო: გადასახადებს იხდიდნენ – “არაკეთილშობილნი”, ანუ გლეხები, ხელოსნები, ვაჭრები, კოლონიის მაცხოვრებლები. ეს მათი მოვალეობა იყო სახელმწიფოების მმართველთა სახსრებით უზრუნველყოფა. დაბეგვრის იდეა, როგორც თავისუფალი მოქალაქის ვალდებულების სახელმწიფოს წინაშე შედარებით ახალია — ის მას შემდეგ გაჩნდა, რაც ინგლისმა, აშშ-მ, ხოლო შემდეგ დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა შექმნეს კონსტიტუციები და დემოკრატიული სახელმწიფო მექანიზმები.

რისგან იხდიდნენ გადასახადებს?

როგორც ისტორია აჩვენებს, გადასახადებს იღებდნენ თითქმის ყველაფრიდან. მაგალითად ძველ რომში ეს იყო: დაწყებული კიტრიდან და დამთავრებული პროსტიტუციით.

ანტიკური ხანიდან დღემდე გადასახადები ყოველთვის წარმოადგენდა ნებისმიერი ქვეყნის არსებობის პირობას. სახელმწიფოს წარმოშობა და გადასახადები ერთმანეთისაგან განუყოფელია, ამდენად, ვფიქრობთ, უაღრესად მნიშვნელოვანია გარკვეული ისტორიული ანალიზის მიმოხილვა, თუ როგორი იყო გადასახადების საკითხისადმი მიდგომა ძველი დროიდან დღემდე.

საგადასახადო სისტემა ამა თუ იმ ისტორიული ეპოქის, სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის განვითარების შესაბამისად იცვლებოდა და ვითარდებოდა, იზრდებოდა გადასახადების როლი და მნიშვნელობა. საზოგადოდ, გადასახადების სახეების, მისი აკრეფის და დანიშნულებრივი განაწილების სისტემის მიხედვით, შესაძლებელია თავისუფლად ვიმსჯელოთ ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოებისა და ხალხების გარკვეულ ნიშან-თვისებებზე, სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და წარმოებითი განვითარების მასშტაბებზე.

1. ძველი ეგვიპტე.

ძველ ეგვიპტეში, სადაც ძალაუფლება, ძლიერ ბიუროკრატიულ მექანიზმს ეკუთვნოდა, საჭიროება ამხელა სახელმწიფო აპარატის შენახვისა იმდენად დიდი იყო, რომ წარმოშვა მრავალი სახის გადასახადი. საგადასახადო მოხელეები (იმ დროს მათ ფუნქციას მწერლები — საზოგადოების ყველაზე განათლებული ფენა ასრულებდა) იმდენად საპატიო თანამდებობად ითვლებოდა, რომ ეგვიპტის ფარაონებს იმქვეყნიურ ცხოვრებამდეც კი აცილებდნენ: ფარაონების სამარხებში სხვა მსახურების სტატუებთან ერთად, რომლებიც მბრძანებელს სიკვდილის შემდეგაც უნდა ხლებოდნენ, აღმოჩენილია მწერალი-გადასახადების ამკრეფთა ფიგურებიც. ისინი იმ ქვეყნადაც უნდა დახმარებოდნენ ფარაონს, სახელმწიფო ხაზინის შევსებაში.

2. ძველი საბერძნეთი

ძველ საბერძნეთშიც, ასევე არსებობდა საკუთარი საგადასახადო სისტემა. გადასახადი შემოსავალზე აქ შეადგენდა 10-დან 20%-მდე. ათენის თავისუფალი მოქალაქეები გადასახადებს არ იხდიდნენ, ანიჭებდნენ რა უპირატესობას ნებაყოფლობით შემოწირულობებს. მაგრამ იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფოს უწევდა დიდი ხარჯების გაღება – ომი ან დიდი მშენებლობა, სახალხო კრება აწესებდა აუცილებელ გადასახადებს ყველასათვის. გადასახადების გადამხდელების ფული იხარჯებოდა დაქირავებული ჯარის, ტაძრების და თავდაცვითი ნაგებობების ასაგებად, გზების გასაყვანად, დრესასწაულების მოსაწყობად და სხვა საჭიროებებზე.

3. ძველი რომი

პირველი ორგანიზებული საგადასახადო სისტემა ძველ რომში შეიქმნა. რომი უდიდესი იმპერია იყო, მისი სახელმწიფოებრივი მოწყობა გახდა მაგალითი ევროპული ქვეყნებისათვის, რომლებიც მოგვიანებით წარმოიქმნენ. ასევე რომის საგადასახადო სისტემაც სამაგალითო იყო. ისეთმა ტერმინებმა, როგორცაა აქციზი, ცენზი, ფისკალი, ჩვენამდე მოაღწიეს ზუსტად იმ ძველი დროიდან. სანამ რომი ქალაქ-სახელმწიფოდ რჩებოდა, მისი საგადასახადო სისტემა საკმაოდ მარტივი იყო. მშვიდობიანობის დროს გადასახადები საერთოდ არ იკრიფებოდა, ხოლო ხარჯები საზოგადოებრივი მიწების იჯარით გაცემის გზით იფარებოდა. სახელმწიფო აპარატი კი თავის თავს, ფაქტობრივად

თვითონვე ინახავდა. არჩევითი მაგისტრები თავიანთ მოვალეობებს, არათუ უანგაროდ ასრულებდნენ, საზოგადოებრივი საქმიანობებისათვის თავიანთ სახსრებსაც კი იღებდნენ, საკუთარი სახსრების სახელმწიფო მმართველობისათვის გაღება საპატიოდ ითვლებოდა. საომარ პერიოდებში კი რომის მოქალაქეები იბეგრებოდნენ თავიანთი შემოსავლების შესაბამისად, რისთვისაც ხუთ წელიწადში ერთხელ მოხელე-ცენზორებს წარუდგენდნენ განცხადებას თავიანთი ქონების და ოჯახური მდგომარეობის შესახებ. სწორედ ამ განცხადებების საფუძველზე, რომლებიც დღევანდელი საგადასახადო დეკლარაციების წინამორბედად ითვლება, განისაზღვრებოდა გადასახადის თანხა (ცენზი). როდესაც რომის სახელმწიფო გაფართოვდა და იმპერიად იქცა, ხოლო წარმატებული ომების შედეგად ახალი მიწები – პროვინციები შემოიერთა, გართულდა საგადასახადო სისტემაც. დაპყრობილ მიწებზე შემოღებულ იქნა კომუნალური (ადგილობრივი) გადასახადები, ამასთან რაც უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევდნენ რომაელებს ადგილობრივები, მით მალალი იყო მათთვის ადგილობრივი გადასახადი.

რომის პროვინციებში 50-მდე გადასახადი იყო, მათ შორის:

- ბაზრის ზედამხედველობის გადასახადები.
- გადასახადი ხელშეკრულებაზე.
- მოსაკრებელი ვირების ეტიკეტირებაზე.
- მოსაკრებელი ფულის გადაცვლაზე.
- გადასახადი მონებზე.
- სპეციალური გადასახადი ბოსტანზე.
- გაასახადი ღვინოზე, კიტრზე, მარცვლეულზე.
- გადასახადი მექისებზე, მეძავეობაზე.
- მოსაკრებელი ძეგლის დადგმაზე.
- მოსაკრებელი საპატიო სტუმრების შენახვაზე.
- მოსაკრებელი გადასახადების ამკრეფების შენახვაზე.
- მოსაკრებელი სანახაობის მოწყობაზე.
- გადასახადი საპონზე.
- კარიბჭეში შესვლის გადასახადი.

ჩამოთვლილთაგან მრავალი გადასახადი საბოლოოდ ბიზანტიის იმპერიაში გადავიდა. რომის მოქალაქენი, რომლებიც რომს გარეთ ცხოვრობდნენ, იხდიდნენ, როგორც სახელმწიფოებრივ, ასევე ადგილობრივ გადასახადებს. მაგრამ თუ ისინი მშვიდობიანობის დროს განთავისუფლებილნი იყვნენ გადასახადებისაგან, ადგილობრივი მოსახლეობა ასეთი შეღავათებით არ სარგებლობდა, რაც მათ დაქვემდებარებულ მდგომარეობას უსვამდა ხაზს. საშემოსავლო გადასახადი არ არსებობდა, მას ცვლიდა გადასახადი მემკვიდრეობაზე და სულადობაზე, რომელსაც ყველა მოქალაქე იხდიდა (ჰორიზონტალური სამართლიანობის სქემით). დიდი ხნის განმავლობაში რომაულ პროვინციებს საკუთარი ფინანსური ორგანოები არ ჰყავდათ, რომლებიც გადასახადებს აკრეფდნენ. ამიტომ, რომის პროვინციებში გადასახადების აკრეფით დაკავებულნი იყვნენ შემგროვებლები. მათი საქმიანობის კონტროლი საკმაოდ რთული იყო, გადამხდელისთვისაც უფრო მომგებიანი იყო ქრთამის მიცემა, ვიდრე მაღალი გადასახადის გადახდა. კორუფცია და თანამდებობის ბოროტად გამოყენებას აუცილებლად მიყავდა სიტუაცია ეკონომიკურ კრიზისამდე, რომელიც რომის იმპერიაში დაიწყო I საუკუნეში ჩვ. წელთაღრიცხვამდე.

სიტუაციის გამოსასწორებლად, იმპერატორი გაიუს იულიუს კეისარი (100 – 44 ჩვ. მდე.) იძულებული იყო წასულიყო საგადასახადო რეფორმაზე – შეემცირებინა გადასახადების რაოდენობა და დაეწესებინა სახელმწიფო კონტროლი დაბეგვრაზე. თუმცა გადასახადების ტვირთი მაინც მძიმე რჩებოდა. იმპერატორმა ოქტავიანუს ავგუსტუსმა (მართავდა 27 ჩვ. მდე. – 14 ჩვ. წ.) ასევე განახორციელა საგადასახადო რეფორმა. მან პროვინციებში შექმნა ფინანსური დაწესებულებები, რომლებიც აკონტროლებდნენ გადასახადების აკრეფას, რისთვისაც მოხდა ყოველი დასახლებული პუნქტის ტერიტორიის აზომვა, შედგა მიწის კადასტრები და მოახდინა მოსახლეობის ქონების აღწერა. გადასახადების აკრეფას კი, რომლის მთავარ სახეობას მიწის გადასახადი წარმოადგენდა, სახელმწიფო მოხელეები ახდენდნენ.

გადასახადების პირდაპირი და არაპირდაპირი დაყოფაც ძველი რომიდან იღებს სათავეს. ასე არაპირდაპირს განეკუთვნებოდნენ: გადასახადი ბრუნვიდან (1%), გადასახადი მონებით ვაჭრობიდან (4%), გადასახადი მონების განთავისუფლებისგან (5% მათი საბაზრო ღირებულებიდან), ასევე გადასახადი მემკვიდრეობიდან (5%), რომელსაც

მხოლოდ რომის მოქალაქეები იხდიდნენ და მათ მიზნობრივი დანიშნულება ჰქონდა – იხარჯებოდა პროფესიონალი ჯარისკაცების პენსიაზე. უკვე იმ ადრეულ დროში გადასახადები ასრულებდნენ არამხოლოდ ფისკალურ როლს, ასევე წარმოადგენდნენ სავაჭრო-ფულადი მეურნეობის დამატებით სტიმულს. გადასახადები ფულის სახით იხდებოდა, ამდენად მოსახლეობა იძულებული იყო მოსავლის ნაწილი გაეყიდა. ეს აღრმავებდა შრომის დანაწილებას და ურბანიზაციას.

რამდენადაც პარადოქსალურად არ უნდა ჟღერდეს, ძველი დროის ამ უდიდესი იმპერიის არსებობის ბოლოსაკენ, სახელმწიფო აპარატი უდიდეს სიმდიდრეს ფლობდა. ეს სიმდიდრე ძირითადად ფორმირდებოდა სასარგებლო წიაღისეულის, დაპყრობილი ერების და სხვადასხვა სახის ძღვენებისაგან.

4. შუა საუკუნეები (V – XVI ჩვ. წლ.)

ბიზანტიის იმპერია, სადაც მხოლოდ პირდაპირი სახის 21 გადასახადი არსებობდა, ასევე ყველანაირი არაპირდაპირი და საგანგებო გადასახადები, ზუსტად ამხელა საგადასახადო ტვირთმა მიიყვანა საგადასახადო ბაზის შემცირებასთან და სახელმწიფოს დაუძლურებასთან.

ამ დროს დასავლეთ ევროპაში გადასახადები ნაკლებად გავრცელებული იყო. ისინი ძირითადად კათოლიკური ეკლესიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდნენ. ხოლო მეფის, მისი სვიტის, არმიის, ასევე დიდგვაროვნების შენახვა ხდებოდა არა იმდენად გადასახადების, არამედ იმ გლეხების შემოსავლებიდან, რომლებიც ფეოდალების მიწაზე ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ. ასე, რომ გადასახადების სამართლიანობის და რაციონალურობის პრინციპზე იმ დროს საუბარიც არ იყო.

5. ახალი დრო (XVI – XIX საუკუნეები ჩვ. წ.)

თანამედროვე ევროპული სახელმწიფოები ძირითადად XVI-XVII საუკუნეებში ჩამოყალიბდნენ, თუმცა მათი დაბეგვრის სისტემა ჯერ კიდევ შორს იყო სრულყოფისაგან. ფეოდალური სისტემის დაცემის შემდეგ დაბეგვრის ძირითად ობიექტად იქცა მიწა – რადგან იმ დროს ზუსტად ის წარმოადგენდა ყველა სახელმწიფოს სიმდიდრის წყაროს. თავდაპირველად მიწის გადასახადის სიდიდე სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობით

განსაზღვრებოდა, მხოლოდ მოგვიანებით გაჩნდა იდეა დაეწესებინათ გადასახადი იმ წლიური შემოსავლის მიხედვით, რომელსაც მიწის მფლობელი იღებდა. შემდგომ კი, დიდი ბრიტანეთის ჩრდილოამერიკულ კოლონიებში იქნა შემოღებული საერთო გადასახადი ქონებაზე. ის გადაიხდებოდა არა მარტო მიწაზე, არამედ მასზე მდებარე შენობებზეც და პირად ქონებაზე. გადასახადების ძირითადი ნაწილი ხაზინაში საგანგებო გადასახადების სისტემის მეშვეობით ხვდებოდა, ხოლო მათ აკრეფას “გამომსყიდველები” ახდენდნენ, ეს იყო საქმოსნების კატეგორია, რომლებიც ვაჭრობისას ყველაზე დიდ თანხას იხდიდნენ გადასახადების აკრეფის უფლებისათვის და ამ გზით გამოისყიდისნენ მას, გამომსყიდველის მიზანი იყო გადასახადების მაქსიმალური რაოდენობის ამოღება, რათა თვითონაც მაღალი საკომისიო აეღო. ხსენებაც აღარ ღირს თუ რამდენად არაპოპულარულები იყვნენ გამომსყიდველნი მოსახლეობაში, თუ შუასაუკუნეების საეკლესიო მოღვაწე და ფილოსოფოსი თომა აქვინელი გადასახადებს “მარცვის დაკანონებულ ფორმას” უწოდებდა.

დღევანდელ მსოფლიოში გადასახადების ამოღება ხდება კანონით განსაზღვრული პირობების მიხედვით და ვინც არ გადაიხდის შესაბამისი სანქციაც ეკისრება, ამიტომ ეს საკითხი პერსონალიზებიდან სახელმწიფო დონეზე გადავიდა და მის ამოსაღებად, შებამისი ბაზის მოსამზადებლად და საკონტროლებლად შექმნილია სხვადასხვა სამსახურები, საქართველოში შემოსავლების სამსახური. ბიზნესმენი, ან რაიმე სამეწარმე საქმიანობის მქონე ფიზიკური ან იურიდიული პირი, იძულებულია თავისით მომზადოს მისი ყოველთვიური, ან და ყოველწლიური ფინანსური დეკლარაცია, წარუდგინოს შემოსავლების სამსახურს, რითაც აღიარებს რომ მას აქვს კონკრეტული თანხა გადასახდელი, მისი გადაუხდელობის შემთხვევაში შემოსავლების სამსახური სხვა იძულების ხერხებს იყენებს რომ ამოღოს გადასახდელი თანხა მაქსიმალურად. თანამდეროვე მსოფლიოში მსგავსი საკითხები ციფრულ დონეზეა მოგვარებული, და ელექტრონულად ხდება ყველა ოპერაცია ისე რომ გადასახდის ამომღებს არ უწევს გადამხდელთან პირდაპირი კონტაქტი, (ბ.შ)

დასაბუთებული და რაციონალური საგადასახადო სისტემები XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბდა, როდესაც ევროპულ ქვეყნებში განვითარდა ადმინისტრაციული სახელმწიფოებრიობა, რომლის განკარგულებაშიც იყო ჩინოვნიკების მძლავრი აპარატი.

დემოკრატიის განვითარებამ, ასევე იმოქმედა გადასახადებზეც. მანამდე, ინგლისში 1215 წელს შემოღებულ იქნა «თავისუფლებათა ქარტია», სადაც მითითებული იყო, რომ გადასახადების შემოღება მხოლოდ ერის თანხმობით იყო შესაძლებელი. ხოლო დიდი ფრანგული რევოლუციის შემდეგ, მთავრობამ ბიუჯეტის დამტკიცება დაიწყო. გადასახადები ასევე მსოფლიოში მრავალი კონფლიქტის მიზეზები გახდნენ: ნიდერლანდებს და ესპანეთს, შვეიცარიასა და ავსტრიას, კაზაკებსა და პოლონეთს, ინგლისსა და მის კოლონიებს შორის.

შემოსავლები, როგორც ძველ რომში, ამ შემთხვევებშიც პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების გზით შემოდიოდა. პირდაპირი გადასახადები ძირითადად სულადობის და საშემოსავლო გადასახადებზე მოდიოდა, რომლის პროცენტი 10-დან 15%-მდე შეადგენდა. დიდებულები და სასულიერო პირები მისი გადახდისაგან განთავისუფლებულნი იყვნენ, ამდენად მთელი საგადასახადო ტვირთი ბურჟუაზიასა და გლეხობაზე მოდიოდა. ძირითად არაპირდაპირ გადასახადს აქციზი წარმოადგენდა, რომელიც 5-დან 25%-მდე მერყეობდა. მაგრამ აქ წარმოიშვა წინააღმდეგობა. შემოჰქონდა რა მნიშვნელოვანი შემოსავლები ხაზინაში, გადასახადები მოხმარების საგნებზე ამუხრუჭებდნენ ვაჭრობის განვითარებას.

6. უახლესი დრო (XIX საუკუნე)

მე-19 საუკუნეში გადასახადების რაოდენობა შემცირდა. სახელმწიფო შემოსავლების მთავარ წყაროდ გადაიქცნენ გადასახადები ფიზიკური და იურიდიული პირების შემოსავლებზე. ეს კანონზომიერი იყო, რამდენადაც სამრეწველო რევოლუციის შემდეგ, საზოგადოების ახალი ეკონომიკური ცხოვრების წყობილების ჩამოყალიბებამ გამოიწვია პრაქტიკულად შემოსავლის ერთადერთი წყაროს, მიწის ნაცვლად, შემოსავლის და სიმდიდრის მრავალი სახეობის გაჩენა. წარმოების გაფართოებამ და ეკონომიკის გაზრდამ გადასახადები ახალ ეტაპზე გაიყვანა.

პირველად თანამედროვე საშემოსავლო გადასახადის წინამორბედი შემოღებულ იქნა ინგლისში 1799 წელს, რაც გამოწვეული იყო ნაპოლეონთან ომის დაფინანსების აუცილებლობით. ხოლო, როდესაც საფრანგეთის იმპერატორის ჯარი საბოლოოდ განადგურებული იქნა, ინგლისელებმა იქვეს გააუქმეს ეს “უსიამოვნო” გადასახადი, და

თითქმის მეოთხედი საუკუნე ხელისუფლება ვერ ბედავდა მის თავიდან შემოღებას. აღდგენილი რამოდენიმე ათეული წლის შემდეგ, ის გახდა სამაგალითო სხვა ანალოგიური გადასახადებისათვის სხვა ქვეყნებში. თუმცა თავდაპირველად იქაც ისევე რთულად იქნა მიღებული, როგორც ინფლისში. პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მასიურად გატარდა საგადასახადო რეფორმები.

დასკვნა

დაბეგვრის კარგი სისტემა – დინამიკური მოვლენაა. თანამედროვე საგადასახადო სისტემა ცოცხალი ორგანიზმივითაა, ვითარდება თანამედროვეობასთან ერთად და ეწყობა განვითარებას, განსხვავდება ქვეყნების სპეციფიკურობიდან გამომდინარე. აშკარაა რომ ყველა ქვეყანაში ვერ იმუშავებს ერთი და იგივე სქემით აწყობილი საგადასახადო სისტემა. თუმცა არსებობს საერთაშორისო სტანდარტები რომელიც ხელს უწყობს რომ ძალიან არ განსხვავდებოდეს სხვადასხვა ქვეყნების საგადასახადო სისტემები რათა არ დაირღვეს ბალანსი, სავაჭრო ურთიერთობებში. საკმაოდ რთული და დიდი გზა განვლო საგადასახადო სისტემამ, რომ ის ჩვენამდე იმ სახით მოსულიყო, როგორც არის.

საგადასახადო სისტემის ისტორიიდან გამომდინარე და იმ სირთლიდან გამომდინარე, რომელშიც ყოფნა უწევდა მოსახლეობას, რთული წარმოსადგენია როგორ ახერხებდა ადამიანი სამეურნეო საქმიანობას და ამხელა ტვირთის ტარებას ერთად, და ის ფაქტი რომ მსგავსი მოსაზრება არაა საფუძველს მოკლებული, ორი ერთმანეთისაგან 17 საუკუნით დაშორებული ფრაზაც მეტყველებს. პირველი ეკუთვნის ცნობილ რომაელ ორატორს ციცერონს, რომელმაც 2000 წლის წინანდელი რომის საგადასახადო სისტემა შემდეგი ფრაზით შეაფასა: “მხოლოდ აზრია უფასო”.

ხოლო 1668 წელს მისი გამონათქვამი თითქმის სიტყვასიტყვით გაიმეორა ჰოლანდიაში ინგლისის მეფის აგენტმა, რომელმაც ჰოლანდიის საგადასახადო სისტემა შემდეგი ფრაზით აღწერა: “ჰოლანდიაში ყველაფერი იბეგრება ჰაერის და წყლის გარდა”. სამწუხაროდ, დასკვნა არასწორი იყო: სინამდვილეში ჰოლანდიელები ჰაერის გადასახადსაც იხდიდნენ (ქარის წისქვილების მფლობელები იბეგრებოდნენ ქარის გამოყენების უფლებისათვის) და წყლისაც – მდინარეები და არხები გადაკეტილი იყო

მრავალრიცხოვანი შლუზებით, რომელთა გავლა მხოლოდ საფასურის გადახდის შემდეგ იყო შესაძლებელი.

თუმცა, არამხოლოდ ჰოლანდიაში, სხვა ქვეყნებშიც ხელისუფლება არანაკლები სიმძიმის გადასახადებს აკისრებდა მოსახლეობას. არაა შემთხვევითი, რომ საფრანგეთის ეროვნული გმირი ჟანა დ'არკი (1412–1431), შემდგომში კანონიზებული კათოლიკური ეკლესიის მიერ, რომელიც ხელმძღვანელობდა ფრანგულ ჯარს 1429 წელს, ჯერ შემლო გაენტავისუფლებინა ახალი ორლეანი ინგლისელების ნახევარწლიანი ალყისაგან, ხოლო შემდგომ ტახტზე აიყვანა პრინცი კარლი, მთავარი ჯილდოს სახით ახალ მეფეს, მისი მშობლიური სოფლის დომრემის გადასახადებისაგან გაენტავისუფლებას სთხოვდა. ამის გამოცაა, ასე ძალიან, რომ უყვართ ფრანგებს ეს წმინდანი და თვლიან თავიანთი ქვეყნის მფარველად.

აუტანელი საგადასახადო ტვირთი მუდმივად იწვევდა მოსახლეობის გაღიზიანებას და როგორც აღვნიშნეთ საქმე ხშირად ბუნტამდეც კი მიდიოდა (მხოლოდ ევროპაში ისტორიკოსები 80-მდე “საგადასახადო აჯანყებას” ითვლიან, მსოფლიოში კი ბევრად მეტი). ერთერთი ყველაზე ცნობილი მათ შორის, რა თქმა უნდა “ბოსტონური ჩაისსმაა”. ამ მოვლენების მიზეზი იმაშია, რომ მანამდე ინგლისმა კოლონიის მაცხოვრებელთათვის შემოიღო გადასახადი ჩაის შექმნაზე. თავდაპირველად ამერიკელები ამას ძალიან არ შეუწუხებია, რადგან უმეტესწილად ჩაი ამერიკაში ჰოლანდიიდან კონტრაბანდული გზით შედიოდა. მაგრამ შემდეგ ინგლისელებმა მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც “ლეგალური ჩაის” შემოტანა ქვეყანაში შესაძლებელი გახდა მოსაკრებლის გადახდის გარეშე. შედეგად ასეთი ჩაი უფრო იაფიანიც კი აღმოჩნდა, ვიდრე კონტრაბანდული, რამაც ამერიკელი კონტრაბანდისტები შემოსავლის გარეშე დატოვა. სამაგიეროდ ინგლისელებს გარანტირებულად აძლევდა ჩაიზე გადასახადების მიღების შესაძლებლობას. ბოსტონელებმა მოითხოვეს, რომ გემები, რომლებმაც “ჩაი გადასახადებით” ჩამოიტანეს დაბრუნებულიყვნენ უკან ევროპაში. მაგრამ შტატ მასაჩუსეტის ბრიტანელმა გუბერნატორმა თომას ჰაჩისონმა განაცხადა, რომ გემები მანამდე დარჩებოდნენ პორტში, სანამ ბოსტონელები არ გადაიხდიდნენ ამ ჩაისათვის დაწესებულ გადასახადებს ბრიტანეთის ხაზინაში. და მაშინ 1773 წლის 16 დეკემბერს ბოსტონის მაცხოვრებლებმა, რომლებიც გადაცმულნი იყვნენ ინდიელთა სამოსში (რათა

ინგლისელებს არ ეცნობთ), დაიკავეს ინგლისური ოსტ-ინდური კომპანიის საკუთრებაში მყოფი სამი გემი და გემბანიდან ზღვაში გადაყარეს 342 ყუთი ჩაი, ხოლო გადასახადების ბრიტანელი ამკრეფავი ჩამოახრჩვეს.

ამის საპასუხოდ ბრიტანეთის ხელისუფლებამ დახურა ბოსტონის პორტი ყველა გემისათვის, რაც თავის მხრივ ჩრდილოამერიკელი კოლონისტების აჯანყების დასაწყისად იქცა. შედეგად ბრიტანეთმა დაკარგა ეს კოლონიები და დაიბადა ახალი სახელმწიფო – ამერიკის შეერთებული შტატები. [<https://www.linkedin.com/pulse/-amiran-kiladze>]

1.2 . გადასახადების ცნება, სახეები და კლასიფიკაცია, მისი ფუნქციები

გადასახადების თეორიები:

დიდი ხნის განმავლობაში ეკონომისტებს აწუხებდათ შეკითხვა: ბიუჯეტის ფორმირება უნდა ხდებოდეს სუფთა ფისკალური მეთოდებით თუ უმჯობესია ხდებოდეს სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირება და საგადასახადო ბაზის გაფართოება გადასახადების შემცირების გზით? რომელი გზაა სწორი? ამგვარად სახელმწიფოს სჭირდებოდა არამხოლოდ საგადასახადო სისტემა, არამედ დაბეგვრის მეცნიერული თეორიებიც. დაიწყო გადასახადების ბუნების, მეთოდის და პრობლემების შესწავლა.

ასეთი თეორიის შემქმნელად ითვლება XVIII საუკუნის ცნობილი შოტლანდიელი ეკონომისტი და მეცნიერი ადამ სმიტი, რომელმაც ჩამოაყალიბა საგადასახადო სისტემის ძირითადი პრინციპები. თომა აქვინელის საპირწონედ ის ამტკიცებდა, რომ გადასახადები გადამხდელისათვის – ნიშანია არა მონობის, არამედ თავისუფლების. ადამ სმიტის ნაშრომი “გამოკვლევა ხალხის სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ”, რომელიც 1776 წელს გამოიცა, განსაზღვრავდა დაბეგვრის ძირითად პრინციპებს, რომელთაც მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავთ:

- **სამართლიანობის პრინციპი:** “სახელმწიფოს ხელქვეითები ვალდებული არიან შეძლებისდაგვარად, თავისი შესაძლებლობების შესაბამისად მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფოს შენახვაში, ანუ შემოსავლების შესაბამისად, რამდენადაც სარგებლობენ სახელმწიფოს მფარველობით და დაცვით. – **განსაზღვრულობის**

პრინციპი: “გადასახადი, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს ყოველმა პირმა, უნდა იყოს ზუსტად განსაზღვრული და არა შემთხვევითი. გადახდის ვადა, გადახდის მეთოდი, გადასახადის თანხა – ყოველივე ეს უნდა იყოს ნათელი და განსაზღვრული გადამხდელისათვის.

განუსაზღვრელობა დაბეგვრაში წარმოშობს ამპარტავნობას და ხელს უწყობს იმ ხალხის მოსყიდვის რისკს, რომლებიც კრეფენ გადასახადებს და რომლებიც ისედაც არ სარგებლობენ პოპულარობით, თუნდაც ამპარტავნები და მოსყიდულნი არციყვნენ”.

- **მოხერხებულობის პრინციპი:** “ყოველი გადასახადი უნდა იქნას ამოღებული იმ დროს და იმ ხერხით, როგორც და როდესაც გადამხდელისათვის იქნება მოსახერხებელი მისი

გადახდა.

– ეკონომიის პრინციპი: “ყოველი გადასახადი იმგვარად უნდა იყოს ჩაფიქრებული და დამუშავებული, რომ მას ამოჰქონდეს და აკავებდეს მოსახლეობის ჯიბიდან იმაზე ნაკლებს, რაც მას მოაქვს სახელმწიფო ხაზინისათვის. დაავალდებულო მოსახლეობას გადაიხადოს, ამ გზით შესაძლოა შეამცირო და გაანადგურო კიდეც ის ფონდები, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსახლეობას გადაიხადოს გადასახადები მარტივად. „(არაგონივრული გადასახადები ქმნის კონტრაბანდის დიდ რისკს)“.

შედეგად სახელმწიფოების მთავარ შემოსავლის წყაროდ იქცნენ ფიზიკური და იურიდიული პირების გადასახადები შემოსავლებზე. ეს კანონზომიერიც იყო.

ყოველი სიახლე გადასახადების სფეროში ყოველთვის იწვევს გადამხდელების წინააღმდეგობას, მიიჩნევენ რომ ის არაგონივრული და უსამართლოა.

და სადღაც მართლებიც არიან ვინაიდან არ არსებობს იდეალური სიტემა, სადაც ერთნაირად იქნება გათვალისწინებული გადამხდელის და სახელმწიფოს ინტერესები, შესაბამისად გადასახადის გადამხდელის გადასახედიდან თუ ვიმსჯელებთ, მათი სკეპტიციზმი იმითაა განპირობებული რომ პრაქტიკამ დღემდე რაც აჩვენა, უფრო მეტად რთულდება სისტემა, და შრომატევადი ხდება ყველაფრის კანონმდებლობის მიხედვით აღრიცხვა, ერთის მხრივ ისინი ვალდებულები არიან სწორად აწარმოონ საქმიანობა, და სწორად გადაიხადონ გადასახადები, რთული მოთხოვნების და სისტემების პარალელურად საჭირო ხდება კვალიფიციური კადრის დაქირავებე მსგავსი საქმიანობის შესასრულებლად, რაც ცალკე ხარჯებთანაა დაკავშირებული, ერთის მხრივ ეზრდება გადასახადები, მეორეს მხრივ ეზრდება შესასრულებელი საქმიანობა, და საჭიროებს სპეციალისტის დაქორავებს, რაც თავის მხრივ არცისე იაფი ჯდება, და ამ ორ ზღვას შორის უწევს თავის გადარჩენა მეწარმეს. ფიზიკური პირების შემთხვევაში, გადასახადების ამოღება შედარებით გამარტივებულია, ვინაიდან მისი დაკავების და საგადასახადო ორგანოში წარდგენის ვალდებულება დამსაქმებელს აქვს, გარდა ქონების გადასახადისა, ქონების შესახებ ინფორმაციას თვითონ ფიზიკური პირი წარადგენს შესაბამის ორგანოში, და გადასახადის ოდენობაც მისი ქონების ღირებულების მიხედვით დგინდება. (ბ.შ)

ზემოთ მოყვანილი პრინციპების მაგალითის განხილვა საქართველოს მაგალითზე:

1. სამართლიანობის პრინციპი: - ჩემი აზრით, საქართველოში გადასახადების გადამხდელის უმრავლესობას რომ კითხო რამდენად სამართლიანი და ლოგკური

საგადასახადო სისტემა გავქს, ალბათ სასაცილოდ არ ეყოფა, ვინაიდან ვერ გრძნობენ სამართლიანობის იმ დოზას, რომელსაც აღნიშნული პრინციპი ითვალისწინებს. კი, სახელმწიფო ვალდებულია დაგიცვას, უზრუნველყოს შენი სოციალური და ეკონომიკური სტაბილურობა, ჯანდაცვა, დასაქმება, მოწესრიგოს ის ინფრასტრუქტურა რომელიც შენი ყოველდღიურობის ნაწილია, გქონდეს გზა სახლში მისასვლელად, მოწერიგებული იყოს ქუჩები, არ იყოს კრიმინალი ქვეყანაში და ა.შ... ჩვენ ხომ გადასახადების სწორედ ამ ყველაფრისთვის ვიხდით. ერთი შეხედვით კი სახელმწიფოს მიერ გაკეთებული, ნებისმიერ დინეზე, არ ჩანს და არ ვფიქრობ რომ სახელმწიფო არ აკეთებს და არ ცდილობს ამ პრობლემების მოგვარებას, უბრალოდ ნაკლებად ხდება ამ საკითხების წამოწევა და მოსახლეობა არაა ინფორმირებული სად მიდის მათი გადასახადები, გაუმჭვირვალეა სახლმწიფოს ფინანსები, ჩვენთვის ისაა ცნობილი რასაც გვეუბნებიან, საბოლოოდ კი ისე გამოდის რომ მოსახლეობამ არ იცის სად მიდის მათი გადასახადები და რომ არა კანონმდებლობით განსაზღვრული, უხეშად რომ ვთქვათ, გადასახადების ამოღების იძულების ფორმები, არავინ გადაიხდიდა გადასახად. (ბ.შ)

2. განსაზღვრულობის პრინციპი: - რაც შეეხება განსაზღვრულობის პრინციპს, საქართველოში არსებულ გადასახადებზე შედარებისას წინააღმდეგობამ ნაკლებად მოდის. საქართველოში არის გადასახადების კონკრეტული საპროცენტო განაკვეთები განსაზღვრული, და დრო, რა დროის პერიოდში უნდა გადაიხადო გადასახადი. და ასევე არსებობს სანქციები, გადაუხდელობის შემთხვევაში. კონკრეტულ მაგალითზე: საშემოსავლო გადასახადი ხელფასზე არის 20%, და მეწარმე რომელიც დასაქმებულს უხდის ხელფასს ვალდებულია ყოველი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე წარადგინოს დეკლარაცია, მისი თვის განვალობამ გაცემული ხელფასების შესახებ და შესაბამისი გადასახადი გადაიხადოს ხელფასის გადახდისთანავე, სანქცია გადაუხდეულ გადასახადებზე შეადგენს 0,05 % -ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (ბ.შ)

3. მოხერხებულობის პრინციპი: - საქართველოში, გადასახადების გადახდისთვის არსებობს სხვადასხვა დროის პერიოდი სხვადასხვა გადასახადებზე, მაგალითად, საშემოსავლო გადასახადი უნდა გადაიხადოს ხელფასის გადახდისთანავე, დღგ-ს გადასახადი, ყოველთვიური დეკლარაციის წარდგენის შემდეგ, ინდ მეწარმეების საშემოსავლო გადასახადი წელიწადში ერთხელ, საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, ასევეა ქონების გადასახადი. იმპორტის გადასახადის შემთხვევაში არის 5

დღიანი, 10 დღიანი და 15 დღიანი პერიოდი, ასევე 1 თვიანი. მოკლედ ეს სისტემა ჩემი აზრით ისეა შემუშავებული რომ სწორად პასუხობს აღნიშნულ პრინციპს. (ბ.შ)

4. ეკონომიის პრინციპი: - ჩემი აზრით დღეს არსებული გადასახადის განაკვეთები, იმ ეკონომიკის პირობებში რომელშიც იმყოფება საქართველო, შეესაბამება რეალობას და არ ქმნის უსამართლობის განცდას, ვინაიდან სახელმწიფოს არ გააჩნია იმდენი რესურსი რომ ეს განაკვეთები შეამციროს, ასევე ჭირდება ფული არსებობისთვის, ერთერთი გზა სწორედ გადასახადების დაწესება და მათი ამოღებაა, თმცა აქვე უნდა აღვნიშნო რომ უსამართლობის განცდა იმ ნაწილში ჭარბობს, თუ სად და როგორ იხარჯება ჩვენი ფული. საბოლოო ჯამში დღეს არსებული საგადასახადო პოლიტიკა, აღნიშნულ პრინციპს პასუხობს, იმ გადასახადიდან რა მდგომარეობაშიცაა ქვეყნის ეკონომიკა. (ბ.შ)

პრაქტიკამ აჩვენა, რომ გადასახადების რეალური შემცირება შესაძლებელია მხოლოდ იმ სახელმწიფოებში, რომელთაც მყარი ეკონომიკური ბაზა აქვთ. მხოლოდ მაშინ შეუძლიათ გადასახადების შემცირებას წარმოების ზრდამდე მიყვანა, რომელიც მომავალში მოახდენს საგადასახადო შემოსავლების შემცირების დროებით კომპენსირებას. ამ პრინციპზე აგებენ თავიანთ საგადასახადო პოლიტიკას მსოფლიო წამყვანი სახელმწიფოები. საგადასახადო რეფორმების აზრი, რომლებიც განხორციელდა XX საუკუნის 80-90-იან წლებში, დაფუძნებულია კაპიტალის დაჩქარებულ ზრდაზე და საქმიანი აქტივობის სტიმულირებაზე. კლებულობს საგადასახადო განაკვეთები კორპორატიულ შემოსავლებზე (აშშ-ში 46-დან 34%-მდე, დიდი ბრიტანეთში 45-დან 35%-მდე, იაპონიაში 42-დან 40%-მდე). ამას გარდა, შემცირებულია ფიზიკური პირების პირად შემოსავლებზე გადასახადების ზედა ზღვარი, გაფართოებულია დაუბეგრავი შემოსავლების ინტერვალი. თუმცა პირდაპირი გადასახადების შემცირება კომპენსირდება არაპირდაპირი გადასახადების გაზრდით – ისეთი, როგორიცაა გადასახადები გაყიდვებიდან, დამატებული ღირებულების გადასახადი და სხვა. ამასთან ერთად ძლიერდება კონტროლი საგადასახადო კანონმდებლობის შესრულებაზე და მკაცრდება ეკონომიკური და იურიდიული პასუხისმგებლობა და სანქციები, მათ მიმართ, ვინ კანონმდებლობას არღვევს.ამან და სხვა ბევრმა მსგავსმა მოვლენამ ბოლოს და ბოლოს აიძულა სახელმწიფო მოღვაწეები და მეცნიერები, დაფიქრებულიყვნენ იმაზე, თუ როგორ გარდაექმნათ საგადასახადო სისტემები უფრო გონივრულად, მარტივად და შესაბამისად ნაკლებად გამაღიზიანებელი გაეხადათ გადამხდელისათვის.

დაბეგვრის იდეალური სისტემის ძიება დღესაც გრძელდება, და ალბათ ეს უსასრულოდაც გაგრძელდება, რამდენადაც გადასახადები უნდა შეესაბამებოდნენ თითოეული ქვეყნის თავისებურებებს, იქნება ეს მისი ეკონომიკური განვითარების დონე თუ მოქალაქეების ცხოვრების წესი.

თანამედროვე საგადასახადო სისტემაში წამყვანი ადგილი პირდაპირ და პროგრესულ გადასახადებს უკავიათ. პროგრესული გადასახადი ცალკეული პირებისთვის შემოსავლების ზრდის პროპორციულად საგადასახადო განაკვეთის მომატებას გულისხმობს. განვითარებულ ქვეყნებში საგადასახადო სისტემები და კანონმდებლობა მაქსიმალურადაა მორგებული საზოგადოების ინტერესებს.

განხორციელდა გადასახადების დიფერენცირება, ორი ძირითადი პრინციპით:

- გადახდისუნარიანობის პრინციპით;
- მისაღები სარგებლის პრინციპით.

ჩემი შეხედულებით, საბოლოო ჯამში, საქართველოს შემთხვევაში, სამწუხაროდ არ არსებობს ჩამოყალიბებული და კარგად გათვლილი საგადასახადო პოლიტიკა. არ წარმოებს საგადასახადო სისტემის განვითარების თეორიული კვლევები, არ ხდება მცირე საწარმოების გამოცდილებების გააზრება, დაბეგვრის სიტემა ერთნაირია მცირე საწარმოებსა და მსხვილ საწარმოებს შორის, ამას ემატება ხშირი ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში, ხოლო თავად ცვლილებები განპირობებულია არა გარკვეულ სტრატეგიულ ანალიზებზე დაყრდნობით, არამედ იმ თანამდებობის პირებზე, ვინც მოდის სათავეში, მათი შეხედულებების და პირადი ინტერესებიდან გამომდინარე ახდენენ ცვლილებებს კანონმდებლობაში. ეს ყოველივე, რა თქმა უნდა უარყოფითად მოქმედებს ქვეყანაში მეწარმეობის განვითარებაზე და საკმაოდ ამუხრუჭებს ეკონომიკურ ზრდას. [(ბ.შ) <http://primegeorgia.ge/2017/12/02/გადასახადები-მათი-წარმო/> ავტორი:ამირან კილაძე]

1.3. საგადასახადო სისტემის თანამედროვე მიდგომები, საერთაშორისო გამოცდილება

თანამედროვე საგადასახადო სისტემასთან ყველაზე მეტი საერთო ძველი რომის საგადასახადო სისტემას აქვს, და ეს ბუნებრივიცაა, რადგან, თანამედროვე სახელმწიფოებრიობის მრავალი ელემენტი სწორედ რომის იმპერიაში ჩაისახა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ დღეისათვის არსებული საგადასახადო დეკლარაციის მსგავსად, რომელი ცენზორები გადასახადის მოცულობას გადამხდელთა მიერ წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე განსაზღვრავდნენ.

თანამედროვე განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების საგადასახადო სისტემათა ჩამოყალიბება მოხდა სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პირობების ზემოქმედებით. გადასახადების სახეების, მათი სტრუქტურის, ამოღების წესების, განაკვეთების ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე ფისკალური უფლებამოსილების, საგადასახადო ბაზის, გადასახადების მოქმედების სფეროს, საგადასახადო შეღავათების მიხედვით. განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემები ერთმანეთისაგან ძირეულად განსხვავდებიან. ამასთან, უცხოეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემებს გააჩნიათ საერთო თავისებურებებიც:

1. საგადასახადო სისტემები ეფუძნება ეკონომიკური თეორიის ისეთ ცნობილ პრინციპებს, როგორცაა: საგადასახადო დაბეგვრის თანასწორობა, სამართლიანობა, ეფექტიანობა.

2. სახელმწიფო საგადასახადო შემოსავლების გადიდების ახალი გზების (რეზერვების) გამონახვა. ნებისმიერი ქვეყნის საგადასახადო სისტემა მოიცავს საგადასახადო სამსახურების ორგანოებს, საგადასახადო დაბეგვრის პრინციპებსა და მეთოდებს, საგადასახადო ურთიერთობათა მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებს, გადასახადების მოსაკრებლების და ბაჟის სახით საბიუჯეტო სისტემაში აუცილებელ ერთობლიობას და აგრეთვე, საგადასახადო ურთიერთობათა სუბიექტების უფლებებსა და მოვალეობებს. საზღვარგარეთის ქვეყნებში გადასახადები წარმოდგენილია ძირითადი სახეებით: ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, იურიდიულ პირთა საშემოსავლო გადასახადი, ბრუნვის გადასახადი (დამატებული ღირებულების გადასახადი, გაყიდვიდან გადასახადი), სოციალური დაზღვევის ფონდებში შენატანები, მოხმარებაზე განსაკუთრებული სახის გადასახადები, გადასახადები, რომელთა ბაზაა დაგროვილი სიმდიდრე (ქონების გადასახადი, მემკვიდრეობისა და ნაჩუქრების გადასახადი) [კაკულია და გაბელაშვილი, 2012, გვ. 258]. თითოეულ სახელმწიფოში გადასახადით დასაბეგრი ბაზის განსაზღვრას გააჩნია რიგი თავისებურებანი, რაც ასახავს

კანონმდებლობის მიდგომას განსახორციელებელი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ . საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემების შედარებას მივმართავთ იმისთვის, რომ დადგინდეს დაბეგვრის სხვადასხვა სისტემების დადებითი და უარყოფითი მხარეები, მოვახდინოთ ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა და მათი გაუმჯობესების მიზნით დაგროვილი დადებითი გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობა. კვლევებმა გვიჩვენა, რომ როგორც ევროპაში, ასევე მთელს მსოფლიოში, გადასახადების სახეებსა და მათ განაკვეთებს შორის თვალსაჩინო განსხვავებებია. ეს დამოკიდებულია მათი ქვეყნების ეკონომიკის სპეციფიკაზე, ბიუჯეტის მდგომარეობაზე, განვითარების დონეზე, ამ საკითხებისადმი მთავრობის ორგანოების და მეცნიერთა მიდგომებზე და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვემოთ წარმოდგენილი გვაქვს საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყნის საგადასახადო სისტემების მიმოხილვითი დახასიათება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში (აშშ) გადასახადების სტრუქტურა და საგადასახადო ადმინისტრირების პროცესი წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ ურთულეს, თუმცა ეფექტიან სისტემას, რომელსაც ახორციელებს ფინანსთა სამინისტრო. 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში საგადასახადო შემოსავლების მოცულობამ აშშ-ში შეადგინა დაახლოებით 3,42 ტრილიონი დოლარი, რომელიც შედგება ინდივიდუალური და კორპორატიული საშემოსავლო გადასახადებისაგან, სახელფასო გადასახადებისა და სხვა გადასახადებისაგან. ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადი 2020 წელს ჯამში 1.6 ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო კორპორატიული შემოსავლის გადასახადმა 2312 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. [<https://www.statista.com/statistics/216928/us-government-revenues-by-category/>]

ქვეყანაში მოქმედ მეწარმეებს უწევთ სხვადასხვა დონის გადასახადების გადახდა. შესაბამისად, გადასახადების სტრუქტურა მოიცავს ფედერალურ, შტატების და ადგილობრივ გადასახადებს. აღნიშნული გადასახადები არა მხოლოდ გადამწყვეტ როლს ასრულებენ ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებაში, არამედ ქვეყნის ბიზნესსექტორის მართვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად გვევლინება აშშ მოქმედი ფედერალური გადასახადებიდან აღსანიშნავია საშემოსავლო გადასახადი, რომელსაც მოცულობით პირველი ადგილი უკავია ბიუჯეტის ფორმირებაში. როგორც ცხრილიდან ჩანს, აშშ-ში ვალდებული პირი იხდის სამ საშემოსავლო გადასახადს, ფედერალური გადასახადისაგან განსხვავებით შტატების და ადგილობრივ დონეზე მოქმედებს დაბალი საპროცენტო

განაკვეთი (2-10%-ის ფარგლებში). საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში გამოიყენება საშემოსავლო გადასახადის პროგრესიული განაკვეთი. კორპორაციათა შემოსავლის (მოგების) გადასახადი აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტის 10 %-ს შეადგენს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კორპორაციათა დასაბეგრი შემოსავლის (მოგების) საგადასახადო განაკვეთი საგადასახადო ბაზის ზრდასთან ერთად პროგრესირდება და მერყეობს 15% - 39% ფარგლებში. ამ ნიშნულის შემდეგ კი მოგების გადასახადი იღებს რეგრესიულ ხასიათს და საგადასახადო ბაზის შემდგომ ზრდასთან ერთად გამოიყენება შემცირებული საგადასახადო განაკვეთი. ხოლო 18 333 333 აშშ დოლარის საგადასახადო ბაზის ზევით განაკვეთი შეადგენს 35%- ს საგადასახადო ბაზის გარკვეული მოცულობის შემდეგ მოგების გადასახადის განაკვეთის პროგრესულიდან რეგრესიულზე და პირიქით გადაყვანა უკავშირდება არაკეთილსინდისიერი მეწარმის მიერ ბიუჯეტში გადასახდელი თანხის დამალვის მიზნით კომპანიების დაყოფას მცირე საწარმოებად საგადასახადო ბაზის შესამცირებლად და მაღალი საგადასახადო განაკვეთებისაგან თავის არიდებას. ამგვარად, ამერიკის შეერთებულ შტატებში კორპორაციათა დასაბეგრი შემოსავლის არსებული საგადასახადო სისტემა შედარებით შეღავათიან პირობებში აყენებს მცირე და საშუალო ბიზნესს, რაც ხელს უწყობს მათ სტიმულირებას. ეს მნიშვნელოვანია, რამდენადაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დონეზე დიდადაა დამოკიდებული ქვეყანაში დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა, მოსახლეობის უზრუნველყოფა ფართო ნომენკლატურის საჭირო პროდუქციითა და მომსახურებით. ამასთან ერთად, საშეღავათო სისტემის შემოღება ხელს უწყობს ეკონომიკურ - ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ცხოვრების დონის ამაღლებას.

საფრანგეთის საგადასახადო სისტემა სხვა განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით ხასიათდება ბიუჯეტის შემოსავლებში არაპირდაპირი გადასახადების მაღალი წილით. იგი წარმოადგენს ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი წყაროს 90%. საფრანგეთის საგადასახადო სისტემის განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ არაპირდაპირი გადასახადები სჭარბობს პირდაპირს (ბახტაძე და სხვ. 2007, გვ. 416). დღე წარმოადგენს ქვეყნის ძირითად არაპირდაპირ გადასახადს, რომელიც საფრანგეთის ბიუჯეტს აძლევს ყველაზე მნიშვნელოვან საგადასახადო შემოსავლებს. (დაახლოებით საგადასახადო შემოსავლების 42%-ს). საფრანგეთში მოქმედებს დღე-ის ოთხი განაკვეთი. სტანდარტული განაკვეთი არის 19,6%, მაღალი - 22%-იანი განაკვეთი გამოიყენება ცალკეული სახეობის საქონლის მიმართ:

ავტომობილები, კინოფოტოსაქონელი, ალკოჰოლიანი სასმელები, თამბაქოს ნაწარმი, პარფიუმერია, ფუფუნების ცალკეული საგნები, ძვირფასი ბეწვეული და სხვა. უახლოეს პერიოდამდე მაღალი განაკვეთი შეადგენდა 33,33%. დაბალი 7%-იანი განაკვეთი დაწესებულია წიგნებზე და ჟურნალ-გაზეთებზე. ყველაზე დაბალი - 5,5%-იანი განაკვეთი გამოიყენება პირველადი მოხმარების საქონელსა და მომსახურებისათვის [Business Times, 2011]. პირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება კორპორაციული გადასახადი, ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, საკუთრების გადასახადი და სხვა. საწარმო კორპორაციულ გადასახადს იხდის წმინდა მოგებიდან. გადასახადის განაკვეთი დამოკიდებულია მიღებული მოგების გამოყენების მიმართულებაზე. თუ მოგება გამოიყენება წარმოების განვითარებისათვის, მაშინ გადასახადის განაკვეთი 39%-ია, ხოლო, თუ შემოსავალი მიიმართება დივიდენდების გაცემისათვის მაშინ 42%-ია. საფრანგეთის საგადასახადო სისტემის ძირითად მახასიათებლებს შორის მნიშვნელოვანია ტერიტორიული ასპექტების გათვალისწინება და საშემოსავლო გადასახადის განსაკუთრებული როლი. საშემოსავლო გადასახადს იხდიან საწარმოები და ფიზიკური პირები. შემოსავლის მიხედვით საგადასახადო განაკვეთები 0-დან 54% - მდეა. გადასახადის გამოანგარიშების საფუძველს საწარმოს წლიური მოგება (ზარალი) წარმოადგენს. საშემოსავლო გადასახადების ჯგუფში მნიშვნელოვანი ადგილი ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადს უჭირავს. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში საშემოსავლო გადასახადი 20% შეადგენს [Business Times, 2011]. საფრანგეთის ბიუჯეტისათვის მნიშვნელოვანი შემოსავლები საკუთრების გადასახადებს მოაქვთ. გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება ქონება, ქონებრივი უფლებები და ფასიანი ქაღალდები. საკუთრების გადასახადებს გააჩნიათ პროგრესული ხასითი. აღნიშნული გადასახადის განაკვეთი პროგრესულია და 0-დან 1.5%-მდე მერყეობს. საფრანგეთის საგადასახადო სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ადგილობრივ გადასახადებს უჭირავთ. ისინი ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საშემოსავლო ბაზის დაახლოებით 40% შეადგენენ. ადგილობრივი გადასახადების სისტემიდან შესაძლებელია გამოვყოთ ოთხი ძირითადი გადასახადი: არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი; შენობა-ნაგებობების მფლობელთა გადასახადი; პროფესიული გადასახადი (Melanie, 2017). აღნიშნული გადასახადების განაკვეთებს ადგენენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები (გენერალური საბჭოები, მუნიციპალური საბჭოები) მომდევნო წლის

ბიუჯეტის განსაზღვრისას. შვედეთის საგადასახადო სისტემა - შვედეთში კორპორაციების გადასახადის განაკვეთი 28%-ია ხოლო, დღე 25%-ია, სასურსათო საქონლისათვის გამოიყენება 21%- იანი განაკვეთი, ხოლო, სასტუმრო მომსახურებისათვის 12%-ანი განაკვეთი. დღე-დან, საქონლის ექსპორტის გარდა თავისუფლდება სამედიცინო მომსახურება, საბანკო ოპერაციები, საპატენტო საქმე, კულტურის დაწესებულებების მიერ გაწეული მომსახურება [ამილახვარი და სხვ. 2010, გვ. 157]. მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადის განაკვეთები (10-დან 60%-მდე) დამოკიდებულია ნათესაურ კავშირზე და მემკვიდრეობით და ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულებაზე. მოცულობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია რეგიონული და ადგილობრივი გადასახადებიც. ქვეყანა შედგება 24 ლენისგან და 288 კომუნისაგან. მათი წარმომადგენლობითი ორგანოები წყვეტენ ადგილობრივი გადასახადების შემოღების საკითხებს. გადასახადის სახეებს განსაზღვრავს რიქსდაგი, ხოლო განაკვეთებს ადგენს ლენები და კომუნები. ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესაბამისად საერთოსახელმწიფოებრივი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 170 ათ. კრონზე მეტი შემოსავლების შემთხვევაში 20%-ს შეადგენს. ლენებში - 13%, კომუნებში 17% და ეკლესიისათვის 1,1%. ყველა პირი მათ შორის მეუღლეები, იბეგრებიან საშემოსავლო გადასახადით ინდივიდუალურად. ქონების გადასახადი გამოიანგარიშება ოჯახის ერთობლივი საკუთრებიდან და მას მხოლოდ ფიზიკური პირები იხდიან. გადასახადს გააჩნია დაუბეგრავი მინიმუმი. შვედეთის ბიუჯეტის შემოსავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მუხლს სოციალური შენატანები შეადგენენ, რომელიც ერიცხება შრომის ანაზღაურების ფონდს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შვედეთში საფინანსო წელი 1 ივლისიდან იწყება. უკრაინაში ძირითად საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნება შემდეგი გადასახადები: მოქალაქეთა საშემოსავლო გადასახადი, საწარმოთა მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზის გადასახადი, სამეწარმეო საქმიანობისათვის გადასახადი, ფიქსირებული სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, სოციალური უზრუნველყოფის გადასახადი, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადი, სატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა გადასახადი [Лыкова и Букина, 2015, გვ.113]. ადგილობრივი გადასახადების რიცხვს მიეკუთვნება ქონების გადასახადი, რეკლამის გადასახადი, კომუნალური გადასახადი, იმპორტული საქონლის გადასახადი და სხვა. საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები პროგრესულია და იზრდება საგადასახადო ბაზის ზრდასთან ერთად. გადასახადის მინიმალური

განაკვეთი 10%- ია, მაქსიმალური - 40%. გამოიყენება 15%, 20% და 30%-იანი გადასახადის განაკვეთებიც. მეშახტეთა შემოსავლები იბეგრება 10%-იანი განაკვეთით, ატომური ენერგეტიკის ობიექტებში დასაქმებულ მუშაკთა შემოსავლების დაბეგრისას გადასახადის განაკვეთები მცირდება 50%-ით. ფიზიკური პირების დარიცხული დივიდენდები იბეგრება 5%-ით, ერთობლივი საინვესტიციო ინსტიტუტები იბეგრება 9%-ით, დივიდენდების სახით რეზიდენტების მიერ მიღებული შემოსავლები იბეგრება შემოსავლის გაცემის წყაროსთან 18%-იანი განაკვეთით, ხოლო არარეზიდენტების მიერ მიღებული შემოსავლები იბეგრება 18% და 15%-იანი განაკვეთებით. საწარმოთა მოგების გადასახადის გადამხდელები არიან რეზიდენტი იურიდიული პირები, მათი ფილიალები და სხვა განცალკევებული სტრუქტურული ერთეულები, არარეზიდენტი იურიდიული პირები, რომლებიც იღებენ შემოსავლებს ქვეყანაში არსებული წყაროებიდან. მოგების გადასახადის განაკვეთი უკრაინაში შეადგენს 18%. სოციალური უზრუნველყოფის გადასახადი შედგება სავალდებულო სახელმწიფო საპენსიო დაზღვევის შენატანისაგან, უმუშევრობის შემთხვევაში სავალდებულო სოციალური დაზღვევის შენატანისაგან, სავალდებულო სოციალური დაზღვევის შენატანისაგან. დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელები არიან იურიდიული და მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ საქონლის რეალიზაციასთან დაკავშირებულ ოპერაციებს, ბარტერულ ოპერაციებს და რეალიზებული საქონლის წლიური მოცულობა აღემატება 62 ათას გრივნას. დღგ-გან თავისუფლდება საბანკო ოპერაციები, დაზღვევის და გადაზღვევის მომსახურება, იურიდიული პირის საწესდებო ფონდში ძირითადი ფონდების შეტანა, სამამულო წარმოების ბავშვთა კვების პროდუქტების, სამკურნალო საშუალებების, წიგნების და ა.შ. ნულოვანი განაკვეთით, საქონლის ექსპორტის გარდა, იბეგრება სასოფლოსამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების მიერ რძისა და ხორცის მიწოდება. გადასახადის სტანდარტული განაკვეთი 20%-ია. მიწის გადასახადის გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებსაც კანონიერი მფლობელობის სარგებლობაში გააჩნიათ მიწის ნაკვეთი. გადასახადი იანგარიშება ჰექტარზე და მისი განაკვეთები მიწის ნაკვეთის ხარისხიდან, დადგენილ პროცენტებში მიწის ნაკვეთის შეფასებითი ღირებულებიდან გამომდინარე. უკრაინაში გადასახადების ადმინისტრირებას ახორციელებს უკრაინის სახელმწიფო საგადასახადო ადმინისტრაცია და მისი ტერიტორიული ორგანოები. აზერბაიჯანის საგადასახადო სისტემა - ქვეყანაში მოქმედებს სახელმწიფო გადასახადები, ავტონომიური რესპუბლიკის

გადასახადები და ადგილობრივი მუნიციპალური გადასახადები. სახელმწიფო გადასახადებს მიეკუთვნება ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, იურიდიულ პირთა მოგების გადასახადი, დღგ, აქციზი, იურიდიულ პირთა ქონების გადასახადი, იურიდიულ პირთა მიწის გადასახადი, საგზაო გადასახადი, სარეწაო გადასახადი, გამარტივებული გადასახადი. ადგილობრივ (მუნიციპალურ) გადასახადებს მიეკუთვნება ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი, ფიზიკურ პირთა მიწის გადასახადი, ადგილობრივი დანიშნულების სამშენებლო მასალებზე სარეწაო გადასახადი, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგების გადასახადი. ავტონომიური რესპუბლიკის გადასახადები მოიცავს სახელმწიფო გადასახადებს ნახჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში . ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები არიან რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირები. გადასახადების განაკვეთები პროგრესულია და მერყეობს 12%-დან 35%-მდე. საწარმოთა მოგება იხეგრება 20%-იანი განაკვეთით. მოგების გადასახადთან ერთად იურიდიული პირები იხდიან გადასახადებს დივიდენდებზე, საწარმოთა აქციების ან ფასიანი ქაღალდებიდან მიღებულ პროცენტებზე. დივიდენდებზე განაკვეთი 10%-ია, ფასიან ქაღალდებზე 25% [ჩიხლაძე, 2004, გვ. 72]. დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან დღგ-ის გადამხდელებად ან ვალდებულნი არიან გატარდნენ რეგისტრაციაში. დღგ-ის განაკვეთი შეადგენს 18%. საგადასახადო დეკლარაცია საგადასახადო ორგანოებს წარედგინებათ საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვამდე. ქონების გადასახადის გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები. დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე რეზიდენტი და არარეზიდენტი პირების საკუთრებაში არსებული შენობა- ნაგებობების, მათი ნაწილების ღირებულება. საწარმოები იხდიან გადასახადს ძირითადი საშუალებების ღირებულების 1%-ის ოდენობით. იაპონიის საგადასახადო სისტემა - 1981 წლიდან იაპონიაში მოქმედებს საგადასახადო დაბეგვრის ახალი სისტემა, რომელშიც გაბატონებული მდგომარეობა არაპირდაპირ გადასახადებს უკავია. იაპონიას გააჩნია სპეციფიკური და განსაკუთრებული საგადასახადო სისტემა განსხვავებით აშშ-ისა და დასავლეთ 47 ევროპის ქვეყნების საგადასახადო სისტემებისაგან. საგადასახადო შემოსავლების 64%- ს საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადები შეადგენს, ხოლო დანარჩენს - ადგილობრივი გადასახადები. ქვეყანაში პრეფექტურაა, რომელიც 3045 ქალაქს, დაბას და რაიონს

აერთიანებს. თითოეულ მათგანს გააჩნია დამოუკიდებელი ბიუჯეტი. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით იაპონიაში საკმაოდ მაღალია საგადასახადო შემოსავლების წილი. სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების წილი შეადგენს 84%, ხოლო არასაგადასახადო შემოსავლები - 16%. იაპონიის საგადასახადო სისტემა, აშშ-ისა და ევროპის ქვეყნების მსგავსად, ხასიათდება გადასახადების სიმრავლით. სულ ქვეყანაში 25 სახელმწიფო და 30 ადგილობრივი გადასახადია. ისინი შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად: - პირდაპირი საშემოსავლო გადასახადები იურიდიული და ფიზიკური პირებიდან; - პირდაპირი გადასახადები ქონებიდან; - პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები. ბიუჯეტის შემოსავლებში პირდაპირ გადასახადებს ცალსახად უპირატესობა ენიჭებათ [როგავა და სხიერელი, 2003, გვ. 168]. იაპონიის მუნიციპალიტეტებში მიემართება სამი სახის ადგილობრივი გადასახადი: სამეწარმეო გადასახადი, მუნიციპალურ კორპორატიული და გათანაბრებითი გადასახადი. მიუხედავად იმისა, რომ იაპონია წარმოადგენს უნიტარულ სახელმწიფოს, მას აქვს კარგად განვითარებული ადგილობრივი ხელისუფლება, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები, სხვადასხვა გადასახადების შემოღებისა და მათი შეგროვების თვალსაზრისით. ფაქტობრივად, საგადასახადო შემოსავლები ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში დაახლოებით თანაბარია. თანხების თანაფარდობა ცენტრალური ბიუჯეტის სასარგებლოდ 53%-დან 47%-მდეა.

იაპონიის საგადასახადო სისტემის თავისებურებამ გამოიწვია საგადასახადო ორგანოების ორმხრივი სისტემის ჩამოყალიბება. ფინანსურ სფეროში ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობებს შორის ურთიერთობები განისაზღვრება სპეციალური კანონებით. ზოგიერთი ადგილობრივი ხარჯების დაფინანსება ხდება ცენტრალური ბიუჯეტიდან. ქვეყანაში საფინანსო წელი იწყება 1 აპრილიდან. სახელმწიფოსათვის ყველაზე მაღალი შემოსავლები ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საშემოსავლო გადასახადს მოაქვს (56%). იურიდიულ პირთა საშემოსავლო გადასახადის საერთო განაკვეთი 39.27%-ით განისაზღვრება. ფიზიკური პირები იხდიან სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადს პროგრესული შკალით, რომელსაც გააჩნია ხუთი განაკვეთი (10,20,30,40,50%) და შედის სახელმწიფო ბიუჯეტში. გარდა ამისა, მოქმედებს პრეფექტურების საშემოსავლო გადასახადი სამი განაკვეთით: 5%, 10% და 15%. მოქმედებს ადგილობრივი საშემოსავლო გადასახადებიც. აღნიშნული გადასახადების ზევით იაპონიის ყველა მოქალაქე შემოსავლის ოდენობის მიუხედავად იხდის გადასახადს 3200 იენის ოდენობით წელიწადში. ფიზიკურ პირებზე დაკისრებული

გადასახადის მთლიანი თანხა მაღალი დაუბეგრავი მინიმუმის დაწესებისა და ინდივიდუალური შეღავათების გამოქვითვის ზეგავლენით არ აღემატება მათი შემოსავლების 30%-ს [ბახტაძე და სხვ. 2007, გვ. 420]. ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროებია: ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა გადასახადი, აქციზი სპირტიან სასმელებზე, თამბაქოს ნაწარმზე, ნავთობპროდუქტებზე, გაზზე, ბენზინზე, გადასახადი ელექტროენერჯის წყაროების განვითარებისათვის. აქციზი მომსახურების შემდეგ სახეებზე: სასტუმრო მომსახურება, რესტორნების მომსახურება და ა.შ. იაპონიაში ნებისმიერი სხვა ქვეყნის მსგავსად, ყველა კომპანია ვალდებულია გადაიხადოს გადასახადები მათი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან (Business Times, 2014). არაპირდაპირი გადასახადებიდან მნიშვნელოვანია ასევე, გაყიდვიდან გადასახადი, რომლის განაკვეთი განისაზღვრება 3%-ით. ფართოდაა გავრცელებული აქციზი სპირტიან სასმელებზე, სიგარეტებზე, ნავთობზე, გაზზე, ბენზინზე, მომსახურებაზე და სხვა. იაპონიაში ასევე, მოქმედებს საბაჟო გადასახადი. საზოგადოდ, იაპონიის საგადასახადო პოლიტიკა მიმართულია ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფინანსების გამყარებაზე. ამრიგად, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი და მიმზიდველია საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემების გამოცდილების გაზიარება სხვადასხვა ასპექტებით. კერძოდ, გადასახადების მეშვეობით მშპ-ს გადანაწილება და სოციალური სამართლიანობის დასამყარებლად შვედეთის საგადასახადო სისტემა, პროგრესული გადასახადის განაკვეთების ზრდა საგადასახადო ბაზის ზრდასთან ერთად უკრაინისა და აზერბაიჯანის საგადასახადო სისტემა, სისტემის მოქნილობით, დასაბუთებული საგადასახადო შეღავათების სარგებლობითა და ბიუჯეტის შემოსავლებში არაპირდაპირი გადასახადების მაღალი წილით საფრანგეთის საგადასახადო სისტემა, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილებების გაძლიერებით ფინანსების გამყარებაზე მიმართული იაპონიის საგადასახადო პოლიტიკა. [[samagistro kvinikadze giorgi.pdf \(openscience.ge\)](#)]

თავი 2. საქართველოს საგადასახადო სისტემა, საგადასახადო პოლიტიკა და მათი როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ზრდაში

2.1. გადასახადებისაგან თავის არიდება, მათი ამოღების დაფარვის პრობლემები

გარდამავალ და განვითარებად ქვეყნებში

საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირება დაიწყო ქვეყნის სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბებისას. ეკონომიკის განვითარების ყოველ ეტაპზე საგადასახადო სისტემის წინაშე კონკრეტული ამოცანები იდგა, ეს გულისხმობს იმას, რომ საგადასახადო სისტემას უნდა მოეხდინა სახელმწიფოს შემოსავლების მობილიზება სახელმწიფოს მიერვე განსაზღვრული საზღვრების დასაფარავად. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყანაში წარმოიქმნა საკუთარი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომლის წინაშეც დაისახა ახალი ამოცანები. კერძოდ, მან უნდა დააკმაყოფილოს, როგორც სახელმწიფოს ინტერესები, ისე თავისუფალი ბაზრის მითხოვნები.

საქართველოს საგადასახადო სისტემა მოიცავს: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალ შემოსავლების სამსახურის ორგანოებს; საგადასახადო ურთიერთობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას; გადასახადების შემოღების, შეცვლისა და გაუქმების წესებს; გადასახადების ადმინისტრირების წესებს და სხვა...

საქართველოს თანამედროვე საგადასახადო სისტემა ძირითადად 1991-1992 წლების მიჯნაზე, ქვეყანაში მიმდინარე კარდინალური ეკონომიკური გარდაქმნისა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში ჩამოყალიბდა. საქართველოს საგადასახადო სისტემა საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების ბაზაზე იქმნებოდა. ამის გამო იგი საერთო სტრუქტურითა და აგებულების პრინციპებით ძირითადად შეესაბამება მსოფლიო ეკონომიკაში გავრცელებული გადასახადებით დაბეგვრის სისტემებს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის ძირითადი ელემენტები თავიდანვე ვერ ყალიბდებოდა ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით.

„1992 წლიდან მოყოლებული არცერთი უცხოელი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, არ ითვალისწინებდა ქვეყნის ეკონომიკურ თავისებურებებს და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ისინი გვეკარნახობდნენ ისეთ საგადასახადო და საბაჟო კოდექსებს, რომელთა წაკითხვაც არა თუ მეწარმესა და ბიზნესმენს, არამედ თვით, ამ კანონის მიმღებ პირებსაც

უჭირდათ. შესაბამისად მათ გაგებასა და აღქმაში იყო შეცდომებიც, რამაც თავის მხრივ საქართველოს საგადასახადო სისტემის სწორად ფორმირებაზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. საქართველოს 1993 წლის 21 დეკემბრის კანონმა „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“, განსაზღვრა საქართველოს დამოუკიდებელი საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები. აღნიშნული ეტაპის დამახასიათებელი თავისებურება იყო ის, რომ პარალელურად არსებობდა ზემოთ აღნიშნულ კანონზე დაფუძნებული და 86 მასთან შესაბამისობაში მყოფი ნორმატიული აქტები ცალკეული გადასახადების შესახებ“ . (მესხია & მურჯიკელი, 1996)

აღნიშნული კანონი და მათთან დაკავშირებული დებულებები მოქმედებდა 1997 წლამდე, მანამ, ვიდრე საქართველოს პარლამენტის მიერ არ იქნა მიღებული და ამოქმედებული პირველი საგადასახადო კოდექსი, რომელშიც მოგვიანებით არაერთი შესწორება და ცვლილება შევიდა. საქართველოს პირველმა საგადასახადო კოდექსმა, რომელიც 1997 წლის 13 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო განსაზღვრა საგადასახადო სისტემის სტრუქტურა და ფუნქციონირების ზოგადი მექანიზმი, გადასახადის სახეები, მათი გამომწვევების და გადახდის წესი, საგადასახადო ორგანოებისა და გადასახადის გადამხდელების ვალდებულებები და პასუხისმგებლობა, საგადასახადო სამართლებრივი პრინციპები, საგადასახადო ტერმინოლოგია და ა.შ.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ 1997 წელს მიღებულმა საქართველოს საგადასახადო კოდექსმა, რომელიც ასევე ძირითადად უცხოელების რეკომენდაციებით იქნა მიღებული, მნიშვნელოვნად გააუარესა ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემო და იმდროინდელი ქართული ეკონომიკის კლანური დაყოფა გამოიწვია. მიზეზი კი ის იყო, რომ როგორც წესი, ბუნებრივია ყველა უცხოელი ცდილობს იქონიოს თავისი გავლენის სფეროები სხვა განუვითარებელ და ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაზე, აიძულონ ამ ქვეყნების უმაღლესი პოლიტიკური პირები სხვადასხვა გზებით (გრანტები, დაბალპროცენტიანი სესხები, მოსყიდვა და სხვა) მიაღებინონ ისეთი კანონები, რომლებიც დააკნინებს ეროვნულ ეკონომიკას და მათ ამ ქვეყნების სამომხმარებლო ბაზად აქცევს. სწორედ 1997 წლის საქართველოს საგადასახადო კოდექსი ამის ნათელი დადასტურება იყო.

აღნიშნულ მიზეზებთან ერთად, იმ დროისათვის არსებული საგადასახადო ორგანოების მოუქნელმა და გაუმართავმა მუშაობამ, საბაჟო და საგადასახადო სისტემაში გამეფებული კორუფციის მაღალმა დონემ, გადამხდელთა სუსტმა საგადასახადო ადმინისტრირებამ

და მთლიანობაში კი საგადასახადო სისტემამ ვერ უზრუნველყო ვერცერთი ფუნქციის ნორმალური, ეფექტური შესრულება და გადაიქცა მამუხრუჭებელ ძალად, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაში, ასევე მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით. ყოველივე აღნიშნულმა კი საბოლოო ჯამში ახალი საგადასახადო კანონმდებლობის შემუშავებისა და პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებლობა წარმოშვა.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სამართლებრივ უზრუნველყოფაში შემდგომ ეტაპს წარმოადგენს 2004 წლის 22 დეკემბერს მიღებული რიგით მეორე საგადასახადო კოდექსი, რომელიც აიგო ერთის მხრივ გადასახადების ლიბერალიზაციაზე, მეორეს მხრივ კი მკაცრ საგადასახადო ადმინისტრირებაზე.

ყველაზე განმაზოგადებელი მაჩვენებელი, რომლითაც ხასიათდება საგადასახადო პოლიტიკა, ესაა საგადასახადო ტვირთის მაჩვენებელი. გადასახადების როლი ბიუჯეტის შემოსავლებში და, ზოგადად, სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაში.

საგადასახადო პოლიტიკა წარმოადგენს გადასახადების ასაკრეფად სახელმწიფოს ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც ტარდება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მხარდასაჭერად, წარმოების მოცულობასა და მოსახლეობის გადახდისუნარიან მოთხოვნას შორის დისპროპორციის აღმოფხვრის მიზნით. თეორიულად საგადასახადო დაბეგვრის დონე უნდა შეესაბამებოდეს იმ ფაზას, რიმელშიც ქვეყნის ეკონომიკა იმყოფება. კერძოდ, წარმოების აღმავლობის პირობებში საჭიროა გადასახადების განაკვეთების გაზრდა, რაც არ გამორიცხავს პრიორიტეტული დაბეგვრისათვის მათი კლების ალბათობას, კრიზისის შემთხვევაში - კი გადასახადების განაკვეთების შემცირებასა და⁷² მწარმოებლისათვის საგადასახადო შეღავათების შემოღებას, რიგ შემთხვევაში კი რეგრესული განაკვეთის დადგენას გადასახადებზე. საგადასახადო პოლიტიკის რეალიზება წარმოებს საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მიღების საფუძველზე, რომლებიც ადგენს ქვეყანაში ასაკრეფი გადასახადების სახეებს, ასევე გადამხდელთა წრეს, საგადასახადო განაკვეთებს, საგადასახადო შეღავათებს, გადამხდელთა პასუხისმგებლობას, გადასახადების განაწილებას ბიუჯეტის დონეებს შორის. ქვეყანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა, საგადასახადოსამართლებრივ ურთიერთობათა სისტემაში ჩამოყალიბებული ტრადიციები - ეს სწორედ ის ფაქტორებია, რომლებიც ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკის პრინციპებს განსაზღვრავენ. საგადასახადო პოლიტიკის შინაარსი და

მიზნები განპირობებულია საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ წყობათა და ხელისუფლებაში მყოფი სოციალური ჯგუფების ინტერესებით. ლ. ოკუნოვი საგადასახადო პოლიტიკის სამ ტიპს გამოყოფს: პირველი ტიპი – მაქსიმალური გადასახადების პოლიტიკა, რომლის დროსაც სახელმწიფოსათვის მზადდება „საგადასახადო ხაფანგი“ და გადასახადების ზრდა სახელმწიფო შემოსავლების მატებით არ ხასიათდება. განაკვეთის ზღვრული საზღვრები დადგენილია და ყოველი კონკრეტული შემთხვევის დროს მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. საზღვარგარეთის მეცნიერები ზღვრულ განაკვეთად 50%-ს მიიჩნევენ. მეორე ტიპი – გონივრული საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც მეწარმეობის განვითარებას ხელშემწყობი და ხელსაყრელი საგადასახადო კლიმატით უზრუნველყოფს. მეწარმე გადასახადებით დაბეგვრიდან მაქსიმალურად თავისუფლდება, მაგრამ ამ შემთხვევაში სოციალური პროგრამების უზრუნველყოფა იზღუდება, რადგანაც სახელმწიფო შემოსავლები მცირდება. მესამე ტიპი – საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც დაბეგვრის საკმაოდ მაღალ დონეს ითვალისწინებს, ოღონდ მნიშვნელოვანი სოციალური დაცვის პირობებში. ამასთან, საგადასახადო შემოსავლებს მიმართავენ სხვადასხვა სოციალური ფონდის გაზრდაზე.

ვიდრე გადასახადებისაგან თავის არიდებაზე ვისაუბრებდეთ, მსურს გავაკეთო მოკლე ექსკურსი რას წარმოადგენს საგადასახადო სისტემა.

საგადასახადო სისტემა ესაა კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და მოსაკრებლების, მათი პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების დადგენის, ცვლილებების, გაუქმების, გადახდისა და ამოღების, აგრეთვე, გადასახადებისგან თავის არიდებაზე პასუხისმგებლობის ნორმების ერთობლიობა. კანონმდებლობით დადგენილი წესით ამოღებული გადასახადები, მოსაკრებლები, ბაჟი და სხვა გადასახადები ერთობლიობაში საგადასახადო სისტემას ქმნიან.

საგადასახადო სისტემისთვის, ისევე, როგორც ნებისმიერი სისტემისათვის, დამახასიათებელია ისეთი ნიშნები, როგორცაა სისტემის ელემენტობრივი შემადგენლობა, ელემენტების ურთიერთკავშირი, ორგანული მთლიანობა და ერთიანობა, უწყვეტი განვითარება და ა.შ. [<http://gocioeconomics.ge/?p=13424>]

საქართველოს საგადასახადო სისტემას საფუძველი მისი სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების პროცესში ჩაეყარა. ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საგადასახადო სისტემის წინაშე კონკრეტული ამოცანები იდგა, რაც

იმაში გამოიხატებოდა, რომ მას უნდა უზრუნველყო სახელმწიფოს კუთვნილი შემოსავლების მობილიზება სახელმწიფოს მიერვე განსაზღვრული ხარჯების დასაფარავად. [<http://geoeconomics.ge/?p=13086>]

საქართველოს საგადასახადო სისტემა მოიცავს: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალ შემოსავლების სამსახურის ორგანოებს საგადასახადო ურთიერთობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობას; გადასახადების შემოღების, შეცვლისა და გაუქმების წესებს, გადასახადების ადმინისტრირების წესებს და სხვ. საგადასახადო პოლიტიკის განხილვისას მნიშვნელოვანია ვიცოდეთ თუ რომელი კანონი არეგულირებს გადასახადების დაწესებას და ზოგადად რამდენი სახის გადასახადი არსებობს. განარჩევნ საერთო სახელმწიფოებრივ და ადგილობრივი სახის გადასახადებს. საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადებია: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), აქციზი და მოგების გადასახადი. საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადები დაწესებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით, რომელთა გადახდაც სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ადგილობრივი გადასახადია – ქონების გადასახადი. ადგილობრივი გადასახადის შემოღებას ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი განაკვეთების ფარგლებში, რომლის გადახდაც სავალდებულოა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე.

საქართველოს საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მომზადების ისტორილი პროცესი ასე გამოიყურება:

საქართველოს 1993 წლის 21 დეკემბერს მიიღეს კანონი "საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ", რომელიც განსაზღვრავდა საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძვლებს. აღნიშნული ეტაპის დამახასიათებელი თავისებურება იყო ის, რომ პარალელურად არსებობდა ზემოთ აღნიშნულ კანონზე დაფუძნებული და მასთან შესაბამისობაში მყოფი ნორმატიული აქტები ცალკეული გადასახადების შესახებ".

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ 1997 წელს მიღებულმა საქართველოს საგადასახადო კოდექსმა, რომელიც ასევე ძირითადად უცხოელების რეკომენდაციებით იქნა მიღებული, მნიშვნელოვნად გააუარესა ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემო და იმდროინდელი ქართული ეკონომიკის კლანური დაყოფა გამოიწვია. მიზეზი კი ის იყო, რომ როგორც

წესი, ბუნებრივია ყველა უცხოელი ცდილობს იქონიოს თავისი გავლენის სფეროები სხვა განუვითარებელ და ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაზე, აიძულონ ამ ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური პირები სხვადასხვა გზებით (გრანტები, დაბალპროცენტიანი სესხები, მოოსყიდვა და სხვა) მიაღებინონ ისეთი კანონები რომელშიც დააკნინებს ეროვნულ ეკონომიკას და მათ ამ ქვეყნების სამომხმარებლო ბაზად აქცევს. ჩემი აზრით აღნიშნულ თეორიას სწორეს ეს კანონი ადასტურებდა.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სამართლებრივ უზრუნველყოფაში შემდგომ ეტაპს წარმოადგენს 2004 წლის 22 დეკემბერს მიღებული რიგით მეორე საგადასახადო კოდექსი, რომელიც აიგო ერთის მხრივ გადასახადების ლიბერალიზაციაზე, მეორეს მხრივ კი მკაცრ საგადასახადო ადმინისტრირებაზე. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის შეცვლა საგადასახადო სფეროში სრულებითაც არ ნიშნავს პანაცეას, პირიქით, მისი სრულყოფა უდა მოხდეს ეტაპობრივად, ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რაციონალური გააზრების შედეგად.

ჩემი აზრით, ყველაზე განმაზოგადოებელი მაჩვენებელი, რომლითაც ხასიათდება საგადასახადო პოლიტიკა, ესაა საგადასახადო ტვირთის მაჩვენებელი. გადასახადების როლი ბიუჯეტის შემოსავლებში და, ზოგადად, სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებში. საქართველოში საგადასახადო ტვირთის სიდიდესთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ოფიციალური სტატისტიკის მონაცემების მიხედვით, საგადასახადო ტვირთის სიდიდე საქართველოში ასე გამოიყურება:

გრაფიკი : ბიზნესის საგადასახადო წნეხი და საგადასახადო შემოსავლების პროცენტული წილი მშპ-სთან 2005-2019 წლებში



(გრაფიკი აღებულია ვებ გვერდ factchek.ge დან 28/01/2021 წლის სტატიიდან, ავტორი: ვახტანგ დემურია)

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელება მოსალოდნელი მაკროეკონომიკური დისპროცესების მიზეზების გათვალისწინებით, რომ განსაზღვროს თუ როგორი საგადასახადო საბიუჯეტო სისტემა და პოლიტიკა შეუწყობს ხელს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასა და მაკროეკონომიკური ამოცანების (ეკონომიკური ზრდისა და ინფლაციის შემცირების) წარმატებით გადაწყვეტას.

ვარდების რევოლუციის შემდეგ ქვეყანაში მოსული ხელისუფლების მიერ გატარებული კურსის წარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა საგადასახადო ადმინისტრირების კუთხით განხორციელებულმა რეფორმებმა, რაც გამოიხატა უმკაცრეს ადმინისტრირების პოლიტიკასა და საგადასახადო სამართალდამრღვევათა მიმართ ადეკვატური საჯარიმო სანქციების შემოღებაში. საგადასახადო სამართალდარღვევებზე ფინანსური სანქციები, 1997 წლის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებთან შედარებით, 2004 წლის საგადასახადო კოდექსით რაოდენობრივად გაიზარდა და ბევრად უფრო გამკაცრდა.

გლობალურ საგადასახადო სფეროში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე გამოიკვეთა ტენდენციები, რომელთაგანაც აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სახეუა საერთაშორისო საგადასახადო კონვენციის პროცესი. იმ ფონზე ეროვნული სისტემებისა და საგადასახადო პოლიტიკის პრინციპების უნივერსალიზაციის

ტენდენცია შეიმჩნევა. ბოლო წლების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გლობალური კრიზისის ფონზე აქცენტი ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის გატარებაზე გააკეთა. 2009-2010 წლებში საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები ლიბერალური საგადასახადო მიმართულებით, ქვეყნის პოლიტიკის ფორმირების გზას ნათლად წარმოაჩენს. ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც ძალაში 2011 წლის 1 იანვრიდან შევიდა, შეიცავს მთელ რიგ დებულებებს, რამაც ბიზნესის სტიმულირებას უნდა შეუწყოს ხელი. საქართველომ საერთაშორისო რეიტინგით ["Payng Taxes 2011"] - გადასახადების გადახდის სიმარტივის მიხედვით დასახელებულ 183 ქვეყანას შორის 61-ეადგილი დაიკავა, ამასთან საქართველო იმ 10 ქვეყნის სიაში მოხვდა, სადაც გადასახადის მთლიანი მაჩვენებელი ყველაზე დაბალია.

საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი - "ეკონომიკური თვისუფლებისა და ღირსების შესახებ", რომლის მიხედვითაც საქართველოში გადასახადების ზრდა, ან მათი დაბეგვრის ობიექტების გაფართოება შესაძლებელია მხოლოდ ხალხის თანხმობით (რეფერენდუმით) და დაუშვებელია პროგრესული გადასახადების შემოღება. შეიძლება ითქვას, რომ უახლეს პერიოდში საქართველოში სტაბილური საგადასახადო გარემო შეიქმნება და ქვეყანაში ბიზნეს აქტივობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გატარებული ღონისძიებების შედეგად გამარტივდა საგადასახადო კანონმდებლობა და შემცირდა გადასახადების განაკვეთები, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა მომავალშიც აუცილებელია. ამასთან, საჭიროა საგადასახადო პოლიტიკაში დაგეგმილი რეფორმების შესახებ, როგორც საზოგადოების, ასევე პოტენციური ინვესტორების სისტემატური ინფორმირება, რაც ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინებას და ეკონომიკის განვითარებას ხელს შეუწყობს.

[<http://conferenceconomics.tsu.ge/>]

ბოლო წლებში საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილება (რეფორმა) მეტყველებს იმაზე რომ საგადასახადო კანონმდებლობა მუდვიდან უნდა ვიტარდებოდეს და ერგებოდეს თანამედროვე გამოწვევებს, ბოლოს ახალი საბაჟო კოდექსი ამოქმედდა 2019 წლის 1 სექტემბრიდან, რაც მნიშვნელოვან ცვლილებებს ითვალისწინებს, და როგორც ეკონომისტები და მისი შემქმნელები გვპირდებიან, მნიშვნელოვანდა გაამარტივებს ეს გადასახადის გადამხდელის საქმიანობ. ერთერთი მნიშვნელოვანი ცვლილება რაც ასევე ბოლო პერიოდში განხორციელდა არის დღგ-ს ზედმეტობის უკან დაბრუნება, ბიზნესის ნაწილმა ეს გამოიყენა სასარგებლოდ, ნაწილმა ამ კუთხით ხარვეზიც კი დაინახა, და

კანონსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელების შედეგად მილიონობით ლარი მიითვისეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რომელიც ბოლო პერიოდის ერთერთი გზაურებული მასშტაბური მართლსაწინააღმდეგო ქმედება იყო. (ბ.შ)

[<https://fortuna.ge/fortuna/post/100-millionis-dghg-s-angarishfaqturis-gayalbebisvis-38-piri-daakaves-sagangebo-brifingi>]

საგადასახადო პოლიტიკა წარმოადგენს გადასახადების ასაკრეფად სახელმწიფოს ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც ტარდება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მხარდასაჭერად, წარმოების მოცულობასა და მოსახლეობის გადახდისუნარიან მოთხოვნას შორის დისპროპორციის აღმოფხვრის მიზნით.

საგადასახადო საკითხების სფეროსადმი ფართო ინტერესი მრავალი მკვლევარის მიერ ახსნილია, როგორც საგადასახადო შემოსავლების აკრეფის უნარსა და თანამედროვე ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი. სახელმწიფო ფინანსების საიმედო სისტემის შექმნა გარდამავალ და განვითარებად ქვეყნებში, როგორც წესი, სოციალური, პოლიტიკური და ადმინისტრაციული სირთულეების წინაშე დგება. დაბეგვრის განსაკუთრებით დაუცველ რისკებს მიეკუთვნება – გადასახადების დამალვა და გადახდისაგან თავის არიდება (ავოიდანცე ანდ ევასიონ) როგორც ორგანიზაციების, ასევე ცალკეული გადამხდელების მხრიდან. საგადასახადო შემოსავლების საკმარისი რაოდენობის აკრეფა მნიშვნელოვანია პრიორიტეტული სახელმწიფო ამოცანების დასაფინანსებლად: მოსახლეობის ღარიბი ფენისათვის განკუთვნილი პროგრამების რეალიზაციის, ეფექტიანი სახელმწიფო დაწესებულებების შენების, დემოკრატიული სტრუქტურების გაძლიერების, მდგრადი ეკონომიკური ზრდის სტიმულირების, ეროვნული და საერთაშორისო მიზნების მიღწევისათვის. გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნების თვითდაფინანსების პოტენციალის გაძლიერება შედარებით აქტუალურია პოსტკრიზისული განვითარებისა და კრიზისული გამოვლინებების ახალი საფრთხეების პირობებში. შიდა შემოსავლების მობილიზება ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია განვითარების საერთაშორისო დღის წესრიგში, რომელიც ხაზგასმულია საგარეო დახმარების ეფექტიანობის ამაღლების ფორუმებზე – კონსენსუსი მონტერეიში და პარიზის დეკლარაციაში. გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნებისათვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და წარმოადგენს საკუთარი შემოსავლების მიღების შესაძლებლობების გაზრდის აუცილებელ პირობას მდგრადი განვითარების პროცესის

უზრუნველყოფისა და სიღარიბის დაძლევის პოლიტიკის განხორციელების მიზნით. ამ მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანია ეფექტიანი საგადასახადო სისტემის შექმნა ეფექტიანი საგადასახადო ადმინისტრირებით. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო სისტემების ეფექტიანობა სხვადასხვა ქვეყანაში ძალიან განსხვავდება ერთმა ნეთისაგან. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებში 2011 წ. საგადასახადო შემოსავლები შეადგენდა 2011 წლის მშპ-ს თითქმის 34%-ს, ხოლო საფრანგეთსა და ბელგიაში – 44,1%⁴, ამ დროს განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი შეადგენს 15%-ს, ხოლო დაბალი შემოსავლების ქვეყნებში – 12%-ს⁵. ეფექტიანი და სამართლიანი საგადასახადო სისტემა წარმოადგენს საშუალებას მოლაპარაკების პროცესის ფორმატს სახელმწიფოსა და მის მოქალაქეებს შორის და ხელს უწყობს ეფექტიან მმართველობას, სახელმწიფო სტრუქტურების ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე და დემოკრატიული პრინციპების გამოვლენას. ამის გათვალისწინებით, სახელმწიფოები, რომლებიც ეყრდნობიან ფართო საფუძვლიან დაბეგვრას, ემხრობიან საკუთარი გადამხდელების მოთხოვნების გათვალისწინებას. ეს მოქმედებს მოქალაქეთა მხრიდან პოტენციური ნდობის ამაღლებაზე და ვალდებულებათა დაცვაზე და შედეგად, მათ მონაწილეობაზე პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. ამგვარად, გარდა სახელმწიფო შემოსავლების მიღებისა, გარდამავალ და განვითარებად ქვეყნებში საგადასახადო სისტემის გაძლიერება თანაბრად მნიშვნელოვანია მმართველობისა და სახელმწიფო მშენებლობის პერსპექტივის კუთხით. ბევრი გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნის საგადასახადო სისტემა, საგადასახადო მმართველობის პოლიტიკის არარსებობის, საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებისა და საგადასახადო ადმინისტრირების შესაძლებლობების შესაბამისობის დაბალი დონის გამო, არ შეესაბამება საგადასახადო სტრუქტურების საერთაშორისო სტანდარტებს. საგადასახადო შემოსავლების მობილიზების ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული აგრეთვე, ეკონომიკურ პირობებსა და არაფორმალური სექტორის სიდიდეზე. გამომდინარე აქედან, გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა ავლენს არაპირდაპირი შემოსავლების სიჭარბის ტენდენციას, კერძოდ, დამატებითი ღირებულების გადასახადზე (დღგ), რომლის ხვედრითი წონა საგადასახადო შემოსავლების საერთო მოცულობის ორ მესამედს აღწევს.

მიუხედავად გარდამავალ, განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის საგადასახადო სისტემების სტრუქტურული განსხვავებების არსებობისა, მნიშვნე

ლოვანია აღინიშნოს, რომ საშემოსავლო დანაკარგები, უმეტეს შემთხვევაში, წარმოადგენს გადასახადებისაგან თავის არიდებისა და ეკონომიკური საქმიანობის დაფარვის შედეგს. გადასახადებისაგან თავის არიდების პრობლემა არსებობდა ყველგან და ყოველთვის ყველა ქვეყანაში, მაგრამ განსაკუთრებით აქტუალური გახდა გლობალიზაციის პროცესში, ვინაიდან ფართოვდება საგადასახადო სიმძიმისაგან თავის არიდების შესაძლებლობები, ამავდროულად მცირდება გამოაშკარავების რისკი. გადასახადებისაგან თავის არიდება და გადასახადების დამალვა რთული და მრავალფაქტორიანი პრობლემაა. არსებობს უამრავი მიზეზი იმისა, თუ რატომ ცდილობენ ორგანიზაციები ან ცალკეული პირები თავი აარიდონ ან შეამცირონ დაბეგვრას დაქვემდებარებული გადასახადის თანხა. დაბეგვრისაგან თავის არიდების კანონზომიერება და ხარისხი ძალზე განსხვავებულია რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით. ასევე ძალზე განსხვავებულია გადასახადებისაგან თავის არიდებისა და გადასახადების დაფარვის მეთოდები გარდამავალ და განვითარებად ქვეყნებში. ჯ. სტიგლიცმა (1985 წ.) გამოყო შემოსავლებზე გადასახადებისაგან თავის არიდების სამი პრინციპი: 1) გადასახადების გადავადება, 2) ფიზიკურ პირთა გადასახადების არბიტრაჟი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ზღვრულ საგადასახადო განაკვეთებთან მიმართებაში, 3) და იმ სუბიექტების შემოსავლების გადასახადის არბიტრაჟი, რომლებსაც აქვთ დიფერენცირებული საგადასახადო რეჟიმები. გადასახადებისაგან თავის არიდების ბევრი მექანიზმი მოიცავს ამ სამი პრინციპის ერთობლიობას. ჯ. სტიგლიცი ამტკიცებს, რომ კაპიტალის წარმატებით განვითარებულ ბაზრებზე ყოველგვარი გადასახადისაგან თავის არიდებისათვის ეს სამივე პრინციპი შეიძლება იქნეს გამოყენებული. მეთოდოლოგიური და პრაქტიკული თვალსაზრისით, გადასახადებისაგან თავის არიდებისა და მისგან დამალვის კატეგორიებს ერთმანეთისაგან განასხვავებენ. ყველა სპეციალისტის და ექსპერტის პოზიცია ერთსულოვანია, რომ გადასახადებისაგან თავის არიდება (Tax Avoidance) ხდება საგადასახადო სისტემის სამართლებრივ კონტექსტში, როდესაც ორგანიზაცია ან ფიზიკური პირი, სარგებლობს რა “საგადასახადო კანონმდებლობის ხარვეზებით”, ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება საგადასახადო კანონმდებლობას, თუმცა არ არის მკვეთრად უკანონო. ითვლება, რომ გადასახადებისაგან თავის არიდება, როგორც წესი, მოიცავს სპეციალურ ქმედებებსა და ღონისძიებებს ერთადერთი მიზნით – საგადასახადო ვალდებულების შემცირება. ბიზნეს-საწარმოებისათვის ჩვეულებრივ პრაქტიკას წარმოადგენს სტრატეგიული

საგადასახადო დაგეგმარების განხორციელება საგადასახადო ვალდებულებათა მინიმუმამდე დაყვანის მიზნით (საგადასახადო გამოქვითვებისა და საგადასახადო სესხების გამოყენების მეშვეობით და სხვ.).

გადასახადების დაფარვა, როგორც წესი, გადასახადების გადახდის უკანონო პრაქტიკას მიეკუთვნება. ამ შემთხვევაში, დაბეგრული შემოსავალი, დაბეგრას დაქვემდებარებული მოგება ან საქმიანობა, რომელიც ექვემდებარება დაბეგრას, იმალება, მახინჯდება შემოსავლის რაოდენობა და წყარო ან მცირდება გადასახადების ფაქტორები, ისეთები, როგორცაა გამოქვითვა, გამორიცხვა ან

შეგნებულად ხდება სასესხო ვალდებულებების გაზრდა. გადასახადების დამალვა შერწყმულია ორგანიზაციის ლეგალურ საქმიანობასთან და შეიძლება გამოვლინდეს ერთეული შემთხვევების სახით ან სისტემატურად. გადასახადების გადახდისაგან დამალვის ტოტალურ ფორმას წარმოადგენს არალეგალური საქმიანობა ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში, ვინაიდან ბიზნეს-ერთეულები ფორმალურად დარეგისტრირებული არ არის. ამდენად, გადასახადებისაგან თავის არიდებასა და გადასახადებისაგან დამალვას შორის არსებითი განსხვავებაა. თავის არიდება, ძირითადად, ლეგალურ სამართლებრივ ურთიერთობათა სივრცეშია (ფინანსური ანგარიშგებისა და საბუღალტრო აღრიცხვის მეთოდების გამოყენებით) გადასახადის სრული თანხის გადახდის თავიდან აცილებისათვის მაშინ, როდესაც დამალვას ხშირად მიაკუთვნებენ საგადასახადო დარღვევათა შედარებით დანაშაულებრივ ფორმებს. ამდენად, გადასახადებისაგან თავის არიდებასა და გადასახადებისაგან დამალვას შორის სხვაობა დამოკიდებულია გადამხდელის ქმედების კანონიერებაზე. მორალური თვალსაზრისით, გადასახადებისაგან თავის არიდება განიხილება, როგორც არასასურველი მოვლენა, ვინაიდან ამით ხდება საგადასახადო კანონმდებლობის ხარვეზების გამოყენება საგადასახადო ტვირთის შემცირების მიზნით. გადასახადების დამალვის შედეგად სახელმწიფოს საგადასახადო შემოსავლები უკანონოდ მცირდება. გადასახადებისაგან თავის არიდებისა და გადასახადების დამალვის გამო შემოსავლების დაკარგვის ემპირიული კვლევები განვითარებად ქვეყნებში განასხვავებენ ამ პრობლემის შიდა და ინტერნაციონალურ ან საერთაშორისო კომპონენტებს. შიდა კომპონენტი გულისხმობს გადასახადებისაგან თავის არიდებას, რომელიც ხდება ჩრდილოვანი ეკონომიკის ხარჯზე ქვეყნის შიგნით. ინტერნაციონალური კომპონენტი გულისხმობს ტრანსნაციონალური ფირმების ტრანსფერტული ფასწარმოქმნით მანიპულირებას,

ოფმორულ საბანკო ანგარიშებზე ფინანსური აქტივების გატარებას, მათ შორის კერძო პირების, კორპორაციის მოგების დაფარვის მიზნით. გადასახადის გადამხდელი არ არის ვალდებული გაიზიაროს საგადასახადო კანონმდებლობის სულისკვეთება, ძირითადი მიზანი კანონის დაცვაა. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში ეს საზღვარი ხშირად გამოკვეთილი არ არის. ზოგჯერ საგადასახადო დაგეგმარების მეშვეობით განხილული "საგადასახადო ხარვეზები" თვალნათელი და ერთმნიშვნელოვანია. სხვა შემთხვევაში გადასახადებისაგან თავის არიდება ხშირად წარმოებს საგადასახადო კანონმდებლობის კულუარებში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კანონმდებლობა არაერთმნიშვნელოვანია და ინტერპრეტაციას საჭიროებს. იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო ადმინისტრირება ხორციელდება დისკრეციული უფლებამოსილების გარკვეული ხარისხით, განსხვავება მინიმუმამდე დაყვანასა და თავის არიდებას შორის მეტისმეტად გაურკვეველი ხდება. ხშირად გადასახადებისაგან თავის არიდებასა და მისგან დამალვას შორის განსხვავება ცხადია მხოლოდ რეტროსპექტული თვალსაზრისით, საბოლოოდ, ზომების რეალიზების შემდეგ. ამ მიზეზით, მიუხედავად მათი განსხვავებისა, გადასახადებისაგან თავის არიდება და მისგან დამალვა პრაქტიკაში, როგორც წესი, ერთობლივად განიხილება. მნიშვნელოვან ცნებას საგადასახადო ადმინისტრირების ამაღლებაში წარმოადგენს დაბეგვრის "გეპი (GAP) – ანუ საგადასახადო შემოსავლების შეუსაბამობის" კატეგორია, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კანონმდებლობის იდეალურად დაცვის ჰიპოთეტური ჩარჩოთი გათვლილ საგადასახადო შემოსავლებსა და ფაქტიურ საგადასახადო შემოსავლებს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ "GAP – ანუ საგადასახადო შემოსავლების შეუსაბამობის" სრული დახურვის მცდელობა დაუსაბუთებელი ან მიზანშეუწონელი ამოცანაა. იდეალური შესრულების პირობებშიც კი "გადასახადის გაქცევის" ყოველი შემთხვევის გამოვლენისათვის აუცილებელი ადმინისტრირების ხარჯები გაცილებით უფრო მაღალი იქნება, ვიდრე ამის შედეგად მიღებული დამატებითი საგადასახადო შემოსავლები. "შემოსავლების სხვაობის" გაანგარიშება იოლი ამოცანა არ არის. რამდენიმე ქვეყანაში ხდება ეროვნული, შემოსავლების სხვაობის, გაანგარიშება და ქვეყნდება შეფასებები. შემოსავლების სხვაობა, ზოგჯერ გამოიყენება შემოსავლების დაფარვისა და გადასახადებისაგან თავის არიდების დონის გაზომვის ინდიკატორად. მაგრამ ვინაიდან შემოსავლების სხვაობის სიდიდეზე მრავალი ფაქტორი ახდენს ზეგავლენას, მაგალითად, საგადასახადო ადმინისტრირება, მის გამოყენებას შემოსავლების დაფარვისა და გადასახადებისაგან თავის არიდების

შესაფასებლად სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ასეთი შეფასებები მხოლოდ ვიწრო სპეციალური მიზნების სახით გამოიყენება, ვინაიდან მათ არა აქვთ შესადარებელი საფუძველი, დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გათ ვლის მეთოდებითა და სარწმუნო მონაცემების გამოყენებით. ზოგიერთი შეფასების მიხედვით, განვითარებადი ქვეყნები გადასახადებისაგან თავის არიდების გამო შიდა არაფორმალურ მეურნეობაში კარგავენ 285 მლრდ. აშშ დოლარს წელიწადში. ჯამში, საერთო დანაკარგები შეფასებულია დაახლოებით 385 მლრდ. აშშ დოლარად, მათ შორის 50 მლრდ. შეფასებულია ოფშორული ჰოლდინგებით და 50 მლრდ. აშშ დოლარი – გადასახადის გადატანით კორპორაციის მოგებაზე. სხვა შეფასებებით, საგადასახადო შემოსავლების დანაკარგები წლის მანძილზე ოფსეტური კორპორატიული მოგებისაგან (კორპორატიული მოგების ურთიერთჩათ ვლისაგან) აღწევს 160 მლრდ. აშშ დოლარამდე წელიწადში. ზოგადად, გადასახადებისაგან თავის არიდებისა და დამალვის და მათი თავიდან აცილების ხარისხის შეფასება რთულია, ვინაიდან ეს მოვლენები ძნელად ექვემდებარება დაკვირვებას და არ იძლევა ზუსტ და სარწმუნო მონაცემებს. შესაბამისად, ემპირიულ დონეზე არ არსებობს პრობლემის მასშტაბებისა ან გადასახადებისაგან თავის არიდებისა და დამალვის სხვადასხვა სახეს შორის ფარდობითი მნიშვნელობის გამოკვეთილი სურათი. ამ კუთხით ხორციელდება უფრო შეფასებითი ანალიზი "გლობალური ფინანსური მთლიანობის" (Global Financial Integrity (GFI)) სისტემით. უკანონო ფინანსური ნაკადები (IFF) არის ფულის ან კაპიტალის უკანონო გადაადგილება ერთი ქვეყნიდან მეორეში. GFI ახდენს ამ მოძრაობის კლასიფიკაციას, როგორც არაკანონიერი ნაკადის მოძრაობა, როდესაც თანხები უკანონოდ მიიღება, გადადის ან / და გამოიყენება საერთაშორისო საზღვარზე. უკანონო ფინანსური ნაკადები რამდენიმე მაგალითის შეიძლება მოიცავდეს:

- ნარკოკარტელი, რომელიც ვაჭრობაზე დაფუძნებული ფულის გათეთრების ტექნიკას იყენებს, ნახმარი მანქანების გაყიდვიდან მიღებულ ლეგალურ თანხას ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებულ ფულს ურევს;
- იმპორტიორი, რომელიც სავაჭრო დეზინვოზირებას იყენებს საბაჟო გადასახადების, დამატებული ღირებულების გადასახადის ან საშემოსავლო გადასახადის თავიდან ასაცილებლად;
- კორუმპირებული საჯარო მოხელე, რომელიც იყენებს ანონიმურ კომპანიას, ბინძური ფულის საბანკო ანგარიშზე გადასატანად შეერთებულ შტატებში;

- ადამიანით ვაჭრობის ტრეფიკერი, რომელსაც თან ახლდა ფულადი თანხის ქეისი საზღვარზე და დეპონირებს უცხო ბანკში; ან ტერორისტული ორგანიზაციის წევრი თანხებს ატარებს რეგიონიდან ოპერატორის სხვა რეგიონში.

GFI- ს შეფასებით, ვაჭრობასთან დაკავშირებულ საერთაშორისო საფინანსო საერთაშორისო ორგანიზაციების წლიურმა ღირებულებამ განვითარებად ქვეყნებში და მის გარეთ შეადგინა, საშუალოდ, მოწინავე ეკონომიკასთან მათი მთლიანი ვაჭრობის ღირებულების დაახლოებით 20 პროცენტი. [<https://www.worldbank.org/>]

განვითარებადი ქვეყნების დანაკარგებმა არაკანონიერი ფინანსური ნაკადების ხარჯზე 2012 წელს შეადგინა 991.2 მლრდ. აშშ დოლარი, ხოლო 2003- 2012 წწ. საშუალოდ 658,7 მლრდ. აშშ დოლარი . 2014-2017 წლებში ეს მაჩვენებელი მერყეობდა 620 მილიარდი აშშ დოლარიდან 970 მილიარდ აშშ დოლარამდე. [<https://www.u4.no/publications/the-credibility-of-corruption-statistics.pdf>] არაკანონიერი ფინანსური ნაკადები განისაზღვრება როგორც ფული, რომელიც არაკანონიერად არის გამო მუშავებული, გადაცემული ან გამოყენებული. GFI-ის განმარტებით, იგი გულისხმობს ისეთი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შედეგად გამომუშავებული ფულის გადაცემას, როგორცაა კორუფცია, კონტრაბანდულ საქონელთან დაკავშირებული გარიგებები, დანაშაულებრივი ქმედებები და გადასახადებისაგან შემოსავლის დაფარვა. გადასახადებისაგან თავის არიდებასა და დამალვას განსხვავებული მიზეზები აქვს. გადასახადებისაგან თავის არიდებისა და დამალვის მეთოდისა და ბრძოლის ინსტრუმენტების განვითარებისათვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია განისაზღვროს ამ პრობლემის საფუძველში ჩადებული სხვადასხვა მიზეზის ფარ თო გაგება. ეს მიზეზები ორ კატეგორიად იყოფა. პირველ კატეგორიას მიეკუთვნება ფაქტორები, რომლებიც ნეგატიურად ზემოქმედებენ გადასახადების გადა მხდელთა მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის დაცვაზე. ასეთ ფაქტორებს მიეკუთვნება გადასახადების გადამხდელთა დაბალი მზაობა გადაიხადონ და საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის მაღალი ღირებულება. მეორე კატეგორია მოიცავს საგადასახადო ადმინისტრირების წარმოების დაბალი დონისა და საგადასახადო ვალდებულებათა დაცვის უზრუნველყოფის სასამართლო სისტემის მიზეზებს. ეს ფაქტორები შეიძლება დაყვანილი იქნეს გადასახადების მართვისა და აკრეფის ხარვეზებამდე, ასევე სუსტ კონტროლსა და საგადასახადო მონიტორინგამდე, რაც ზღუდავს დამრღვევთა აღმოჩენისა და სა მართლებრივი დევნის შესაძლებლობებს. გადასახადების გადამხდელთა მზადყოფნა გადაიხადონ გადასახადები ძალზედ

განსხვავებულია მთელი მსოფლიოს მასშტაბით. იგი არ შეიძლება განხილული იქნეს მხოლოდ საგადასახადო ტვირთზე დამოკიდებულებით. ემპირიული კვლევები გვიჩვენებს, რომ გადასახადების გადამხდელები მთელ მსოფლიოში ხშირად იმაზე მეტ გადასახადს იხდიან, ვიდრე შეიძლება აიხსნას სიმძიმის თვალსაზრისით, თვით კონტროლისა და საჯარიმო სანქციების ყველაზე მაღალი დონის პირობებში. საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის მაღალ დონეს ექსპერტები ხსნიან საზოგადოებაში 'საგადასახადო მორალის' არსებობით, რომე ლიც ხელს უწყობს საგადასახადო კანონმდებლობის შესრულებას. ამასთან, "საგადასახადო მორალი" მარტივად და იოლად არ ყალიბდება, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც არ არსებობს გადასახადების გადახდის "კულტურისა და ჩვევების ღრმა ფესვები". გადასახადების გადამხდელთა მზადყოფნა გადაიხადონ გადასახადები მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. მათ შორის მნიშვნელოვანია მომსახურების ხარისხის დონე გადასახადების გადახდის სანაცვლოდ. თუ მთავრობას არ შესწევს უნარი უზრუნველყოს ძირითადი საზოგადოებრივი კეთილდღეობა და მომსახურება, ან არასაკმარისად უზრუნველყოფს, მოქალაქეებში შესუსტდება მზადყოფნა გადაიხადონ გადასახადები, რასაც შედეგად მოსდევს გადასახადებისაგან თავის არიდება. ლიბერმანი აღნიშნავს, რომ ბევრმა პოლიტიკონომისტმა მიიღო "საბიუჯეტო სოციოლოგია", რომელშიც ირიბად ან პირდაპირ დაბეგვრა გამოიყენება, როგორც სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობათა სასარგებლო ლინზა. დაბეგვრის სისტემისათვის ძალზე მნიშვნელოვანია სამართლიანობის აღქმა. ზოგიერთი კვლევა გვიჩვენებს, რომ მაღალი საგადასახადო განაკვეთები აძლიერებს საგადასახადო თავის არიდებას. მარტივია ის, რომ მაღალი საგადასახადო განაკვეთები ზრდის საგადასახადო ტვირთს და, შესაბამისად, ამცირებს გადახდისადმი წინასწარ განწყობას გადასახადების გადამხდელთა მხრიდან. ჰარვეი ს. როუზენი ამტკიცებს, რომ სამართლიანი საგადასახადო დატვირთვის მინიმუმამდე დაყვანა საჭიროებს ერთნაირი საგადასახადო განაკვეთების დადგენას, როდესაც მოთხოვნა ყველა საქონელზე იმავე პროპორციით მცირდება, რაც ნიშნავს, რომ ელასტიურობით დაუკავშირებელ საქონელზე საგადასახადო განაკვეთების დადგენა ივარაუდება მათზე მოთხოვნის ელასტიურობის საპირისპირო პროპორციით. ალიგამი და სანდმო აღნიშნავენ, რომ საგადასახადო განაკვეთების დონე არ შეიძლება იყოს ერთადერთი ფაქტორი, რომელიც იმოქმედებს ადამიანების გად აწყვეტილებაზე გადაიხადონ გადასახადი. ისინი ხაზს უსვამენ, რომ ოპტიმალური დაბეგვრის თეორიის

ჩარჩოში თავის არიდება არ ხდება `ნებისმიერი მიზეზით`. კლასიკური ვარიანტი დაყვანილია იმაზე, რომ გადასახადების გადახდის ხელშეწყობისათვის შემოსავლები უნდა იქნეს გადახდილი პირველ რიგში იმ საქონელზე, რომლებიც არაელასტიურია მოთხოვნისა და მიწოდების მიხედვით . გადასახადებისაგან თავის არიდებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საერთო საგადასახადო სისტემის სტრუქტურა. მაგალითად, თუ დაბეგვრის განაკვეთი კორპორაციის მოგებაზე შედარებით დაბალია, ხალხი კი საკუთარ შემოსავლებზე მაღალი საგადასახადო განაკვეთის წინაშე აღმოჩნდება, შეიძლება ჩათვალოს, რომ მათი საგადასახადო ტვირთი უსამართლოა და საკუთარი შემოსავლების მხოლოდ ნაწილის გამოჩენა ამჯობინონ. თუმცა, სწორედ ასე მოქმედებს სკანდინავიის საგადასახადო სისტემა, სადაც დაბეგვრა მოიცავს შრომითი შემოსავლების პროგრესულ დაბეგვრას ერთიანი დაბალი გადასახადით კაპიტალის ყველა სახის შემოსავალზე. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს „საგადასახადო მენტალიტეტის„ სხვაობის მნიშვნელობაზე. მსხვილი კომპანიები იოლად სარგებლობენ "საგადასახადო ხარვეზების" უპირატესობით, რაც ხელს უწყობს საგადასახადო სისტემის უსამართლობის აღქმას. გადასახადებისაგან თავის არიდებასა და გადასახადებისაგან თავის არიდების მიდრეკილებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საგადასახადო განაკვეთები და საგადასახადო სისტემის საერთო სტრუქტურა. საზოგადოებრივ უნდობლობას საგადასახადო სისტემისა, ასევე, მთლიანობაში, ხელისუფლებისადმი, ხელს უწყობს გამჭვირვალობისა და სახელმწიფო სახსრების გამოყენების ანგარიშვალდებულების ნაკლებობა. ეს, თავის მხრივ, ზრდის გადასახადებისაგან თავის არიდებისა და გადასახადებისაგან დამალვის მზაობას და პირიქით. ამასთან დაკავშირებით კირჩლერი (Kirchler E.) აღნიშნავს, რომ იცვლება დამოკიდებულება გადასახადების გადამხდელებსა და საგადასახადო სისტემას შორის და ხდება გადასვლა ერთი პოზიციიდან "პოლიციელი – მმარცველი" მეორე პოზიციაზე "მომსახურე – კლიენტი"

გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნებისათვის საგადასახადო სისტემის გამარტივება ბოლო ათწლეულის მანძილზე მისი გაუმჯობესების ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცა. ამასთან, საგადასახადო სისტემის გამარტივება თვითმიზანს კი არ წარმოადგენს, არამედ საგადასახადო სისტემის მეტი გამჭვირვალობის, პროგნოზირებისა და სამართლიანობის მიღწევის საშუალებას. სპეციალისტები და ექსპერტები ხშირად აღნიშნავენ, გადამხდელები კი ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ საგადასახადო სისტემები უნდა

გამარტივდეს, ამ დროს კი ბევრ ქვეყანაში საგადასახადო კანონმდებლობა წლიდან წლამდე უფრო რთული, მოცულობითი და დამაბნეველი ხდება. აღნიშნული პრობლემა უძველესი დროიდან იღებს სათავეს.

შუა საუკუნეების დიდი არაბი სწავლული იბნ ხალდუნი (Ibn Khaldun) 1377 წ. წერდა: «დინასტიის დასაწყისში დაბეგვრა იძლევა დიდ შემოსავალს მცირე შეფასებით. დინასტიის დასასრულს, დაბეგვრა იძლევა მცირე შემოსავალს დიდი შეფასებით.» ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, სულ უფრო და უფრო რატომ რთულდება ყველა საგადასახადო სისტემა დაგროვილ სამართლებრივ ბაზასთან, რეგულირების წესებთან, პროცედურების ადმინისტრაციულ პრაქტიკასთან, ბიუროკრატიულ კონვენციებთან და საერთოდ, საზოგადოების განვითარებასთან ერთად. ნათლად ჩანს, რომ ამ პროცესში ერთმანეთს ერწყმის დაგეგმილი და შემთხვევითი ქმედებები, ხოლო პოლიტიკური სტრატეგიები გადაჯაჭვულია პოლიტიკურ კომპრომისებთან.

საინვესტიციო კლიმატის მრავალრიცხოვანი კვლევებით დადგენილია, რომ საგადასახადო სისტემა წარმოადგენს სტიმულატორს ან მნიშვნელოვან ბარიერს ინვესტიციებისათვის და განსაკუთრებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის. საგადასახადო კანონმდებლობის ბუნდოვანი და ორაზროვანი დებულებები, საგადასახადო ინსტრუმენტების სიმრავლე, საგადასახადო კანონმდებლობის თვითნებური ინტერპრეტაცია, გადამხდელთა საჩივრების დაკმაყოფილების შეზღუდული შესაძლებლობები და საგადასახადო ორგანოების კანონით დადგენილი გადამეტებული თავისუფლება ქმნის მრავალ დაბრკოლებას ინვესტორებისათვის და აფერხებს პოტენციურ ინვესტორებს. უარყოფითი პროცესები ძლიერდება იმით, რომ საგადასახადო პროცედურები და მათი გაბათილების საშუალებები გაბნეულია სხვადასხვა ინსტანციასა და ორგანოში, რაც ამ საკითხების გადაჭრის ძალისხმევას ზღუდავს. ისეთი საგადასახადო სისტემის სტრატეგიისა და პარამეტრების აგებისათვის, რომელიც იქნება გამარტივებული, პროგნოზირებადი და მცირე დატვირთვა ბიზნესისათვის, საჭიროა სხვადასხვა პარამეტრების შეფასება და საგადასახადო პოლიტიკისა და საგადასახადო ადმინისტრირების საუკეთესო პრაქტიკების შედარება. ამდენად, საგადასახადო სისტემის გამარტივება მოიცავს საკითხთა ფართო სპექტრს. სხვადასხვა ქვეყანაში საგადასახადო რეფორმების უმრავლესობის მიზნები მიმართული იყო ხელისუფლების მიერ გადასახადების ამოღების გაზრდისაკენ სხვადასხვა

ეკონომიკური და სოციალური მიზნის მისაღწევად, ასევე, გადასახადების აკრეფის პროცესის ეფექტურობის გაუმჯობესებისაკენ. საზოგადოდ, საგადასახადო რეფორმები ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ საგადასახადო სისტემის ეფექტურობის ამაღლებას მეწარმეთათვის საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის შემსუბუქების თვალსაზრისით. ეს ამოცანა განსაკუთრებით აქტუალურია გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნებისათვის. ბიზნესისათვის საგადასახადო კანონმდებლობის შესრულების ღირებულება ტრივიალური არ არის, სწორედ ამით აიხსნება გადასახადების გადახდაში ფაქტობრივი დავალიანების მნიშვნელოვანი წილი. ზოგიერთი შეფასებით იგი საგადასახადო შემოსავლების 24%-ს აჭარბებს. ზოგიერთი ხარჯი ირიბი ხასიათისაა, და როგორც წესი, სათანადოდ ვერ ფასდება. საგადასახადო სისტემის გამარტივების პრობლემის ფაქტორებს შორის უნდა გამოიყოს შემდეგი: ბიზნეს-საწარმოს მიერ თავისი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებისათვის დახარჯული დრო და საშუალებები; საგადასახადო ვალდებულებების შესრულების მაღალი ღირებულება, რაც უბიძგებს ბიზნესს გადავიდეს არაფორმალურ სექტორში; კორუფციის დონე (საგადასახადო სისტემის გამარტივება ამცირებს ამ დონეს); ინვესტორებისათვის საგადასახადო სისტემის მიმზიდველობა ან პირიქით (რთული საგადასახადო სისტემა აფრთხობს ინვესტორებს); გამარტივებული საგადასახადო სისტემა ხელს უწყობს საგადასახადო ვალდებულებათა შესრულებას და ამცირებს გადასახადების აკრეფის ღირებულებას. დროთა განმავლობაში საგადასახადო სისტემის გართულებას გარკვეული გასაგები მიზეზები აქვს. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის გარკვეული ზეწოლის შედეგი, რაც ყოველთვის როდი წარმოადგენს არასწორი პოლიტიკის შედეგს. საგადასახადო ადმინისტრირების მიზნისათვის მნიშვნელოვან და არსებით ამოცანას წარმოადგენს საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის მოთხოვნები. საგადასახადო ორგანოებისათვის ეს არის გარანტია, რომ უკეთესად შესრულდება საგადასახადო ვალდებულებები. კანონმდებლობის დაცვა ასევე ტვირთია დამატებითი ვალდებულებების მქონე საწარმოებისათვის. მაგალითად, აღრიცხვის მოთხოვნა, საგადასახადო ორგანოების მიერ ინსპექტირებისათვის მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ამავდროულად მოსალოდნელია, რომ ეს ანგარიშები შემოწმდება გარე საგადასახადო აუდიტორების მიერ, რაც მოითხოვს ხარჯებს ბიზნეს-საწარმოთა მხრიდან. საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის ზოგიერთი მოთხოვნა შეიძლება გადაჭარბებული იყოს. აუცილებელი მოთხოვნები ყოველთვის ვერ უზრუნველყოფენ

საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის მაღალ ხარისხს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დადგინდება მაღალი დანახარჯები ბიზნესისათვის. ეს შეიძლება იყოს შედეგი: მცდარი შეხედულებისა იმაზე, რომ დიდი მოთხოვნები ანგარიშგებისა გამოიწვევს გადასახადების გადამხდელთა მხრიდან საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების დონის ამაღლებას; ანგარებიანი ინტერესებისა (ზედამხედველ ორგანოსა და ბიზნესს შორის კონტაქტების გაზრდა, მიზნად ისახავს უკანონო `რენტის` მიღებას); განმეორებადი (ერთი და იმავე) მოთხოვნებისა რამდენიმე სახელმწიფო უწყებისადმი. მოთხოვნათა გაზრდას ემსახურება გადასახადების ამოღების ინსტრუმენტები ადგილობრივი ან სუბნაციონალური სამთავრობო სტრუქტურების მხრიდან, რომლებსაც, გააჩნიათ რა შეზღუდული შესაძლებლობები შემოსავლების მიღებისა საკუთარი ხარჯების დასაფინანსებლად, შემოაქვთ სხვადასხვა ლიცენზიები და მოსაკრებლები.

საგადასახადო ადმინისტრაციასა და ბიზნესს, როგორც წესი, განსხვავებული შეხედულებები აქვთ საგადასახადო კანონმდებლობის სირთულეზე. საგადასახადო ადმინისტრაცია განწყობილია იმისაკენ, რომ ბიზნესის წარმომადგენლებს, როგორც წესი, სურთ გადაუხვიონ საგადასახადო წესებს და მიიღონ გადასახადების გადახდის მეტი გამონაკლისი. ბიზნესის წარმომადგენლები, თავის მხრივ, მიიჩნევენ, რომ საგადასახადო ადმინისტრაცია კორუმპირებულია და შეგნებულად ართულებს პროცედურებს. აქედან გამომდინარე: ბიზნესი ცდილობს შეიმუშაოს ახალი და რთული ფინანსური ინსტრუმენტები და იპოვოს გადასახადებისაგან თავის არიდების ახალი გზები, საგადასახადო ორგანოები კი იმყოფებიან შემაკავებელი ზეწოლის ქვეშ. შესაბამისად, ამის გამო საგადასახადო კანონმდებლობა აუცილებლად რთულდება. სხვა მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ საგადასახადო კანონები ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად ცვლადია ხელისუფლების სხვადასხვა ეკონომიკური და სოციალური მიზნების უზრუნველსაყოფად განხორციელებული ზეწოლის გამო. საგადასახადო კანონმდებლობის გართულების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი – ეს არის არასასამართლო განხილვების რაოდენობის გაზრდა. საქმე იმაშია, რომ ხელისუფლებას ხშირად არ სურს სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილების იმედზე ყოფნა და ამის ნაცვლად ისე ცვლის კანონმდებლობას, რომ სასამართლო გადაწყვეტილებებში ხელისუფლების პოზიცია აისახოს. ყველა ეს ზეწოლა იწვევს გაუგებრობას შესწორებებში, რაც დროთა განმავლობაში ართულებს საგადასახადო კანონმდებლობას. ეს

პერიოდულად ითხოვს საგადასახადო კანონმდებლობის "წმენდას", თუმცა, აღნიშნული პროცესი ციკლური ხასიათისაა.

განვიხილოთ საგადასახადო გამარტივებისათვის გამოსაყენებელი ინსტრუმენტები. საგადასახადო სისტემის გამარტივების სტრატეგია რამდენიმე მიდგომას მოითხოვს. ყოველი ინსტრუმენტი უზრუნველყოფს საგადასახადო სისტემის გამარტივების აუცილებელ ხელშეწყობას: - კვლევების ჩატარება აუცილებელი ხარჯების გამოსავლენად და საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფისათვის საჭირო დროის ქრონომეტრაჟი; - საგადასახადო ინსტრუმენტების არსებობა და ფორმატი, მათ შორის ადგილობრივი ლიცენზიების, მოსაკრებლებისა და გადასახადების შესასრულებლად, რომლებიც უნდა გადაიხადონ საგადასახადო აგენტებმა; - სხვადასხვა ადმინისტრაციული პროცედურების ამსახველი ტექნოლოგიური რუკები, საგადასახადო ინსპექტორებსა და გადამხდელებს შორის შეხების წერტილების წარმოქმნაზე განსაკუთრებული აქცენტით. როგორც პირველ ნაწილში აღვნიშნეთ, არაიძულებითი გადასახადი ეს პოლიტიკური შეთანხმებაა ან `ფისკალური საზოგადოებრივი ხელშეკრულება~, რომელიც დადებულია გადასახადის გადამხდელებსა და სახელმწიფოს შორის ეროვნული მიზნების, პოლიტიკური უფლებების, საკუთარი მოქალაქეების წინაშე ხელისუფლების მოვალეობებისა და ანგარიშვალდებულების განხორციელებისათვის. სახელმწიფომ დაბეგვრის სანაცვლოდ, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოს გარკვეული შეღავათები მომსახურების სახით და უნდა იყოს ანგარიშვალდებული.

საგადასახადო გამარტივების პოლიტიკური ამოცანა მოწოდებულია უზრუნველყოს საგადასახადო-საბიუჯეტო საზოგადოებრივი შეთანხმების ეფექტიანობა. ვ. ხეტიჩი და ს. ვინერი აღნიშნავენ, რომ გადასახადი – სოციალური კაპიტალის გამოხატულებაა იმ კუთხით, რომ დაბეგვრის რეფორმირება ასახავს დისკუსიას იმის შესახებ, თუ როგორია საზოგადოება, იმის შესახებ, რომ მოქალაქეებს სურთ და მზად არიან გადაიხადონ ამისათვის. ზემოხსენებული ავტორები იქვე აღნიშნავენ, რომ სირთულე გარდაუვალი შედეგია იმისა, რომ პოლიტიკურად ოპტიმალური საგადასახადო სტრუქტურა მოითხოვს მარგინალურ პოლიტიკურ ოპოზიციას – საგადასახადო შემოსავლების თითოეულ დოლარზე, რომლებიც გათანაბრებული იქნება ყოველი გადამხდელის დასაბეგრ საქმიანობასთან, ასევე გათანაბრებული იქნება გადამხდელებისათვის საქმიანობის თითოეულ სახეზე. ამასთან, პოლიტიკური ვაჭრობის შემდეგ გამარტივებისაკენ

მიმართულმა რეფორმებამ კი შესაძლოა გაართულოს საგადასახადო კოდექსი. საგადასახადო სისტემის გამარტივებისათვის შემუშავებული ზომები მიმართული უნდა იქნეს უფრო ეფექტიანი მმართველობის შექმნისაკენ, რასაც დაბრკოლებას უქმნის მრავალი სირთულე და სიძნელე, რომელთა შორის ექსპერტები გამოყოფენ შემდეგს:

- გადასახადებისაგან თავის არიდებისა და გადახდისაგან დამალვის პრობლემების გადაჭრის იძულებითი მეთოდების სირთულე;
- კომპრომისებისა და კორპორატიული ინტერესების ლობირების კომბინირების პოლიტიკური სირთულე, ასევე მომხმარებელთა ძირითადი მასის წახალისება;
- სოციალური სამართლიანობის კუთხით საკუთარი ვალდებულებების გამოცხადებისათვის და გადანაწილების მართლსაჯულების სამართ ლიანობის უზრუნველსაყოფად მიუკერძოებელი პოლიტიკური სისტემის სირთულე;
- კატეგორიებისა და ღირებულებების სამართლებრივი სირთულეები;
- სახელმწიფო ხარჯების სხვადასხვა პარამეტრთან საგადასახადო სისტემის კავშირის სირთულე;
- საორგანიზაციო სირთულეები, როგორც შედეგი გაურკვეველი ფინანსური სტრუქტურისა ადმინისტრაციული ხელისუფლების – ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების – სხვადასხვა დონეს შორის;
- ეკონომიკის სტრუქტურის ეფექტიანი მართვის სისტემის შექმნის სირთულე, აგრეთვე, ცალკეულ სექტორში სხვადასხვა ეკონომიკური გავლენების გამო;
- ყოველგვარი შემთხვევითი სირთულე წარსული წლების პრაქტიკის გათვალისწინებით;
- კორუფციის დაძლევით გამოწვეული სირთულე, რომელიც არყევს პოლიტიკურ სტაბილიზაციას;
- სხვადასხვა ადმინისტრაციული სირთულე, როგორცაა მოქმედების თავისუფლება და სხვადასხვა ოფიციალური უწყებისა და დონის

(გადასახადების ამოღება, კონტროლი და სხვ.) სიფრთხილე.

აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, საგადასახადო სისტემის გამარტივების რეფორმებმა ყველა ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება მოითხოვოს სირთულის ყოველი დონის პრობლემის გადაწყვეტის რადიკალურად განსხვავებული მიდგომა. საგადასახადო სისტემის გამარტივების სტრატეგიის პროგრესი მოითხოვს განხორციელების თანმიმდევრულობას, საგადასახადო სისტემის სხვა ასპექტებთან კავშირების გათვალისწინებას და პროცესის მონიტორინგის მექანიზმს. [http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi_economics/davit_jangiriani.pdf]

საგადასახადო კოდების თეორიული შესაძლებლობა, რომ მას შეიძლება ქონდეს ხარვეზები, იმაზე მეტად არავის შეუძლია დაინახოს ის, როგორც იმ მეწარმეს ან ნებისმიერ პირს, რომლის საქმიანობასაც არეგულირებს კოდექსი. მცირე საწარმოების უმეტესობა ცდილობს მაქსიმალურად ნაკლები გადაიხადოს ბიუჯეტში და ამისთვის იყენებს სხვადასხვა პრაქტიკაში გავრცელებულ მეთოდებს, მაგალითად: შპს-ს ხშირი ცვლილება, მაშინ როცა მას ინტერესი არ აქვს გრძელვადიანი საქმიანობის და კომპანიის ისტორია არაა მისთვის მნიშვნელოვანი, ამას ხშირად იყენებენ დღეს გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის თავის არიდების მიზნით.

ასევე, ის გარემოება რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებს ვალდებულებებზე პასუხ აგემს მხოლოდ იმ ქონებით რაც შპს-ს აქვს, ანუ მცირე ბრუნვის საწარმოები რისკავენ, არ ადეკვალირებენ შემოსავლებს სწორად, და თუ მათი შემოწმების და პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, უბრალოდ აჩერებენ საქმიანობა, აღსანიშნავია რომ ეს გარემოება იციან და ძირითად საშუალებას არ ყიდულობენ იმ კომპანიის სახელზე რომელსაც საქმიანობაში იყენებენ. და სხვა მრავალი, რომლის დაწვრილებით განხილვა ცალკე თემაა, და როცა ამ ნაშრომში შევეხე იმ საკითხს, რომ ის პირები ვინც აღნიშნულ კანონმდებლობას ქმნიან არ იყენებს მცირე ბიზნესების გამოცდილებას, და იმ ადამიანების ცოდნას, ვინც პრაქტიკულად ეჩეხება მსგავს საკითხებს. (ბ.შ)

2.2. საგადასახადო სისტემის გამარტივება, საგადასახადო შეღავათები, გადასახადებისაგან განთავისუფლება, მათი თეორიული საფუძვლები

თანამედროვე მსოფლიოში ნაკლებად შენიშნება საგადასახადო სისტემის გამარტივების ტენდენციები, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თანამედროვე განვითარების პარალელურად, აუცილებელი ხდება ახალი საკანონმდებლო რეგულაციები, აუცილებელი ხდება საკანონმდებლო ბაზის რეგულირება, რათა არ მოხდეს თაღლითა და სახელმწიფო ქონების გაფლანგვა, სახელმწიფო რესურსების უკანონოდ გამოყენება და დაცული იყოს ქვეყნის ეკონომიკა. მსგავსი ცვილილებები კი წარმოშობს აუცილებლობას, საგადასახადო სისტემის რეგულირებას და ქვეყნის საკანონმდებლო ბაზაზე მორგებას, რაც დღითი დღე ართულებს მას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მცდელობები ამ საკითხების გამოსასწორებლად არის, თუმცა ერთი საკითხის გამარტივება მეორე საკითხის გართულებას იწვევს და ზრდის ბიუროკრატიულ მომენტებს, რაც თავის მხრივ კორუფციის წყარო ხდება და ვტრიალებთ იმ წრეში, რომლიდან გამოსვლაც გვინდა, თუმცა დღეს არსებული კანონმდებლობა, გამარტივების საშუალებას არ იძლევა, მე ვფიქრობ, საგადასახადო პოლიტიკის გამარტივება მეწარმისთვის იმდენად მნიშვნელოვანი არაა რამდენადაც საგადასახადო განაკვეთების შემცირება, თუმცა ამ ეტაპზე ამ კუთხით სიახლე არ გვაქვს, და ჩემი აზრით, იმ განვითარებადი ეკონომიკის და უამრავი საჭიროებების პირობებში, რომელიც გადასახადებმა უნდა უზრუნველყოს, განაკვეთების შემცირება უკან წაიყვანს ქვეყანას, ვინაიდან ქვეყნის სასაქონლო ბაზრების, სამომხმარებლო პროდუქციის, სამშენებლო, საყოფაცხოვრებო და სხვა, დიდი ნაწილი დამოკიდებულია იმპორტზე, შეღავათებით გამოთავისუფლებული სახსრების უმეტესი ნაწილი გავა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ჩაემვება საქონელბრუნვაში, რაც იმ პროპორციით არ გამოიწვევს ბიუჯეტის თანხების ზრდას, რა ზარალსაც ნახავს ამით ქვეყანა, ეს ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე შეუძლებელია გადასახადის განაკვეთი შემცირდეს, და ამით ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა გაუმჯობესდეს.

თუმცა ასე თუ ისე, მაინც ცდილობენ სახელმწიფოები გაამარტივონ საგადასახადო სისტემები, სხვადასხვა გამოცდილებების მაგალითებზე. საქართველოს მსგავსი, გარდამავალი ეკონომიკის* პირობებში მყოფი ქვეყნები იყენებენ აპრობირებულ საგადასახადო სისტემას, რომელიც წარმატებით გამოიყენებოდა სხვა ქვეყნებში, როცა ისინი იმყოფებოდნენ განვითარების საფეხურზე. ერთ-ერთ ასეთი მაგალითია

საქართველოში 2017 წლიდან დანერგილი ესტონური მოდელი, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკამ საკმაოდ კარგად აუწყო ფეხი.

საქართველომ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები გაატარა ეკონომიკის ფისკალური სტიმულირების და განვითარების კუთხით. 2003 წელს, ხელისუფლების ცვლილების ფონზე მოსულმა ეკონომიკურმა გუნდმა შეამცირა საგადასახადო ტვირთი და გადასახადების რაოდენობა 36 გადასახადიდან 6 გადასახადამდე დაიყვანა. ქვეყანამ, აღნიშნული რეფორმების შედეგად, შეძლო მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდის მიღწევა და ლიბერალური საგადასახადო იმიჯი შეიქმნა ინვესტორების თვალში.

(მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდექსში, საქართველოს მოწინავე პოზიციები მოწმობს იმას, რომ დღეს არსებული საგადასახადო სისტემა უზრუნველყოფს ქვეყანაში ბიზნესის დაწყების სიმარტივეს. მარტივ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელი სამეწარმეო საქმიანობის ფორმის რეგისტრაცია საჯარო რეესტრით შემოიფარგლება მინიმალური გადასახადით, და ბიზნესის დასაწყებად კაპიტალის აუცილებლობა არ არის. მთავარია ადამიანს ქონდეს იდეა, იყოს შრომისმოყვარე და ქონდეს უნარი ისეთი ბაზრის მოძიების, რომელიც მისი იდეის განხორციელებას შეუწყობს ხელს. მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის თვალსაზრისით გამარტივებულია ეკონომიკური საქმიანობა, საზოგადოების ცნობიერების დონე და რესურსი, ახალი ინფორმაციების მიღების და შედარების იმდენადაა გაზრდილი, რთულია ბაზარზე თავის დამკვიდრება (ბ.შ)

2015 წელს მთავრობის წარმომადგენლებმა დააანონსეს მნიშვნელოვანი ცვლილება საგადასახადო კოდექსში – მოგების გადასახადის ესტონური მოდელის შემოღება (შემდგომში – “ესტონური მოდელი”). საგადასახადო კოდექსში 2016 წელს შესული ცვლილებით, 2017 წლის იანვრიდან, ესტონური მოდელი ძალაში შევიდა.

საკანონმდებლო სიახლის გაცხადებული მიზანია ეკონომიკური ზრდის დაჩქარება და ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. ფრანგი ფილოსოფოს მონტესკიეს აზრით, საზოგადოებაში არაფერი საჭიროებს იმდენ ჭკუა-გონებას, რამდენიც აუცილებელია იმ წილის განსასაზღვრავად,

რომელსაც ხელისუფლება ართმევს საზოგადოების წევრებს. საგადასახადო კოდექსში შეტანილ ცვლილებას, თან სდევს რამდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა, მათ შორის, მოახდენს თუ არა ესტონური მოდელი მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის წახალისებას და რა გამოწვევების წინაშე შეიძლება დადგეს ქვეყანის ეკონომიკა ამ სისტემის დანერგვის შემდეგ.


მთავარი რამ, რასაც „ესტონური მოდელის“ დანერგვა ითვალისწინებს - გაუნაწილებელი მოგების გათავისუფლებაა საგადასახადო ტვირთისგან. „ესტონური მოდელის“ დანერგვის შემდეგ საქართველოში მოქმედი ბიზნესსუბიექტების დიდი ნაწილი ნაწილობრივ გათავისუფლდებიან მოგების გადასახადისგან, ანუ ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების გაცემა დივიდენდის სახით ან მოახდენენ მოგების ისეთ განაწილებას, რომელიც არ უკავშირდება კომპანიის ბიზნესსაქმიანობას. შესაბამისად, „ესტონური მოდელი“ ითვალისწინებს დაბეგრას არა მოგების მიღებისთანავე, არამედ მოგების განაწილებისას.

თვითონ ეს მოდელი, წარმოშობის და დანერგვის ქვეყანაში ასე გამოიყურება:

ძირითადად ესტონური მოდელის წარმატება განაპირობა თანმიმდევრულმა, დროში გაწერილმა მზადებამ დიდი ცვლილებებისთვის. ესტონელები ამ რეფორმის მოსამზადებლად სხვა ტიპის რეფორმებსაც ახორციელებდნენ, რაც გრძელდებოდა არა ერთი, ან ორი წლის განმავლობაში, არამედ - პრაქტიკულად, თითქმის, 10 წელს. თავისთავად, ასეთი რეფორმების ეტაპობრივი “ინექცია” ეკონომიკაში მთლიანად ცვლიდა საგადასახადო გარემოს, რომელიც გავლენას ასევე ეტაპობრივად ახდენდა ქვეყნის ეკონომიკაზე.

ესტონეთში მნიშვნელოვანი საგადასახადო რეფორმები 1995 წლიდან დაიწყო. მოგების გადასახადის (კორპორატიული გადასახადი მოგებაზე) რეფორმა კი 2000 წელს განხორციელდა, რომლის მიხედვით, მოგების გადასახადით აღარ დაიბეგრებოდა გაუნაწილებელი მოგება. რეფორმამდე, მაგალითად, 1999 წლისთვის, ესტონეთში მთლიანი საგადასახადო შემოსავლების, დაახლოებით, 6 პროცენტი ეჭირა მოგების გადასახადს და განაკვეთი 21 პროცენტს შეადგენდა. მოგების გადასახადი ყველა განვითარებულ ქვეყანაში, ისევე როგორც საქართველოში, წარმოადგენს საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს, შესაბამისად, ამ საგადასახადო შემოსავალზე

ნაწილობრივ უარის თქმა ხელისუფლებისთვის მტკივნეული პროცესია. თუმცა, როგორც საერთაშორისო გამოცდილებიდან ვიცით, მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის წნეხის შესუსტება იწვევს მოკლევადიან პერიოდში საგადასახადო შემოსავლების შემცირებას, გრძელვადიან პერიოდში ეს ფისკალური პოლიტიკა დიდი ალბათობით საგადასახადო შემოსავლების ზრდას განაპირობებს. ეს ვარაუდი გამართლდა ესტონური მოდელის განხორციელებისას. 2000 წელს ესტონეთში დაფიქსირდა მოგების გადასახადის მთლიანი მოცულობის მკვეთრი კლება. მისი წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლების მოცულობაში 6 პროცენტიდან 2.3 პროცენტთან მინიმუმამდე დაეცა. თუმცა, არსებობს ეკონომისტებისა და ფინანსისტების მხრიდან გამოთქმული საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ ამ ტიპის საგადასახადო შემოსავლების შემცირება ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებამაც გამოიწვია. 2001 წლიდან კი, ანუ მას მერე, რაც რეფორმა განხორციელდა, იზრდება მოგების გადასახადიდან მიღებული შემოსავლების წილი და რაც ყველაზე მთავარია, მოგების გადასახადის მოცულობის წილობრივ ტრენდს მიჰყვება ესტონეთის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტრენდი(მოგების გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში).



1

- მოგების გადასახადის წილი საგადასახადო შემოსავლებში
- მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტული ცვლილება

Activate \
Go to Setting

ამ დროისთვის არსებობს სოლიდური რაოდენობა კვლევებისა, რომლებიც ესტონური საგადასახადო რეფორმის შედეგების შეფასებას ახდენს, ძირითადად, ესტონეთის

საგადასახადო მოდელის ცვლილების შედეგებს აფასებს ლიტვასა და ლატვიის თანადროულ ეკონომიკურ მაჩვენებლებთან შედარების გზით. კვლევების უმეტესობა მიუთითებს შემცირებული საგადასახადო წნეხის უპირატესობაზე. მაგალითად, ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ მოგების გადასახადის შემცირებამ გააუმჯობესა ესტონეთში ოპერირებადი კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, კონკრეტულად კი, მათი კაპიტალის ლიკვიდურობა, ფულადი აქტივების ზრდა როგორც საბრუნავ კაპიტალში, ასევე საბანკო ანგარიშებზე, რამაც ლიტვისა და ლატვიის კომპანიებთან შედარებით, ესტონურ ფირმებს მისცა შესაძლებლობა შედარებით უმტკივნეულოდ გადაეტანათ 2008 წლის ფინანსური კრიზისი.

ესტონური მოდელის დანერგვას საქართველოში არ ჰქონია მსგავსი წინაპირობა, ვინაიდან ინიციატივის გაჟღერებიდან 2 წლის შემდეგ დაინერგა აღნიშნული მოდელი, და შესაბამისად ჰყავდა როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები და უამრავი სტატია და კვლევა არსებობდა ჯერ კიდევ 2017 წელს. თუ რა შედეგებს გამოიწვევდა ასე სწრაფად და ყველანაირი წინარე რეფორმების გარეშე სისტემაში დანერგილი ესტონური მოდელი. თუმცა დღევანდელი გადასახედიდან და ბიზნესში არსებული მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, არც თუ ისე ცუდი გავლენა ქონია აღნიშნულ მოდელს. ვინაიდან ის ფუნდამენტური ხერხემალი, რომელსაც მოგების გადასახადის ნაწილში გამოარჩევს ესტონური მოდელი, შესრულებულია და ბიზნესს გარკვეულწილად მიეცა საშუალება თავისი ფინანსური რესურსის რეინვესტირების შემთხვევაში არ დაბეგრულიყო და ფინანსების ერთგვარი მობილიზება გაეკეთებინა.

კონკრეტულ შედარებას თუ გამოვიყენებთ, 2017 წლამდე მოგების ნაწილში დაბეგვრის ფორმულირებასა და 2017 წლის შემგომ პერიოდს შორის, ასე გამოიყურება:

2017 წლამდე თუ იურიდიული პირი, (გარდა ინდ.მეწარმისა და მცირე მეწარმისა. (და სხვა შემთხვევები, სადაც ესტონურ მოდელზეა საუბარი, არ ეხება ინდ. მეწარმეს და მცირე მეწარმეს)) 2017 წლამდე მოგებას ანაწილებდა წელიწადში ერთხელ, ყოველი მომდევნო წლის 1 მარტამდე დეკლარირების ვალდებულებით, იბეგრებოდა მთლიანი მოგების 15% ით, ხოლო 2017 წლის შემგომ ესტონურ მოდელზე არსებული კომპანიები მოგების განაწილების შემთხვევაში თუ აღნიშნულ

თანხას პარტნიორი გაიტანს კომპანიიდან, პირადი სარგებლობისთვის, რომელ საანგარიშო თვეშიც ეს ოპერაცია მოხდება, იმ თვეში უნდა დადეკლარირდეს და დაიბეგროს 15 % ით, ის თანხა, რომელიც მოგების ნაწილიდან დარჩება კომპანიაში და მოხდება მისი რეინვესტირება ეკონომიკურ საქმიანობაში, მაშის ეს თანხა არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. [<http://eugeorgia.info/ka/article/541/estonuri-modelis-qartuli-perspeqtivebi/>]

საქართველოში არსებობს საგადასახადო შეღავათების შემდეგი სახეები:

ა) არარეზიდენტის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ დაწესებულებებში დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავლები;

ბ) მიღებული გრანტი, სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია, დაგროვებადი და დაბრუნებადი ხასიათის არასახელმწიფო საპენსიო სქემიდან მიღებული პენსია განხორციელებული შენატანების ოდენობით, სახელმწიფო სტიპენდია, დახმარებებისა და ერთჯერადი გასაცემლების მიზნით ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან ან/და ბიუჯეტის სარეზერვო ფონდებიდან მიღებული თანხები;

გ) ალიმენტი;

დ) განქორწინების საფუძველზე მიღებული ქონების ღირებულება (შემოსავალი) ფიზიკური პირის მიერ;

ე) 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის (სახლის) მასზე დამაგრებული მიწით რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

ვ) საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან 6 თვეზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

ზ) 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული აქტივის მიწოდებით მიღებული ნამეტი.

საგადასახადო წლის განმავლობაში I და II რიგის მემკვიდრეების მიერ ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება;

თ) საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარამდე ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულება, გარდა დაქირავებულის მიერ დაქირავებლისაგან ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულებისა;

ი) საგადასახადო წლის განმავლობაში III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ 150 000 ლარამდე ღირებულების, ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება;

და სხვა... (აღნიშნული შეღავათების და გადასახადებისგან გათავისუფლების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ სსკ მუხლი 82)

2.3. რას გულისხმობს ეკოლოგიური დაბეგვრა და საგადასახადო სისტემების ეკოსაგადასახადო მოწყობა

ეკოლოგიური გადასახადი არის გადასახადი, რომელიც მიიღება იმ საქმიანობიდან, რომელიც მავნეა გარემოსთვის და მიზნად ისახავს ეკოლოგიურად სუფთა საქმიანობის წახალისებას ეკონომიკური წახალისების გზით. ასეთ პოლიტიკას შეუძლია შეავსოს ან თავიდან აიცილოს მარეგულირებელი (ბრძანება და კონტროლი) მიდგომების საჭიროება. ხშირად, ეკოლოგიური გადასახადის პოლიტიკის შემოთავაზებას შეუძლია შეინარჩუნოს საგადასახადო შემოსავლის საერთო მაჩვენებელი სხვა გადასახადების პროპორციული შემცირებით; ასეთი სახის გადასახადი ცნობილია, როგორც „მწვანე“ გადასახადი. ეკოლოგიური გადასახადები ეხება თავისუფალი ბაზრების მიერ გარემოზე მავნე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანას. [<https://en.wikipedia.org/wiki/Ecotax>]

მწვანე ეკონომიკა და საგადასახადო დაბეგვრის ზოგიერთი პრობლემა

ეკოლოგიური ანუ „მწვანე“ საგადასახადო რეფორმა, როგორც საგადასახადო და ეკოლოგიური პოლიტიკის ერთობლივ ღონისძიებათა სისტემა, გასული საუკუნის ბოლო ათწლეულიდან იღებს სათავეს და ევროპის სახელმწიფოების მიერ საკუთარი საგადასახადო სისტემების ეკოლოგიზაციის მიმართულებით გატარებული საგადასახადო რეფორმებითაა განპირობებული.

საგადასახადო სისტემების ეკოლოგიზაცია მიმართულია გადასახადების გამოყენებით ეკოლოგიური ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისაკენ. ამასთან, ეკოლოგიური საგადასახადო რეფორმა არის ეროვნული საგადასახადო სისტემის რეფორმა, რომელიც ეფუძნება არსებული გადასახადების ეკოლოგიურ გადასახადად ჩამოყალიბებას ან ახალი ეკოლოგიური გადასახადების შემოღებას. ასეთი რეფორმების შედეგად ჩნდება შესაძლებლობა, ერთდროულად იქნეს მიღწეული ეკოლოგიური პოლიტიკის მიზნები და გაუმჯობესდეს ეკონომიკური მაჩვენებლები.

იდეალურ შემთხვევაში ეკოლოგიურმა საგადასახადო რეფორმამ ხელი არ უნდა შეუშალოს ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლებს, ამასთან, უცვლელი უნდა დარჩეს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ტვირთი. არსობრივად, სწორედ ამით განსხვავდება ეკოლოგიური საგადასახადო რეფორმა ეკოლოგიური გადასახადებისგან. ეკოლოგიური გადასახადების ეკვივალენტური ჯამი და საბიუჯეტო დანაკარგები არ წარმოადგენს „მწვანე“ საგადასახადო რეფორმის ჩატარების აუცილებელ პირობას.

მწვანე ეკონომიკა და საგადასახადო დაბეგვრის ეკოლოგიზაცია მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქვეყნის ევროპეიზაციის გზაზე.

მწვანე ეკონომიკა აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით მსოფლიომ წარმოუდგენელ განვითარებას მიაღწია, და ეს განვითარების პროცესი გრძელდება, რაც აუცილებელს ხდის გარემოს დაცვის საკითხების წამოწევას მთავარ თემად, ვინაიდან ტექნოლოგიური განვითარება მოიხმარს ძალიან დიდ რესურსს, ზიანს აყენებს გარემოს, როგორც დაბინძურების კუთხით, ასევე განადგურებისაც. ეკონომიკის და ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მართალია, გარკვეული მხარდაჭერაც მიიღო გარემომ, მაგალითად, მეხსიერების დისკების და შემდეგ ბარათების გამოგონებამ ფაქტიურად გადაარჩინა ხე-ტყე, ვინაიდან დიდი მოცულობის ინფორმაციის შენახვა, ფურცლის მაგივრად მსგავს მეხსიერების საშუალებებზე,

ციფრულად ხდებოდა, და დღეს ეს პროცესი ბევრად უფრო კომფორტული და მისაღებია საზოგადოებისთვის, თუმცა გარემოსთვის მიყენებული ზიანი ბევრად აღემატება განვითარების შედეგად მიღებულ სარგებელს. სწორედ ამიტომ აუცილებელი გახდა ეკოლოგიური გადასახადების შემოღება, რაც მეტ-ნაკლებად იცავს, და არსიც ისაა, რომ უნდა დაიცვას გარემო, მოსალოდნელი საფრთხეებისგან.

მწვანე ეკონომიკის ძირითადი 3 პრინციპია:

1. შეუძლებელი იყოს შეზღუდულ გარემოში გავლენების უსასრულოდ გაფართოება;
2. მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შეუძლებლობა, შეზღუდული რესურსების პირობებში;
3. დედამიწაზე ყველაფერი ურთიერთკავშირშია.

მწვანე ეკონომიკის მთავარი მიმართულებებია:

1. ენერჯის განახლებადი წყაროების დანერგვა;
2. ნარჩენების მართვის სისტემების სრულყოფა;
3. წყლის რესურსების მართვის სისტემების სრულყოფა;
4. „სუფთა“ სატრანსპორტო სისტემების განვითარება;
5. სოფლის მეურნეობაში ორგანული მიწათმოქმედების ხვედრითი წილის ზრდა;
6. ენერგოეფექტური კომუნალური სისტემების შექმნა;
7. ეკოსისტემების შენარჩუნება და ეფექტური მართვის სისტემის შექმნა.

რაც შეეხება საქართველოს: საქართველოში დღესდღეობით დანერგილი ეკონომიკური სისტემა ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურ ათვისებასა და სოციალურ უთანასწორობაზე დაფუძნებული და საერთოდ არ ითვალისწინებს სამომხმარებლო პასუხისმგებლობასა და კულტურას, რაც აბსოლუტურად უკუაგდებს მდგრადი განვითარების პრაქტიკას.

გარემოს დაბინძურების მხრივ, სავალალო მდგომარეობაა მძიმე მრეწველობის ქალაქებში, რაც პირდაპირ აისახება ადამიანების ჯანმრთელობაზე. ამ კუთხით განსაკუთრებით საყურადღებოა ზემო იმერეთი - ჭიათურა, ზესტაფონი, თერჯოლა,

ტყიბული, სადაც ხდება მადნის მოპოვება ყოველგვარი ეკოლოგიური პირობების დაცვის გარეშე.

გარემოს დაბინძურება პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესების ზრდის ტენდენციასთან. ტოქსიკური ნივთიერებები, რომლებიც გამონაბოლქვ აირთან ერთად ხვდება ატმოსფეროში, რეალურ საფრთხეს უქმნის მოსახლეობას, რომელიც ამ მავნე ზეგავლენის ქვეშ იმყოფება.

ჩვენ მივიჩნევთ, რომ სახელმწიფო პოლიტიკური კურსი უნდა მოიაზრებდეს წინსვლისა და განვითარების ისეთ სტრატეგიას, რომელიც ეკოსისტემაზე არ დატოვებს ნეგატიურ კვალს და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ იქნება მიმართული. სწორედ ამის მისაღწევ ერთ-ერთ გზად მივიჩნევთ ეკოლოგიური გადასახადების დაწესებას.

ეკოლოგიური გადასახადები ადამიანის ქცევას ცვლის საბაზრო ეკონომიკის ძალებისა და ფასების სიგნალების გამოყენებით და გამიზნულია ბუნებრივი რესურსების არამდგრადი ხარჯვის შემცირებისა და ნარჩენთა გადამუშავების პრაქტიკის დანერგვისკენ. ნაკლები ენერჯის მოხმარება, შესაბამისად, ამცირებს სათბური აირების ემისიებს ატმოსფეროში.

ეკოლოგიური გადასახადები მოიცავს გადასახადების დაწესებას ეკოლოგიურად მავნე პროდუქციის მოხმარებასა ან წარმოებაზე (პესტიციდებისა და ინსექტიციდების), გარემოს დაბინძურებაზე, მაგალითად, კანალიზაციის, ან ნახშირორჟანგის გადასახადი და ასე შემდეგ. აგრეთვე, შეიძლება დაწესდეს მწირ რესურსებზე, მაგალითად, წყალზე, ნედლეულზე, ან იმაზე, რაც კონკრეტულ გეოგრაფიულ მდებარეობაში არის დეფიციტური.

მზარდი ინდუსტრიალიზაციის პირობებში, აუცილებლად მივიჩნევთ, რომ იმ საწარმოებსა და კომპანიებს, რომელთაც გარემოზე რაიმე სახით ნეგატიური გავლენა აქვთ, ეკისრებოდათ პროგრესული გადასახადი, რომელიც გაიზრდება დაბინძურების ხარისხთან ერთად.

რადგანაც ეკოლოგიური გადასახადების მთავარი მიზანი გარემოსთვის საზიანო პრაქტიკების შემცირება და მათი განახლებადი ენერჯიების წყაროებით ჩანაცვლებაა, მივიჩნევთ, რომ გადასახადები სწორედ განახლებადი ენერჯიების დანერგვას უნდა მოხმარდეს. აგრეთვე, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ეკო-მეგობრული ინიციატივების წახალისებაზე, რაც შეიძლება გამოიხატოს იმაში, რომ განახლებადი ენერჯიების გამოყენება არ დაიბეგროს.

ჩვენ მივიჩნევთ, რომ ეკოლოგიური გადასახადების დაწესება და მათი პრაქტიკული გამოყენება იქნება ერთ-ერთი ეფექტური და ქმედითი გზა მწვანე განვითარებისთვის. კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით, საჭიროა სახელმწიფო პოლიტიკის შეცვლა და რიგი ეკონომიკური თუ სოციალური რეგულაციების დაწესება, რომლებიც მდგრადი განვითარებისკენ იქნება მიმართული.

თავი 3. სოციალური პრობლემები და მათი დაძლევის გზები

3.1. სოციალური პრობლემების ცნება და მათი მოკლე მიმოხილვა

სოციალური პრობლემა არის პროცესი, რომლის განვითარებისას წარმოქმნილი პირობები და მოვლენები, გარკვეული ჯგუფების ან მთელი საზოგადოების ცხოვრებაზე ზემოქმედებენ (მაგ. დასაქმების დაბალი დონე, უმუშევრობა, სიღარიბე, ძალადობა, ნარკოდამოკიდებულება, გადამდები დაავადებები, გარემოს დაბინძურება, მაღალი კომუნალური გადასახადები და ა.შ) და რომლის შეცვლაც საზოგადოებაში ან მის ცალკეულ ნაწილებში სავალდებულოდ მიაჩნიათ, რომელიც საზოგადოებას აწუხებს ამერიკელმა სოციოლოგმა, ალბერტ ბლუმერმა ჩამოაყალიბა სოციალური პრობლემების გამომწვევი მიზეზებისა და მათი მოგვარების 5 პუნქტიანი მოდელი:

1. სოციალური პრობლემის წარმოშობა, მისი აღქმა, გაცნობიერება და დასახელება საზოგადოებაში;
2. სოციალური პრობლემის აღიარება საზოგადოების მიერ;
3. სოციალური პრობლემის მოგვარების გზების საჯარო დისკუსია და განხილვა;
4. სამოქმედო გეგმის შემუშავება პრობლემის მოსაგვარებლად;
5. და ბოლოს: სამოქმედო გეგმის განხორციელება.

სოციალური პრობლემის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი ფაქტორი, თავადაც ყველაზე დიდი სოციალური პრობლემა, სიღარიბეა. სიღარიბე მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებობს, და ყველას აქვს თავისი ქვეყნისთვის განსაზღვრული სტანდარტი, ზღვარი - რომლის ქვემოთაც მყოფი ადამიანი თუ ოჯახი ითვლება ღარიბად. ყველა ქვეყანა თავისი ეკონომიკისა და საციალურ-პოლიტიკური

მდგომარეობის შესაბამისად ცდილობს სიღარიბის აღმოფხვრას, და ვფიქრობ, დღეს მთავარი საზრუნავი, სწორედ ეგ არის. თუმცა პოლიტიკური ქულების დაწერის მიზნით გარკვეული პროგრამების შემუშავება და ერთჯერადი დახმარება, ვისაც მაგის გადაუდებელი საჭიროება არ გააჩნია, მიმაჩნია რომ არასწორია, ნაცვლად მაგისა, ქვეყანა უნდა ზრუნავდეს ეკონომიკის სხვადასხვა დარგების განვითარებას და მოსახლეობის დასაქმებას, გარკვეულად არის მსგავსი ტენდენცია საქართველოში, თუმცა იმ მასშტაბს ვერ უზრუნველყოფს, სადაც ახლა არის საქართველო, უნდა განვითარდეს სოფლის მეურნეობა და შრომის უნარიანმა, - სოციალურად დაუცველმა ადამიანმა თავისი შრომით უნდა მიაღწიოს იმ დონეს, რომ სახელმწიფოს კმაყოფაზე არ ცხოვრობდეს. მსგავსი პრობლემის მოგვარებას ემსახურება დღეს არსებული საპენსიო რეფორმა, რომელიც დასაქმებულ ადამიანს საშუალებას აძლევს, დააგროვოს პენსია და როცა საპენსიო ასაკს მიაღწევს, იმაზე გაცილებით მეტის აღება შეუძლია, ვიდრე სახელმწიფო სთავაზობს დღეს, პენსიის სახით, საპენსიო ასაკის მოქალაქეებს.

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა საქართველოში 73,7 წელია [წყარო:https://www.resonancedaily.com/mobile/index.php?id_rub=3&id_artc=87724]

პენსიაზე გასვლის საშუალო ასაკი 62,5 წელი.

2021 წლის მონაცემებით, საშუალო ხელფასი საქართველოში 1256,2 ლარია [წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi>]

აღნიშნული ინფორმაციის საშუალებით შესაძლებელია საპროგნოზო მონაცემები გამოვიანგარიშოთ [<https://pensions.ge/>]- ზე არსებული კალკულატორის საშუალებით,რაც მე ვფიქრობ, ძალიან სასარგებლო და ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია, სოციალური პრობლემის მოგვარების მიმართულებით, თუმცა ალბათ, შედეგს წლების შემდეგ უკეთ დავინახავთ.

ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა მიზანმიმართულად დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით შექმნილია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზა და დამტკიცებულია მისი ფორმირების წესი.

უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, ყველა სოციოლოგიური კვლევა ადასტურებს იმას, რომ უმუშევრობა არის უმთავრესი პრობლემა ქართული საზოგადოებისათვის სიღარიბესთან ერთად, რომელიც პირდაპირ უკავშირდება უმუშევრობას. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური პოლიტიკა არ პასუხობს ამ პრობლემას ადეკვატურად. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა არ იწვევს უმუშევრობის შემცირებას, უფრო მეტიც, ამის საპირისპიროდ უმუშევრობა იზრდება პარალელურად იმისა, რომ თითქოს გავრცელებული ცნობებით, საქართველოში ეკონომიკა განვითარების პროცესშია. უმუშევრობის პრობლემა მრავალგანზომილებიანია, მათ შორის იგი შეიცავს ისეთ საკითხებს როგორებიცაა: დასაქმების პოლიტიზირებას, ასაკობრივ დისკრიმინაციას და სექსიზმს დასაქმების პრაქტიკაში, არასწორ საკანონმდებლო ბაზასა და პროფკავშირების ინსტიტუციონალურ სისუსტეს, სტრუქტურულ პრობლემებს, რაც უკავშირდება განათლების პოლიტიკას, ლიბერტიარიანული მიდგომების გაბატონებასა და სახელმწიფოს მხრიდან სოციალური პასუხისმგებლობის უარყოფას, გლობალიზაციის გავლენასა და ფინანსურ კრიზისს და ა.შ.

3.2. სხვადასხვა კომუნალური გადასახადები - ეშმაკი დეტალებშია- სიღარიბის დაძლევა და უმუშევრობა-21-ე საუკუნის აქტუალური პრობლემა

კომუნალური გადასახადები საქართველოში ძირითადად მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთნაირადაა დანაწილებული. ელ. ენერჯის, წყლის, გაზის, დასუფთავების და კიდევ არის კომუნალური გადასახადები, რომელიც თანამედროვე ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა, თუმცა არა არსებითად მნიშვნელოვნად, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი გადასახადებია. დამატებით კომუნალურ გადასახადებს მიეკუთვნება, ინტერნეტი, ტელევიზიის, მობილური ოპერატორებისთვის გადახდილი თანხები.

იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საქართველო გავითარებიადი ქვეყნების სიაშია, არ გააჩნია საკუთარი წარმოების გაზი და ქვეყანას არც გააჩნია ასეთი რესურსი,

იძულებულია სახელმწიფო, სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებული გაზით მოამარაგოს, შესაბამისად მისი სატარიფო ღირებულების განსზღვრა ხდება ადგილზე მოწოდებამდე გაწეული ხარჯების მიხედვით, და საკმაოდ ძვირია, ქვეყანის ვალუტის არასტაბილურობის გამო, უფრო და უფრო ძვირდება და ისედაც ძალიან დიდ ტვირთად აწევს მოსახლეობას.

ნებისმიერი გადასახადი, მათ შორის კომუნალური გადასახადებიც საბოლოოდ, თითოეული ჩვენგანის ფინანსურ მდგომარეობაზე აისახება, რაც თავის მხრივ სოციალური პრობლემის ძალიან ნათელი მაგალითია. თუ მივყვებით საფუძვლიან განხილვას, თუ როგორ აისახება კომუნალურები და სხვა ნებისმიერი გადასახადი მოსახლეობაზე, უნდა წარმოვიდგინოთ საწარმო, მაგალითად, პურის საცხობი ქარხანა. მაშინ, როცა კომუნალური გადასახადიც იანგარიშება პურის თვითღირებულებაში, უკვე მზა პროდუქცია, გამზადებული მომხმარებელზე მისაწოდებლად, შეიცავს ყველა დანახარჯს, და მის ფასში, რომელსაც ჩვენ ვიხდით, დამატებულია ის კონკრეტული წილი, რომელიც დაიხარჯა კონკრეტულად ამ პურის საწარმოებლად, გამოდის, რომ იმ კომუნალური გადასახადის გადამხდელები ვართ ჩვენ, რომელსაც კომპანიას უწესებს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისია - სემეკი. აღსანიშნავია, რომ ტარიფები განსხვავდება ფიზიკური პირების მოხმარებისთვის განკუთვნილ კომუნალურ გადასახადებსა და კომერციული მიზნებისთვის გამოყენებული კომუნალურ გადასახადებს შორის: (ნამდვილად, ეშმაკი დეტალებშია)

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს ტარიფები:

საყოფაცხოვრებო მომხმარებელთა ტარიფები, თეთრი/კვტსთ		
საფეხური	სამომხმარებლო ტარიფები, დღგ-ს გარეშე	სამომხმარებლო ტარიფები, დღგ-ს ჩათვლით
0 კვტ.სთ-დან 101 კვტ.სთ-ის ჩათვლით	15.026	17.731
101 კვტ.სთ-დან 301 კვტ.სთ-ის ჩათვლით	18.396	21.707
301 კვტ.სთ-დან და მეტი	22.226	26.227

არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელთა ტარიფები, თეთრი/კვტსთ		
ძაბვა	სამომხმარებლო ტარიფები, დღგ-ს გარეშე	სამომხმარებლო ტარიფები, დღგ-ს ჩათვლით
110-35 კვ	23.955	28.267
10-6-3.3 კვ	26.169	30.879
0.4 კვ	27.085	31.960

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“-ს ტარიფები:

მოქმედების პერიოდი: 01.07.2020 - 31.12.2022	
ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ზღვრული ტარიფი (თეთრი / კუბ.მ)	56.928
ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ზღვრული ტარიფი დღგ-ს გარეშე (თეთრი / კუბ.მ)	48.244
ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ტარიფი	1.895
ბუნებრივი გაზის რეგულირებადი მიწოდების ზღვრული ტარიფი	9.671
ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობის ტარიფი	36.678

წყარო: [<https://gnerc.org/ge/tariffs/tariffs2>]

აღსანიშნავია კოვიდ პანდემიის ფონზე სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირების ორ ეტაპიანი პერიოდი, რომელიც მიზნად ისახავდა უმუშევრად და შემოსავლის გარეშე დარჩენილი მოსახლეობისთვის დახმარებას. თუმცა იმ კრიზისის ფონზე, რომელიც შექმნა პანდემიამ მსოფლიოში და რომლის განსაკუთრებული სიმძიმეც, საქართველოსნაირ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში განსაკუთრებით შეიმჩნევა, მსგავსი სუბსიდირება, დროებით ამოსუნთქვის საშუალებაა და სოციალური პრობლემების მოგვარებაში მინიმალური წვლილი აქვს. (ბ.შ)

3.3. ემსახურება თუ არა გადასახადები მოსახლეობის სოციალური პრობლემების დაძლევის საერთოდ და მსოფლიო პანდემიის ფონზე

მსოფლიო პანდემიის გავლენა ძალიან დიდია როგორც საზოგადოებაზე, მის ქცევაზე, ყოველდღიურობაზე, ასევე ბიზნესის განვითარებაზე, ფაქტიურად პანდემიის პერიოდში მიღებულმა მკაცრმა შეზღუდვებმა და რეგულაციებმა ძირფესვიანად შეარყია ქვეყნის ეკონომიკა და ამასთან ერთიანი სოციალური მდგომარეობაც, რომელიც აისახა თითოეულ ჩვენგანზე. მსოფლიო პანდემიით გამოწვეული ზეგავლენები ეკონომიკაზე ჯერ კიდევ ძირფესვიანად არ არის გამოკვლეული და ვფიქრობ, საფუძვლიანი ანალიზის გაკეთება მხოლოდ დროს შეუძლია, ვერც ერთი სტატისტიკა ვერ ასახავს იმ მდგომარეობას ქვეყანაში, რომელიც დღეს გვაქვს და ყველაფერი უნდა გაკეთდეს

იმისთვის, რომ მაქსიმალურად მოკლე დროში აღდგეს და დაუბრუნდეს ეკონომიკა მის პანდემიანდელ მდგომარეობას. მიუხედავად ყველაფრისა, ერთადერთი, რაც შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, არის ის, რომ პანდემია შეეხო ეკონომიკის ყველა სფეროს და თითოეულმა მოქალაქემ იგრძნო მისი გავლენა.

როგორია ბიზნესის ცხოვრება Covid-19-თან ერთად და როგორი იქნება ბიზნესი ხვალ?

ბიზნესის დღევანდელი სამუშაო პროცესი პირობითად შეგვიძლია შიდა და გარე ფაქტორებად დავყოთ. შიდა ფაქტორების ჭრილში, ბიზნესის მხრიდან ინდივიდუალურ დონეზე ხდება ამოცანების დასმა, გარემოს გაცნობიერება, გაანალიზება და შესაძლო ცვლილებების იდენტიფიცირება. შიდა გარემოს რეზიუმირება შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ 5 მთავარ საკითხად. დედუქციური მსჯელობით საკითხები შემდეგნაირად გამოიყურება:

- რა სწავლებისა და მიგნებების შესაძლებლობა მისცა ბიზნესს Covid-19-მა?
- რა კონკრეტული სწავლებისა და მიგნების განხორციელება/ იმპლემენტაცია ძალუძს ბიზნესს როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან ჭრილში?
- როგორ შეიცვალა ბიზნესის სამუშაო გარემო და რა ტიპის უნარ-ჩვევების აუცილებლობა გაჩნდა?
- როგორია ბიზნესის ხედვა და მომავალი, ახალი, ე.წ. მომავლის სერვისების თუ საქონლის შექმნა-ჩამოყალიბებაში?
- რა გასატარებელი ღონისძიებები/ აქტივობები აქვს ბიზნესს პრეკრიზისულ, კრიზისულ და პოსტკრიზისულ ეტაპებზე?

დღეს, ისე როგორც არასდროს, ვხედავთ ტექნოლოგიების ძალას და გავლენას საზოგადოებისა თუ ბიზნესის დღის წესრიგზე, რაც გვადლევს მყარ წინაპირობას, რომ ბიზნესის კეთების ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტი სამუდამოდ შეიცვლება და ნაკლებად სავარაუდოა, დაუბრუნდეს კრიზისამდე არსებულ სტატუს- კვოს.

გარე ფაქტორების ჭრილში, ბიზნესი სრულად დამოკიდებულია მთავრობის მიერ გატარებულ ან/ და გასატარებელ ღონისძიებებზე, რაც გულისხმობს ბიზნესის

მხარდასაჭერად გადადგმულ ნაბიჯებს, ე.წ. სახელმწიფო სტიმულუსებს. მოგეხსენებათ, კრიზისის გავლენის შესამცირებლად, სხვადასხვა მთავრობებმა მსოფლიო მასშტაბით განახორციელეს მნიშვნელოვანი ღონისძიებები როგორც ბიზნესის, ასევე ცალკეული ოჯახებისა თუ ინდივიდების მხარდასაჭერად. გატარებული ღონისძიებების მასშტაბები დღითი დღე იზრდება და ითვალისწინებს ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა ბიზნესის დაბეგვრის შემსუბუქება,

საგადასახადო განაკვეთების შემცირება, გადასახადების გადავადება ან დროებით გაუქმება (ე.წ. tax holiday), მათ შორის, ბიზნესგრანტებსა თუ სახელმწიფო სესხებსა და დოტაციებზე წვდომა, დროებით უმუშევართა და თვითდასაქმებულთა მხარდაჭერა და ა.შ. საერთო ჯამში, „Covid -19 სტიმულუსით“ ცნობილი პაკეტი მოიცავს ორ მნიშვნელოვან განშტოებას: ფისკალურ მხარეს და ფინანსურ მხარეს. ბოლო წლების მანძილზე, საქართველოს ხელისუფლების გაცხადებულ მიზანს წარმოადგენს ისეთი საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მოემსახურება ქვეყანაში ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების ზრდას, ბიზნესის დაწყებისა და განვითარების ხელშეწყობას, მიმზიდველი და ხელსაყრელი საგადასახადო გარემოს უზრუნველყოფას.

უნდა აღინიშნოს, რომ Covid-19-ის პანდემიის პირობებში, საქართველოს მთავრობამ ბიზნესის დასაცავად განახორციელა საგადასახადო ინექცია და პოსტკრიზისულ ნაწილშიც დააანონსა მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება. თუმცა შესაძლოა, მთავრობის მგრძნობელობა და პრაგმატიზმი ბიზნესთან მიმართებით ზოგჯერ დაგვიანებული ან/ და არასაკმარისი იყოს. მაგალითად, ეს ეხება დაწესებული საგადასახადო შეღავათების მასშტაბებს და პერიოდს. ვიდრე დეტალურად განვიხილავდეთ გასატარებელი ღონისძიებების სიმწვავეს და სისწრაფეს, უპრიანია, კიდევ ერთხელ გავერკვიოთ გადასახადების არსში, მიზნებსა და ეფექტებში. საგადასახადო პოლიტიკა ეკონომიკური პოლიტიკის და, ზოგადად, საჯარო პოლიტიკის წარმართვის მთავარ გასაღებს რომ წარმოადგენს, არახალია. თუმცა, დარწმუნებული ვარ, უმეტესობა თქვენგანი შემეკამათება და მოითხოვს ფაქტების კონსტატაციას, – რაც ძალიან გამიჭირდება, რადგან ხშირ შემთხვევაში ქართულ პოლიტიკაში ემოციური ნაწილი ჭარბობს, რომელიც უმეტესად შორსაა პრაგმატული

და თანამიმდევრული პოლიტიკისგან. გადასახადები საჯარო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს რომ წარმოადგენს, ათწლეულებია, დასტურდება ამერიკის შეერთებული შტატებისა თუ დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ კამპანიებში, სადაც ძირითადად ორი თემა წარმართავს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას: გადასახადები და ჯანდაცვა (სოციალური ნაწილი). როგორც ჩანს, ჩვენ წინ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი. რამდენად რთული და გრძელია ეს გზა, ამას დრო გვიჩვენებს, მათ შორის – Covid-19-ის პანდემია. რაც შეეხება ისტორიულ რეტროსპექტივას საგადასახადო მიზნებსა და ეფექტებზე – გადასახადები დაფუძნებულია 4 R-ის პრინციპზე, სადაც:

პირველი R ანუ Revenue/ შემოსავლები არის სახელმწიფოს მიერ შემოსავლების გენერირება დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად. ქართულ რეალობაში ეს ფუნქციები განუსაზღვრელია, თუმცა განსაზღვრულ ფუნქციებში იგულისხმება ჯარის, პოლიციის, სასამართლოს, ნაწილობრივ ჯანდაცვის შენახვა. რაც უფრო დიდია სახელმწიფოს ზომა, მით უფრო განუსაზღვრელია მისი ფუნქციები.

მეორე R ანუ Redistribution/ გადანაწილება – აღნიშნული უმეტესად გულისხმობს შემოსავლების გადანაწილებას საზოგადოების შედარებით შეძლებული ფენებიდან გაჭირვებულებისაკენ, ე.წ. „მოწყვლადობის“ შემსუბუქებას (მაგალითად, პენსიები, სოციალური დახმარებები და ა.შ.)

მესამე R ანუ Repricing/ გადაფასება გულისხმობს კონკრეტულ საქონელზე ან მომსახურებაზე წვდომის შეზღუდვას ღირებულების გაზრდით, რაც გამოიყენება სხვადასხვა მიზნის განსახორციელებლად. ბოლო წლების აქტუალური თემაა აქციზის ზრდა თამბაქოზე. ყველას კარგად გვახსოვს მთავრობის გაცხადებული მიზანი, თუ როგორ ამცირებს თამბაქოს მოხმარებას ფასების ზრდა – ჩემი და „თქვენი“ შეფასებით ალბათ ყველაზე ბრუტალური არგუმენტი.

მეოთხე R ანუ Representation/ წარმომადგენლობა – დღეს მხოლოდ ისტორიულ დატვირთვას ატარებს, კერძოდ ამერიკული რევოლუციის (1761 წ.) ერთ-ერთი ძირითადი სლოგანი იყო – “No taxation without representation“. აღნიშნული ეფექტი გულისხმობს გადასახადების გადამხდელების მონაწილეობას ქვეყნის მართვაში,

კერძოდ, არჩევნებში ხმის მიცემის უფლებას და შესაბამისი წარმომადგენლის ყოლას. თუმცა საგულისხმოა, რომ ეს ისტორიული მიგნება ქართულ პოლიტიკას/სახელმწიფოს ნამდვილად აქვს მივიწყებული. Covid-19-ის პანდემიის პირობებში, ხელისუფლების მთავარი ამოცანაა უკვე მიღებული და მისაღები დარტყმების შემსუბუქება როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან ჭრილში. უპირველესად ხელისუფლებამ უნდა დასვას სწორი კითხვები, გააკეთოს სწორი აქცენტები და მათ კვალდაკვალ მიიღოს როგორც ოპერატიული, ასევე სტრატეგიული გადაწყვეტილებები. საგულისხმოა, რომ ქაოსურმა (გაუცნობიერებელი თუ ინერციული) გადაწყვეტილებებმა, ეს იქნება ინდივიდუალურ, ორგანიზაციულ თუ საჯარო (მთავრობის მიერ) დონეზე, შესაძლოა იმაზე მეტი ზიანი გამოიწვიოს, ვიდრე უკვე გვაქვს Covid-19-ით.

დღეს სახელმწიფოსთვის (ხელისუფლებისთვის) არსებობს ორი აქტუალური/კრიტიკული კითხვა:

1. რამდენად არის Covid-19-ის პანდემია სახელმწიფოს როლის ფუნდამენტურად შეცვლის საფუძველი/ მიზეზი? აქ გვაქვს ორი სახელმწიფოს ალტერნატივა: პირველი – სახელმწიფო, სადაც როლი საზოგადოების ცხოვრებაში კიდევ უფრო გაიზრდება და მეორე – სახელმწიფო, სადაც როლი საზოგადოების ცხოვრებაში მნიშვნელოვნად შემცირდება.
2. რამდენად საკმარისია სახელმწიფოს მიერ დღემდე გატარებული ღონისძიებები და როგორი იქნება ქვეყნის ანტიკრიზისული გეგმა? აქაც გვაქვს ორი ალტერნატივა: პირველი – ინერციული სტრატეგიული გეგმა და მეორე – ინოვაციური სტრატეგიული გეგმა.

ბიზნესის ლიკვიდურობის ზრდისთვის გადადგმულ ნაბიჯებში ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ფისკალური პოლიტიკის შემსუბუქება, ამიტომ უპირველესად საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გადააფასოს: – ე.წ. პირველი R, სადაც უნდა შეეხოს სახელმწიფოს ფუნქციებს, მნიშვნელოვნად გადახედოს და ეტაპობრივად შეამციროს სახელმწიფოს როლი, ზომა და თანამონაწილეობა საზოგადოებაზე „მზრუნველობაში“ და – ე.წ. მესამე R, სადაც ფუნდამენტურად

უნდა შეიცვალოს საქონელსა და მომსახურებაზე ხელოვნურად შექმნილი „გადაფასების“ მექანიზმები, როგორც ინსტრუმენტი საფასო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში.

დღეს არის ისტორიული მომენტი, რომ – „ერთმანეთზე უფრო მეტად ვიზრუნოთ და ერთმანეთი უფრო ნაკლებად დავბეგროთ“! ვიდრე ფისკალური პოლიტიკის შემსუბუქების სამოქმედო გეგმის ალგორითმს განვიხილავდეთ, უპრიანია გავიზიაროთ საერთაშორისო გამოცდილებები, განვითარებული თუ ნაკლებად განვითარებული საზოგადოებების მიგნებები და შემდგომ შევქმნათ „ნაციონალური ინგრედიენტებით საკუთარი წარმოების ველოსიპედი“.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) განახორციელა კვლევა – ქვეყნების მიერ საგადასახადო პოლიტიკის ღონისძიებებში ცვლილებების შესახებ, როგორც პასუხი არსებული გამოწვევის – პანდემიის წინააღმდეგ. კვლევის ფარგლებში გაანალიზდა 100-ზე მეტი ქვეყნის მონაცემები, იდენტიფიცირდა მთავრობების მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯი ბიზნესის დასაცავად, როგორც პასუხი Covid-19-ით გამოწვეულ კრიზისზე. მიგნებები ასახავს ინფორმაციას მთავრობების მიერ ფისკალური პოლიტიკის კუთხით გადადგმული ნაბიჯების შესახებ 2020 წლის 9 აპრილის მდგომარეობით. რამდენად საკმარისად ემსახურება Covid-19-ით გამოწვეული კრიზისის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებები ბიზნესის გადარჩენას? რამდენად ლეგიტიმურია ბიზნესის პათოსი და მოთხოვნა, – მთავრობის მხრიდან მნიშვნელოვანი და რადიკალური ღონისძიებების გატარება?

საქართველოს ხელისუფლების მიერ ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შექმნილი/ შესაქმნელი რუკა უნდა მოიცავდეს მოქმედებების მოკლევადიან და გრძელვადიან ალგორითმს, სადაც კონკრეტული აქტივობები უნდა ეფუძნებოდეს რამდენიმესვლიან სცენარს. ქართულ ბიზნესს (მათ შორის ბიზნესგაერთიანებებს) აქვს განცდა, რომ ხელისუფლების მიერ ოპერატიულად გატარებული ღონისძიებები ზღვაში წვეთია, ამას ასევე მოწმობს განვითარებული სახელმწიფოების მიერ გადადგმული მრავალალგორითმიანი ნაბიჯები. მოკლევადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ უზრუნველყოს ბიზნესის ლიკვიდურობა და

შესაძლებლობა, მაქსიმალურად შეინარჩუნოს სამუშაო ადგილები. უფრო ზუსტად რომ შევაფასოთ, სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით, მოკლევადიან ეტაპზე ბიზნესი შეინარჩუნებს სამუშაო ძალას, ხოლო გრძელვადიან ეტაპზე აუცილებლად მოხდება სამუშაო გარემოსა და უნარ-ჩვევების გადაწყობა, რაც ცალსახად გამოიწვევს დასაქმებაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებას, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბიზნესის ხვალისდელი ფორმა აღარასდროს იქნება გუშინდელის ანალოგი. შესაბამისად, ამ ეტაპზე ხელისუფლებამ ფისკალური პოლიტიკის გადაფასებით უნდა მისცეს ბიზნესს ტრავმების შემსუბუქების შესაძლებლობა, ხოლო მოშუშების პროცესი რა პერიოდით გაგრძელდება, ამას დრო გვიჩვენებს.

მიუხედავად საგადასახადო ტვირთის შემცირებისა, არსებობს ლეგიტიმური პრაგმატული შეკითხვები:

1. რამდენად საკმარისია მხოლოდ საგადასახადო გარემოს ცვლილებით ვიყოთ კონკურენტუნარიანები?
2. რამდენად განაპირობებს მხოლოდ საგადასახადო ტვირთის შემცირება/ შემსუბუქება ინვესტიციების ზრდას?
3. რამდენად ზრდის დასაქმების მაჩვენებელს მხოლოდ გადასახადების გაუქმება?
4. რამდენად სწრაფად გამდიდრდება სახელმწიფო გადასახადებზე უარის თქმით? სხვა თანაბარ პირობებში, კითხვებზე პასუხები ძალიან ტრივიალურია, თუმცა თითოეული საკითხი იმსახურებს ცალკე განხილვას. დაბოლოს, მომავალი გვიჩვენებს, ვიქნებით ქარავანს აკიდებული სახელმწიფო, თუ მოწინავე ქვეყანა შესაძლებლობებით ხელში, რომელიც ფუნდამენტურად გარდაქმნა Covid-19-მ [წყარო: <https://forbes.ge/> - სტატია: პაატა შურღაია]

დასკვნა

თანამედროვე მსოფლიო ცდილობს ეკონომიკურ სტაბილურობას, მაქსიმალურად, ქვეყნის ინტერესებს მორგებული საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებას, სოციალური-ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებას. ქვეყნის ეკონომიკური წარმატების საწინდარი, სწორად შერჩეული საგადასახადო კანონმდებლობა და ზოგადად საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებაა. აუცილებელია სწორი ორიენტირის აღება, რათა არ დაზარალდეს არც სახელმწიფოს და არც თითოეული მოქალაქის ინტერესები. ისე უნდა იყოს შერჩეული საგადასახადო პოლიტიკა, რომ ეკონომიკის წახალისებას და სახელმწიფო ბიუჯეტის სწორად შემუშავებას და დაგეგმარებას უწყობდეს ხელს, ალბათ, დამეთანხმებით, რომ საკმაოდ რთული

ამოცანა, და როგორც პრაქტიკიდან ვხედავთ, უამრავი ქვეყანა სიღარიბეს და უმუშევრობას ებრძვის, და ვერ აღწევს მნიშვნელოვან წარმატებებს ბიზნეს გარემოში, ეროვნულ თუ საერთაშორისო ასპარეზზე.

როგორც გადასახადების ისტორიიდან ირკვევა, საგადასახადო სისტემა საფუძვლებს საუკუნეების წინ იღებს, და დღემდე გრძელდება მისი დახვეწა თანაც ისე, რომ არავინ ფიქრობს, მოდი არ გადავახდევინოთ მოსახლეობას გადასახადებიო, არა უბრალოდ იხვეწება სისტემა, როგორ გადავახდევინოთ მოსახლეობას გადასახადები, მაქსიმალურად კომფორტულად, ზედმეტი წვალეების გარეშე, და მარტივად, და ახლა უკვე თანამედროვე საგადასახადო სისტემა აღარც კი ეკითხება გადასახადის გადამხდელს, რამდენს გადაიხდი, რისი საშუალება გაქვს, უბრალოდ კანონმდებლობით უწესებს კონკრეტულ საპროცენტო განაკვეთს, და მისი დეკლარირების და გადახდის ვალდებულებას აკისრებს დამსაქმებელს, მეორეს მხრივ დამსაქმებელი (მეწარმე ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი) იღებს ვალდებულებას, სწორად მოახდინოს სახელმწიფოსთვის გადასახდელი თანხის დათვლა და მისი უზრუნველყოფა.

ის იდეა, რომ გადასახადები საბოლოოდ სხვადასხვა პროგრამების, ინფრასტრუქტურული პროექტების სახით თუ სხვა საშუალებით, მოსახლეობას უბრუნდება და ხმარდება მის კეთილდღეობას და სოციალურ განვითარებას, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში თეორიის დონეზეა ცნობილი და გადამხდელების უმეტესობას წარმოდგენა არ აქვს სად მიდის მათი ფული, ან თუ აქვთ წარმოდგენა, არაფერი პროგრესული.

და ის საკითხი, არის თუ არა გადასახადები, სოციალური პრობლემების დაძლევის გზაზე, ჩემი აზრით არის, უბრალოდ არ ხდება ამის პოპულარიზაცია, და არ ხდება გადამხდელების ინფორმირება თუ სად იხარჯება მათი ფული. რასაც მივყავართ იმ პრობლემამდე, რომ გადამხდელი არ იხდის ფულს ბიუჯეტში, თაღლითობს, ცდილობს იპოვოს ხარვეზი და გამოიყენოს მის სასარგებლოდ, და მას აზრადაც არ მოსდის, რომ ამით აზიანებს სახელმწიფოს, აზიანებს ქვეყნის ეკონომიკას და თითოეული ამ ქვეყნის მოქალაქის მომავალს, აფერხებს ეკონომიკის განვითარებას. თვით ზღვაც ხომ უამრავი წვეთისგან შედგება...

გამოყენებული ლიტერატურა

[ამილახვარი და სხვ. 2010, გვ. 157].

<https://forbes.ge/estonuri-modelis-detaleb/> სტატია: 01.02.2017. ესტონური მოდელის დეტალები და მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. ავტორი: გია ბერიძე

<http://eugeorgia.info/ka/article/541/estonuri-modelis-qartuli-perspeqtivebi/> (სტატია 04.01.2017. ავტორი: მირიან ეჯიბია

<https://www.linkedin.com/pulse/-amiran-kiladze> სტატიის ავტორი: ამირან კილაძე

<http://conferenceconomics.tsu.ge/> (სტატია: საქართველოს საგადასახდო სისტემა და განვითარების ტენდენციები. ავტორი: ქეთევან კოკია

[samagistro kvinikadze giorgi.pdf \(openscience.ge\)](#) (სამაგისტრო ნაშრომი „საგადასახადო პოლიტიკის მაკროეკონომიკური ასპექტები“. ავტორი: გიორგი კვინიკაძე)

<https://geoeconomics.ge/?p=1211> (04.10.2003 წლის სტატია. ავტორი: პაატა მოდებაძე)

[კონფერენცია \(tsu.ge\)](#) თემა: მწვანე ეკონომიკა და საგადასახადო დაბეგვრის ზოგიერთი პრობლემა. ავტორი: მერაბ მიქელაშვილი

[საქართველოს საგადასახადო სისტემისა და პოლიტიკის როლი ქვეყნის განვითარებაში – საქართველოს ეკონომიკა \(geoeconomics.ge\)](#) (27.04.2021 სტატია: ანასტასია შვამარიდინა)

<https://forbes.ge/> - სტატია: პაატა შურღაია

[davit_jangiriani.pdf \(tsu.ge\)](#) სამაგისტრო ნაშრომი: საქართველოს საგადასახადო სისტემა და საგადასახადო პოლიტიკა, მათი როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ავტორი: დავით ჯანგირიანი

<https://younggreens.ge/ka/news/93456> 04.09.2014 წლის სტატია